ლიტერატურული ალმანახი

ხორნაბუჯი

თებერვალი 2017



ISSN 2346-822X
9 772346 822004 >

№ 3

ლიტერატურული ალმანახი № 3

„ხოჩნაბუჯი“

ფასი 3 ლარი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა | 2017 წელი

სარჩევი

იუბილე

ფარნა რაინა ---------- 4
თემურ ჩალაბაშვილი ---------- 6
ჯუმბერ უთრუთაშვილი ---------- 7

პოეზია

მარიამ წიკლაური ---------- 9
ირმა შიოლაშვილი ---------- 11
გივი ჩიღვინაძე ---------- 13
ქეთევან ნათელაძე ---------- 14
კლარა გელაშვილი ---------- 15

პროზა

ანზორ სიფრაშვილი ---------- 17

პოეზია

ბექაახალაია ---------- 22
ეკა ჯავახიშვილი ---------- 24
მაია მიქაია ---------- 26
თამაზ წიკლაური ---------- 28
ვერიკო ზამთარაძე ---------- 29
ნატო ყატაშვილი ---------- 30

პროზა

არქიმანდიტრი ონოფრე (წულაძე) --- 33

პოეზია

ცოტნე სივსივაძე ---------- 36
ზიზო ბურდული ---------- 37
ლერი ნოზაძე ---------- 39
თამარ ნასრაშვილი ---------- 40
ვასილ ბოსტაშვილი ---------- 40

პროზა

ნანა ქარდავა ---------- 42

პოეზია

ნინო ალადაშვილი ---------- 42
აკაკი სამუკაშვილი ---------- 44
თინათინ მრელაშვილი ---------- 45
გიორგი გაჩეჩილაძე ---------- 46

პროზა

გიორგი ოზაანელი ---------- 47

საბავშვო გვერდები

ნუნუ ძამუკაშვილი ---------- 51

თარგმანი

მიხეილ შიშკინი ---------- 53

პუბლიცისტიკა

ლია ნადირაშვილი
ანალოგიური და იდენტური თანხვედრა
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“
და კონსტანტინე გამსახურდიას
„დიდოსტატის მარჯვენაში“ --------- 59
დალი სულაშვილი
„სიზმარი მწველი იქნება თალხად“ -- 61
ნათია ჯიყაშვილი
„სიცოცხლის ფერები“ -
ფსიქოლოგია ---------- 63

ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ **ზვიად ჯავახიშვილს** და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ქალბატონ **ნონა ჯიბღაშვილს**.

რედაქტორ-გამომცემელი:
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქუდის ავტორი:
სერგო ქართველიშვილი

გარეკანის ფოტოს ავტორი:
თეიმურაზ პოპიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი ნავროზაშვილი

დაიბეჭდა მპ პოლიგრაფში

მობ: 598 54-07-64; Email: gionatro0@gmail.com

ISSN 2346-822X

მეკვლე მარადისობის...



ვენი ალმანახი „ხორნაბუჯი“ ახალბედაა... ჯერ, მხოლოდ, სამი ნომერი გამოვიდა და მისი ფურცლები გაამშვენა **ფარნა რაინას** ლექსშედევრებმა და გენიალურმა კატრენებმა. კატრენები ხომ სიახლეა ქართული პოეზიისათვის, – მეკვლე, – მარადისობის... როგორც ბატონმა ფარნამ თავის ერთ-ერთ კატრენს დაარქვა.

იკორთას ჰკითხეთ,
ჰკითხეთ პარხალს,
იშხანს და
ხანძთას,
სიტყვაც მზე არის, –
როცა მზეობს
დარად მისნობის...
გავა წლები და...
არ დარჩება:
მტვერიც კი, –
განძთა,
დარჩება: სიტყვა, –
სიტყვა – მეკვლე, –
მარადისობის.

ბატონი ფარნა რაინა ბრძანდება, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეურვეო საბჭოს წევრი, ჟურნალ „ოლეს“ ერთ-ერთი რედაქტორი.

მართლაც, დამაფიქრებელია მისი ზოგადსაკაცობრიო პოეტური ხელოვნება – ინოვაციები. დიდმა პოეტურმა ნიჭმა, სიბრძნე-სიქველემ, ცხოვრების დაკვირვებამ, სიკეთემ, უდიდესმა განსწავლულობამ დააწერინა ასეთი ულამაზესი, უფაქიზესი ლექსები, რომელიც ყველა მკითხველს ჩააფიქრებს და გზა-მკვლევად უმეგზურებს თავის ცხოვრებაში თუ, შემოქმედებაში.

ქართულ ლექსთაწყობაში ახალი პოეტური ხელოვნებით, ახალი სიტყვით, ახალი რითმით გვანებივრებს პოეტი.

მან ღირსეულად დაიმსახურა: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველას და ჟურნალ „ოლეს“ ლაურეატობა, ქართული კულტურის ხელშეწყობა-აღორძინებისათვის – ქართული კულტურის ამაგდარის მედალი.

მას დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა მწერლების წინსვლა დაოსტატებაში.

ვულოცავთ დაბადების **80** და საზოგადო-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ყველა ლამაზი ოცნების შესრულებას, უმაღლეს ჯილდოს და უმაღლეს პრემიას და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში. აქვე ქთავაზობთ გამოუქვეყნებელ კატრენებს მისი შემოქმედებიდან:

წელი – 80

ხარ: ბედნიერი,
როცა –
ზე-ილტვი, –
ზე-შემოქმედი –
ამო* ცვლილების...
წელი – 80
არის
ზენიტი:
ცოდნის,
სიბრძნის და ...
გამოცდილების ...

*-(რუსთ.) საამო

როცა ვისწავლით...

მოგვეფინება
გული ვარდითა, –
ჩვენი ცა –
მადლით
გადაივსება,
როცა –
ვისწავლით:
სხვისი დარდის და
სხვისი ტკივილის
გათავისებას...

ვფიცავ...

სიტყვა
რომ გითხრა, –
საკადრისი:
ვინ – შოთა,
ვინ – მე?..
მაგრამ...
თუ, იტყვის:
ღმერთქალიო, –
ვინმეზე –
ვინმე,
მე ვფიცავ –
ამ ცას,
ამ მიწას და

მე ვფიცავ –
შენს მზეს,
ზედგამოჭრილი:
ეს იქნება,
ძვირფასო,
შენზე...

ასე მგონია...

ბევრჯერ, –
ვათენებ...
ფიქრთა მთოველი...
და...
როცა დგება –
ცისკენ
წამი სვლის,
ასე მგონია:
ლექსი, – ყოველი,
არის –
დიდგორი,
ანდა –
კრწანისი...

უშენოდ...

ვისთვის –
მტრედო და
ჩემთვის –
გუგულო,
უშენოდ ვკინძავ –
დარდის ამ ტომებს...
ფიქრებსღა შევრჩი –
მარტო,
უგულო,
რადგან...
მე –
გული
შენთან დავტოვე...

ძილშიც რომ გესმის...

ძილშიც რომ
გესმის:
კვნესა,
კივილი –
მუხის, –
ნამეხარ...
ნაჭარ...
ნამუმლის...
და...
უფრო დიდი –
დარდიც,
ტკივილიც
არა ყოფილა,
ვიდრე –
მამულის...

ვინ ვებით... ვენთებით...

ზეობენ, –
ჩვენ, თუკი,
საყორე
ლოდი ვართ...
ალ-ქაჯებს
არ უყვართ
ცოცხალი
ღმერთები...
მოვდივართ...
მივდივართ...
მივდივართ...
მოვდივართ...
ვენთებით...
ვინ ვებით...
ვინ ვებით...
ვენთებით...

თუ, – რამ ხდება...

დრო არის, –
ვისთვის:
სიტყვა,
საქმე,
ან –
კედელს ჩხირი...
ავიც და
კარგიც –
ვის,
ვისი ჰკლავს...
ვის,
ვისი ართობს?!..
პატრიციათა –
თუ, –
რამ ხდება:
ლხინი, თუ –
ჭირი,
ეს, –
პლებეების
ტიტან ზურგზე
გადადის მაარტო...

უფალო, ღმერთო...

სუყველას –
სულის
სიანკარის
სანთელი გვენთოს,
სიბრძნით ვაბამდეთ
საუკუნის
აწყვეტილ ქარებს...
და... მე არ ვიცი,
პოეზიის –
უფალო,
ღმერთო,
ცრუ მოდერნისტულ
აბდაუბდას
ვინ უღებს კარებს?!..

გაგრძელდეს მინდა...

მოვიდა ჩემთან
მზე, –
მზის მარია,
სულის და
გულის
ფრთებს ითხოვს
მინდად...
ვიცი, –
სიცოცხლე
რომ სიზმარია
და...
ცოტა მაინც,
გაგრძელდეს
მინდა...

ჭკვიანი...

დასტურს დასცემენ
იანიც,
ჰკითხეთ მზეს, –
მთებზე შენაფენს,
მტრისგანაც სწავლობს
ჭკვიანი,
ვინ –
მოყვრისგანაც,
ვერაფერს...

ჯერ, – არ მითქვია, რაც უნდა მეთქვა...

მინდა
მოვასწრო:
საღვთო,
საზეო, –
სანამ შეწყდება
ამ გულის
ფეთქვა...
უფრო დიადი,
უფრო სამზეო,
ჯერ, –
არ მითქვია,
რაც უნდა
მეთქვა...

არ გავსრულდები...

არ გავსრულდები, –
გიძღვნით ნათევარ –
მზისა და
მთვარის
ამო ბარათებს...
ლექსს
ვინ დაფარავს?
ვით
მზის ნათებას?..
ლექსიდან
მზისებრ
გამოვანათებ...



ასიქადულო პოეტსა და ჩვენს ძვირფას თანამემამულეს **თემურ ჩალაბაშვილს** ვულოცავთ საიუბილეო თარიღს – **65** წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სულმრთელობას და მუზათა სიმრავლეს, პოეზიის პატივისმცემელთა გასახარად. ქვემოთ გთავაზობთ დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ წევრების ლექსებს, რომლებიც თემურ ჩალაბაშვილს ეძღვნება.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

პოეტი თემურ (თეიმურაზ) ბეჟანის ძე ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველანაგაში. 1969 წელს დაამთავრა სოფლის საშუალო სკოლა. 1972 წელს შევიდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ჟურნალისტიკის სპეციალობაზე), რომელიც დაამთავრა 1977 წელს. სტუდენტობის პერიოდში მისი ლექსები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. პოეზიაში გზა შესანიშნავმა მწერალმა და კრიტიკოსმა გიორგი ნატროშვილმა დაულოცა.

1984 წელს გამოსცა პირველი წიგნი: „მზე მამულის კვამლში“. ამ წიგნმა სალიტერატურო კრიტიკის დიდი მოწონება დაიმსახურა.

იგი რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მისი ლექსები თარგმნილია, რუსულ, სომხურ, გერმანულ ენებზე. არის საქარველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე. მინიჭებული აქვს ილია ჭავჭავაძის, გალაქტიონ ტაბიძის, ივანე მაჩაბლის პრემიები. არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დიდუბე—ჩუღურეთის საპატიო მოქალაქე. ჰყავს მეუღლე ნატალია კიღურაძე, ორი შვილი – ბეჟან და თამთა ჩალაბაშვილები და შვილიშვილი ლუკა ცხვედიანი.

ლევან ალავერდაშვილი

ვფიქრობ, მაგრამ წამებაა ფიქრი

თემურ ჩალაბაშვილს

ეგ რა ფერი გეფერება წვერზე,
დადინჯდი, თუ, ეგრე განგებ დინჯობ?!
აუჰ! რა დრო დაგწოლია მხრებზე,
ერთ დროს გიჟო, ჩალაბაანთ ბიჭო.
წლები მუხას შეგსევიან მუმლად,
მათ ნახევარს ვიტვირთავდი ვფიცავ,
რატომა ხარ, ნეტავ, ასე უბრად,
გული ავს ხომ არას გამცნობს, ბიძავ?!
ვფიქრობ, მაგრამ წამებაა ფიქრიც,
ჰოდა, სათქმელს ლექსად შიშით ვბედავ,
დღეს რომ უკვე სამოცდახუთს ითვლი,
ვაი, ხომ არ დამიბერდი ნეტავ...
მაშ, რა ფერი გესუდრება წვერზე,
დადინჯდი, თუ, ეგრე განგებ დინჯობ?!
აუჰ! რა დრო დაგწოლია მხრებზე,
ერთ დროს გიჟო, ჩალაბაანთ ბიჭო.

თემური ბიძა

მტკვრისფერი იყო თბილისში ღამე,
ჭადრებზე ბინდი თალხივით იწვა,
მონატრებულმა შემოგიარე
და მოგიტანე მთაწმინდის მიწა.
ხელი შეახე, შეგძრეს ალებმა,
ღრმა მოკრძალება გაფენდა ფითრებს,
არც ერთი სიტყვა, მაგრამ თვალებმა,
სუყველაფერი გათქვეს და მითხრეს.
ჰოდა, შემინდე, ღვთის გულისათვის
და მომიტევებს მთაწმინდის მიწა,
ასეთი მცირე საჩუქრისათვის,
რომ შეგაწუხე თემური ბიძა.

ზაურ გონაშვილი

თემურ ჩალაბაშვილს

ჩალა-ბალახში გაზრდილი
ჩალაბაშვილი თემური;
ვაჟკაცი სახელოვანი,
მამულიშვილი მზეგული.
დადის ქალაქში პოეტი
ლამაზი ლექსის მჭედელი
და თბილისს ისე უხდება,
ვით ნარიყალას კედელი.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

თემურ ჩალაბაშვილს

ბიჭო, შედიხარ შენც სიბერეში,
გული კი გიცემს ბალღურად ისევ,
ბიბლიური გაქვს თმა-წვერი მრეში,
ხალხს ფუტკარივით იზიდავ, ისევ.
იცი მოლხენა მამაპაპური,
ღვინოში ახრჩობ ფიქრებს მწუხარეს,
არავისი გაქვს მტრობა და შური,
სხვა ბოღმით სკდება, შენ რომ მქუხარებ.
შენი ლექსების ფუძე და ლიბო,
არის მამულის სენი და დარდი,
გსურს სიყვარულით მტერიც მოხიბლო,
სწორედ ამიტომ ხალხს შეუყვარდი.
გიყვარს სამშობლოს ყოველი კუთხე,
მაგრამ ქიზიყი სულში გისვია,
როდი შემცდარან, შენ რომ გაკურთხეს,
ამართლებ ნაღდი მგოსნის მისიას.

ᲩᲕᲔᲜᲡ კოლეგას, დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ დამფუძნებელსა და წლების განმავლობაში მის თავმჯდომარეს – **ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲣᲗᲠᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**, 2016 წლის 3 დეკემბერს, **78** წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ბატონ ჯუმბერს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მუზათა სიმრავლეს და შვილთაშვილებში გახარებას!

აქვე გთავაზობთ, ჩემი თხოვნით დაწერილ, მის მცირე ბიოგრაფიულ ჩანახატსა და ასევე, რამოდენიმე გამოუქვეყნებელ ლექსსა და სხარტულას.



ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ

ჩემი წუთისოფლის არცთუ მცირე გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი; ბალღობიდანვე დამეკვება და დამებედა სიმწარე, ობლობა, უიღბლობა. რომ იტყვიან, ქვა აღმართში მოეწიაო, ჩემზეც ითქმება სწორედ. ცხრა თვისა ვყოფილვარ, დედაჩემი რომ დაღუპულა. ჩემდა საუბედუროდ მისი საფლავიც კი არ ვიცი... სამი ობოლი ბალღი, კოჟანდარა მე ვიყავი, ღვთის ანაბარა დავრჩით. ცალუღელა მამაჩემი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ შვილები დაეპურებინა.

ვიზრდებოდით კეთილი მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით.

საშუალო სკოლის რვა კლასი წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში დავამთავრე. მეოთხე თუ მეხუთე კლასში ვყოფილვარ, რომელიღაც საგანში საშემოდგომო გამომაყოლეს თურმე. მთელი ზაფხული თანატოლებთან თამაშში გამიტარებია და ჩემმა დამ თურმე სულ ცემა-ტყეპით ჩამიყვანა სკოლაში და საშემოდგომო „ხუთიანზე“ ჩამიბარებია. ახლა ჩემს დას დაუწყია ტირილი, თუ ეგრე კარგად იცოდი ან რაზე გცემდი, ან საშემოდგომო რატომ გამოგაყოლესო.

დედაჩემი ცლუნკაანიდან, სუხიტაშვილების მრავალშვილიან ოჯახიდან, ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ არ მახსოვს, რომ ბებია ან დეიდები(სამი ადამიანი) ჩვენთან მოსულიყვნენ, ან დაერეცხათ, ან დაეპურებინათ ობოლი დისწულები.

რვა კლასი რომ დავამთავრე, არბოშიკის კოლმეურნეობამ თბილისში, ერთწლიან სამშენებლო საწავლებელში, გამაგზავნა. მისი დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა. პარალელურად არბოშიკის საღამოს სკოლაშიც ვსწავლობდი...

ამ პერიოდში დავიწყე ქართულ სიტყვასთან ჭიდილი. რაიონულ გაზეთში ავიდგი ფეხი და იქ ვაქვეყნებდი ჩემს ნაცოდვილარებს.

უკვე დაღვინებული ვიყავი, ქალაქ რუსთავში რომ წავედი და მეტალურგიულ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. დიდი სურვილის მიუხედავად უმაღლეს სასწავლებელში სწავლის წადილი ვერ ავისრულე. ჯერ სამუშაო სტაჟმა წაიღო რამდენიმე წელი, მერე სასწავლებელში მისატანი საბუთები დამეკარგა. შინაურების დაჟინებული თხოვნა-მოთხოვნით უღელი დავიდგი – ცოლი შევირთე და ბევრი კეთილშობილური მიზანი განუხორციელებელი დამრჩა.

აქვე ვიტყვი, რომ ორი შვილი, ქალ-ვაჟი, ციალა და სოსო, რუსთავში შეგვეძინა, მესამე – კოჟანდარა – დედოფლისწყაროში გვეყოლა, რომელმაც ოცი წელი ვერ გადაიხადა, უბედური შემთხვევით დაიღუპა.

რუსთავში, რაკი ვერც საკუთარ ჭერს ვეღირსე და ვერც სხვა მიზანი შევისრულე, ისევ რაიონში დავბრუნდი. ვმუშაობდი გაზიფიკაციაში, სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგედ, პურკომბინატში, რაიონულ გაზეთში, საკოლმეურნეო გაზეთის რედაქტორად და სხვა...

ჩემი ლექსების პირველი წიგნი – „მამის ცრემლები“ ნაბოლარა ვაჟიშვილის – მალხაზის ტრაგიკული გარდაცვალების მერე გამოვეცი. მას შემდეგ კიდევ გამოვეცი ლექსების კრებულები: „ზედაშე“, „ამაღლება“ და „გოლგოთა“. ჩემი ლექსები შეტანილია ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, კახეთის პოეტთა კრებულში. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი უშუალო ძალისხმევით გამოვეცით დედოფლისწყაროელ შემოქმედთა სამი ტომი(„სალბუნი“). მოვაწყეთ შეხვედრები და იუბილეები რესპუბლიკის და რაიონის კალმის ოსტატებთან. აღსანიშნავია შეხვედრები მაყვალა გონაშვილთან, მარინე ცხვედიაშვილთან, ვენერა ნატროშვილთან, დარეჯან ბატიაშვილთან და სხვა.

მართალია, ჯემალ მეხრიშვილს არავისი წარდგინება არ სჭირდება, მაგრამ რაიონში მისი პოპულარიზაციის საქმეში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის.

ჩემი ინიციატივით, თაოსნობითა და წამოყენებული წინადადებით დედოფლისწყაროს(ყოფილი წითელ-წყარო) ერთ-ერთ ქუჩას შინმოუსვლელი არბოშიკელი პოეტის – დავით პატატიშვილის, სახელი ეწოდა.

საფუძვლიანი არგუმენტებით დავუსაბუთე ოპონენტებს, რომ ტოპონიმი „დედოფლისწყარო“ ძველადევე არსებობდა. ეს ტოპონიმი დაფიქსირებულია ერეკლე მეორის დროინდელ ერთ-ერთი მემატიანის, ხერხეულიძის, მიერ და რომ დედოფლისწყარო დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან.

სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ ჩვენი გვარი დაფიქსირებულია ერეკლე მეორეს რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, როგორც აზნაური.

ჩვენი გვარის წინაპრებს არბოშიკში აუშენებიათ „ხომხელის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე უთრუთაანთ გვარის სახნავ-სათესი ყოფილა. იქვე არის ტოპონიმი „უთრუთაანთ ხევი“.

ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირში რამოდენიმეჯერ გაიმართა ჩვენი გაერთიანების მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ სამი ათეული წლის წინ ჩემი შემოქმედების პირველი საჯარო წარდგენა მშობლიური არბოშიკის სკოლაში მოეწყო. ლიტერატურული საღამოები გამიმართეს გამარჯვების, დედოფლისწყაროს სკოლებში და სხვაგანაც.

ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიღებული მაქვს დიპლომა.

ძალიან მოკლედ და ფრაგმენტულად, აი, ეს არის ჩემი ცხოვრების მშრალი შტრიხები.

11/12/2016წ.

---

* * *

ქიზიყელი კაცი ვარ და
სიჯიუტეს ვერ ველევი,
ქართულ პოეზიის დიდ ზღვას
წყნარ წანწკარით შევერევი,
დიდ მგოსნების ნატერფალებს
მინდა გავყვე მე საწყალი,
მირონივით, იქნებ მათი
პირნაბანი, მეცხოს წყალი.

* * *

ტიალი წუთისოფელი
ისე ილევა, ვათავებ,
ისიც კი ვერ დავადგინე,
ჩემს ჯიშს სადა აქვს სათავე.
ვერც ის გავიგე, რისთვის ვარ,
რა მაქვს ვალი და მისია,
ეს მიწა უფლის ნაკურთხი
ჩემი არის თუ სხვისია.

დავალ ეულად მუდამ საწყალი

ნანა საბანაძეს

არ მინახიხარ, არ გიცნობ დაო,
მაგრამ ვგრძნობ შენი სულის სიკარგეს,
მთელი სიცოცხლე მუზასთან ვდაობ,
ლექსებში მიტომ გადავიკარგე.
ლექსის სახადი ჩემი ხვედრია,
ბალღს შემეყარა ეს მწარე სენი,
მე ჯერ პოეტი არ შემხვედრია
წუთისოფელში იყოს მოლხენით.
ულუკმაპურო ვიყავი მარად,
გულს ვაპურებდი ლექსების წერით,
არ ვიცი, ღმერთმა რად გამამწარა,
მე ხომ მტრისთვისაც არა ვარ მტერი?!
არ შემხვედრია ბეჩავს ჩალხანაც,
გაიზიაროს რომ ჩემი დარდი,
ჩარაზულია რითმის ქარხანაც,
ბებერ გულს ბოლი იმიტომ ასდის.
ქვეყნის ტკივილმაც დამასნეულა,
ეკლად მესობა გულში სხვის ჭირიც,
დავალ საწყალი მუდამ ეულად,
ჩემს სიყმაწვილეს ვგლოვობ, მივტირი.

* * *

თუ არ ხარ გამოფიტული,
თუ არა ხარ მართლა ცეტი,
მწერალზე კარგი ტიტული,
რაღა უნდა იყოს მეტი?!

* * *

არ ვიცი სიტყვის უაზრო როშვა,
იმას ვწერ, რასაც მუზა მკარნახობს,
ყოველი ლექსი ჩემს გულში დრომ შვა,
მინდა, რომ ლექსით დრო გადავლახო.

* * *

გრძნობები ახლა დაღვინდა,
ახლა დაშაქრდა რითმები,
გულო, სხვა მეტი რა გინდა,
მზის მზერითაც რომ ითვრები.

* * *

ამ ქვეყნად კაცი ვინ არი,
იყოს უზადო, უხინჯო,
შენზე თუ ვინმე წინ არი,
ნაკლი არ უნდა უსინჯო.

* * *

ცოცხალი თავით ნუ დათმობ
წინაპართ რწმენა-სალოცავს,
რჯულისთვის თუკი მოგკლავენ,
შთამომავლობა დაგლოცავს.

* * *

არ ვარ მონა, არც ბატონი,
ლუკმა არ მაქვს მუქთა, სხვისა,
უფლის მადლით ვარ პატრონი
ქართულ ენა-მიწა-წყლისა.

* * *

როცა მტერი მქუხარებს,
მაშინა ვარ მწუხარე.

* * *

რაც არ ვიცი, ის ვიცოდე,
რაც რომ ვიცი, ის არა,
მერე რაც გსურს ის მიწოდე,
ოღონდ არა მშიშარა.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ
ᲬᲘᲯᲚᲐᲣᲠᲘ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

თოვლის ყანა თეთრ სიმწიფეს
მოსამკელად იმეტებს.
ქალაქებში ქუჩის ბეღლებს
ამოავსებს სინესტე.
ჩაყინული ფოთლის ნეშოც
მიეთვლება ბარაქას.
თოვლის მარცვალს გალეწავენ.
გააცლიან არაქათს.
ჟრიამულს და ფილაქნებსაც
დაუდგებათ თიბათვის
ცივი ალხი ლამაზია
ვისაც უყვარს, იმათთვის
ეს ზამთარიც, ეს თოვლჭყაპიც,
ეს ქარიც და ყინვებიც...
მე კი თითქოს ავად ვიყო,
ყელში ღამეს ვივლებდე.

ᲛᲝᲛᲘᲡᲐᲙᲚᲘᲡᲔᲗ

გვისაკლისებენ ცარიელ სკამზე
შეუვსებელი ადგილის გამო,
ჩვენ პატივცემულ გვამებს, რომლებსაც
აქვთ კარგა დიდი წონა და კანონს
არღვევენ, დარბაზს როცა აკლებენ
ტაშს, ქათინაურს, სისავსის ვნებას,
როცა ფოტოებს არ ამძიმებენ
მასზე მეგობრულ ღიმილთა შებმით.

გვისაკლისებენ, როცა არ ჰყოფნით
ხმებს - აწეული ხელის ქარები,
სიებს - ჯვრების წილ გვარების აცმა,
ომს - საზარბაზნე ხორცის გრამები,
ქსელს - ლაიქების სიმაძღრის განცდა.
მათრახებს - ზურგი, ტყვიებს - სამიზნე,
ბაზარს - მუშტარი, ობობა - კუთხეს!
აი, ამისთვის გვისაკლისებენ!

მე კი მსურს ჩემი დუმილის გამო
შიშობდეთ! ხმაურს ნურც ელით ჩემგან
ტკივილის გამო, თქვენ რომ მარგუნეთ,
რომ არ მიმიშვით გაყინულ ცეცხლთან,
რომ წვეთი წყალიც არ გაიმეტეთ,
როცა ბაგეზე მეკიდა ალი,
მომისაკლისეთ სიმართლისათვის,
თქვენ საბელს არსად რომ ედგა ზარი!

მომისაკლისეთ შურისგებისთვის!
ყველა უჯრაზე მთვლიდით პაიკად.
გამოიცდებით საცალფეხო გზით,
რომელზეც ვგავდი თამამ ბაიკერს.
ვერ გამაქრობდით, მაგრამ ხელს მკრავდით,
ვუცდი დროს, როცა მომისაკლისებთ
ვინც მმალავდით და თავებს იშობდით,
თქვენც ვიღაც გჭრიდათ სტანდარტულ კლიშედ.

ო, რამდენს, რამდენს დააკოპირებთ
თქვენეულ ბეჭდის ასლით და ტვიფრით.
ერთი ჩიტი ხომ მაინც დამძახებს
დაღლილს, ამ უხმო გაძლების თიბვით.
არ ემსგავსება თქვენ სიჩუმეში
გამოტარებულ ინტონაციებს.
მომისაკლისებს ერთხელ ვიღაც და
სახელს ჩასძახებს ქარის რაციებს.

ᲛᲐᲛᲝᲜᲢᲘ

ეს ჩემი ცხოვრება, დაო პელაგია,
ჩემი სიმარტოვის არქიპელაგია
თ.ჭ.

ჩემი მარტოობა - მარტის ნარატივი,
ზამთრის სიშიშვლეზე კვირტის ღალატივით
ისე უტეხია, მამა ათანასე,
არავისი ესმის ღვთიდან სატანამდე.
მიწურ ბოსლებს თავის სხივით ადარბაზებს.
გინდა, შეაშინე, გინდა, ათამაშე,
პირს არ დააკარებს სხვისგან მოწვდილ ლუკმას,
სახე სავსეობის ანგელოზებს უგავს.
გინდა შეაჩვენე, გინდა დაუყვავე,
გინდა ბაია და ბზები დაუყარე,
ჭიასავით დაგხრის, მამა ათანასე,
რკილად ჩამოგყრის და მტვერთან გათანაბრებს.
მისთვის სულერთია. ქვას დაჰკიდებ, ძოწებს,
იხდენს უკუნსაც და თეთრი ნისლის ძონძებს.
არ ვიცი, ნაყოფი არის თუ ნეკნია,
ვშობე თუ ოდესმე მეც მისგან შემქმნიან

და დამაბრალებენ სევდის მიზეზობით
მე მის ცოლობას და მარად მეზობლობას.
არ ვიცი, რად მიყვარს, მამა ათანასე,
ის ვინც მაცალებს და ცალსაც მაათასებს.
არაფერს იკარებს, არვის ეტმასნება,
დაბადებიდან ვართ ასე, ერთარსებად.
ცრემლის გამჭვირვალე სათოფურიდან ჩანს.
კატაპულტირებაც მიწევს ჟამიდან ჟამს.
არც ტერორისტია და არც ღვთისმოსავი
უნდა რომია და უნდა — ხიროსიმა.
წითელ პარასკევსაც თავს მშვიდად მოიკლავს,
გზაზე დაუწვება ნადირს და მოისრალს.

იმის ბრმა თვალებში მე ჩემ მზერას ვხედავ
მისი სიკერპეა მე რომ მთოკავს ღვედით.

მწიფე ოქროსფერი ყანაა მირაჟის,
უხილავ ზღვებს რომ მღერიან ნიჟარები.
თოვლიდან მზემდეა, ნათლიდან სიბნელემდე,
ერთია და ბევრად მეტია სიბევრეზე.
მაგისთვის სამყარო ჭორია, მისტერია,
მაგისთვის დედამიწაც მხოლოდ ცის მტვერია.
ხანდახან ემგვანება ქარებს და სამუმებს
ხანდახან მეც ვერჩი, ვულეწავ აულებს,
სიზმრებსაც ვურბევ და არ ვაგდებ ძაღლადაც,
ტკივილით დამხელთა და დამაწახნაგა.

ჩემი სიმარტოვე, მამა ათანასე,
სისხლად მექცევა და ისე გადამავსებს,
რომ ის ჩემზე ბევრი იქნება ჩემში და
ვიცი, საკუთარ სიბევრით შეშინდება.
და დაემსგავსება მთაზე ასულ მოსეს,
მე ალბათ ოქროს ფურს, ან რეზინის მოზვერს.
და იქნება ალბათ ეს დიდი კოშმარი.
ჩემს ირგვლივ იცეკვებს ათასი მოშარე.
ნუთუ ნაღველი და ნუთუ სიმარტოვე
ჩემში დამარხული დიდი მამონტია?
ნუთუ არც არსებობს, მამა ათანასე,
თავად ვარ? ვიგონებ? ჩემზე ვათარეშებ?
ან რად ვემონები, რად ვიქეც ნამლევად?
ჩემითვე ვნაყროვნებ, ვნეტარებ, ამ სევდას
ავუვსე ზედაშე ჩემივე სისხლით და
ვერ ვიბედნიერე, ვერ ვხარობ მისხლითაც.

მამა ათანასე, სიტყვა შემაშველე,
გინდა შემრისხე და ჯვრითაც შემაჩვენე,
მხოლოდ მიპასუხე, მითხარი, სიმარტოვე
ცოდვაა, იქაც არასდროს მიმატოვებს?
იქნებ საწნახელი არის სიმარტოვე,
იქნებ სიმარტოვის მტევნებს მიმათოვენ,
რომ ღვინოდ ვიდინო, სიჩუმე ვარაკრაკო
სევდიან დაისს დილის ცა ავაგრაგნო.
ვიპოვო უბრალო, მშვიდი მოტივები
არა ტკივილებით, არა მოტირებით
და შორს გადავრეკო სევდის მამონტები,
ვაფრთხო ყაყაჩოს ამონთებ-ამონებით.
ჩემი მარტოობა - მარტის ნარატივი,
ზამთრის სიშიშვლეზე კვირტის ღალატივით.
ჩემი პლანეტაა, მამა ათანასე,
მასში გაბორჯილს თუ რამე გადამარჩენს,

მხოლოდ სიმარტოვე...

შობა

ახლა მე ვიხდი.
ახლა ჩემი გადახდის დროა.
ახლა მე მაქვს უფლება, გითხრა,
შენზე ბევრად მდიდარი ვარ,
მაცალე, ერთი, თუ გიყვარდე,
დამახარჯინე, ოქროც, ცეცხლიც,
ნავლიც, ნაცარიც.
ყველაფერს ვძლიე,
ყველას ვაჯობე:
შიშს,
სიღატაკეს,
შურს,
საკუთარ თავს,
ბავშვობის ბნელი სიზმრებიდან გამოვაღწიე,
რისი უდაბნო,
რისი მოსე,
რისი ფური,
რისი მანანა.
მე მეტი ვნახე,
მეტი მეტკინა, მეტი ვხოცე აფთარიც, სირიც.
მეტი იმედიც ვზიდე მხრებით,
მეტიც ვინამე,
ვიდრე ერთი ქალისათვის იყო საკმარი.
ჩემი ზარზმის ქვაც თავად ვთალე,
ჩემი კლდეც — თავად,
ჩემი ომიც გადავარჩინე,
ჩემი ღვინოც, ჩემი ზეთიც, პურიც, მარილიც,
სიტყვაც, ამინიც!
ვინ იყო ღმერთო,შენ ხედავდი,
ჩემი პატრონი.
არც არასოდეს დავლოდებივარ,
წყალი როდის აბრუნდებოდა სათავისაკენ,
როდის დამჭრიდა შავი ისარი,
თეთრი შროშანი ჩემს ბაღში როდის იყვავილებდა.
ჩრდილიც მე ვიყავ საკუთარ ბაღის,
ჩეროს თავად ვაწვდენდი სხივებს...
ახლა მე ვიხდი,
ვიდრე მფარავს მხუთავი სივრცე,
ვიდრე ყველაფერს დარქმევია თავის სახელი
ვიხდი მეტსაც, ვიდრე ფასობს
ეს სიმარტოვე - საკუთარი თავის შობა
ზეცის ნეკნიდან.

კიდევ ერთხელ

ვინც შენ გაქებს, სიყვარულო,
ვინც შენ გეალალება,
ვისაც ნეტარებად ექცა
შენგან ტანჯვა-ნამება.
ვინც გაჯობა, დაგამარცხა,
გულში დაგიბინადრა,
ვინც გელოდა, მიუხვედი,
და ფუჭად არ გინატრა.
ვინც სულ გელის, არ აღირსე
შენი კვალი სულზედა,
უბრად დარჩი, არც შეხედე,
მოჰკალ ეგრე უმზერლად,
ვისაც სენად შეეყარე,
ნარღვნად ვისაც მოსჯარდი,
დაიტანე ქვესკნელებში,
ბებერი თუ მოზარდი.
ვისაც არც კი ეკუთვნოდი,
მაგრამ შენად ირჩიე,
ვისშიც თავად აღიკვეცე,
თავი გადაირჩინე,
ვისაც ბევრი ერგე ქვეყნად,
მაგრამ მაინც არ გკმარობს,
ვისაც თვალით არ ენახვე,
აწყევლინე სამყარო,
ყველას მაინც შენზე რჩება
თვალიც, გულიც, ნუგეშიც...
მოდი ერთხელ, კიდევ მოდი,
აფრთხიალდი უბეში.

ᲘᲠᲛᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲡ

* * *

უზარმაზარი სიყვარული მომისაჯეს
შენი ქალაქის თოვლიანმა ქუჩებმა.
მაშინ, როდესაც სხეულიდან
თოვლის გუნდად ჩამომიგორდი.

უკვე ვიცოდი,
რომ უსიტყვოდ უნდა მებრძოლა
ყველა ქუჩასთან, სადაც ლამაზ ტერფებს დადგამდი.
უნდა გამეყო შენი მზერა, შენი სიცილი
ყველა დაღმართთან, მოსახვევთან,
და გრძელი სიტყვით მოგწვდომოდი ჩემგან გაქცეულს.

დღესაც ასეა – სიტყვის ლაგამს გამოგდებ – ხოლმე
და ჩემთვის უცხო დედა – ქალაქს ვეჯიბრები
ხასხასა ხმებით, დედის ხმებით..
რომ მოგახედო წუთით მაინც ჩემი მუცლისკენ,
სადაც თოვლის და სიყვარულის გუნდები დნება.

* * *

ოდესმე აღარ დაგჭირდები –
ამ ჯინსისფერი ქურთუკივით გამიხდი და სახლიდან წახვალ...
მე, ალბათ, კალთას ჩამოვაწყობ გადაღლილ მაჯებს
და სევდაში და მოლოდინში დავიდნობ სახეს

და, ჩემს სიცოცხლეს ოქროს ტოტი ჩამოატყდება...
შენ კი... შენ – დედა გენაცვალოს – უნდა იარო
მხრებგამართულმა, ლამაზმა და სავსემ მარტებით,
სიყვარულებით, სურვილებით, ყოფის ხვიარებს

მხარი უქციო და ხანდახან ხელის წავლებით
უსიტყვოდ ჰკითხო დედის მაჯას – რატომ წრიალებს...
მხოლოდ ხანდახან – თორემ, დედა დაგეწამლების –
შენ უდარდელად, უტკივილოდ უნდა იარო.

* * *

(შიში)

ოღონდ ხმამაღლა ნუ მეტყვი, რომ
ყოველდღე გკარგავ,
შვილო, როდესაც თვალებს ახელ –
დილით, შენი თაფლის მზერა
ფანჯარაზე სანთლად დამდნარ სხივს ეჭიდება.
არაფერს ამბობ, მაგრამ მთელი არსებით იცი, –
გარესამყარო დედის გულზე მეტად გჭირდება.
შვილო,
ერთი საათია დარჩენილი შენს მეექვსედ დაბადებამდე.
მეც ვითვლი წუთებს და მალულად თვალს არ გაშორებ;
ეს თამაშები აქ ისწავლე, ეს ნაბიჯებიც
ეს ღრმა თვალები ვიცი, დაგყვა დედის საშოდან.

დღეს მოვლენ შენი მეგობრები – გისახსოვრებენ
ბალღურ სიყვარულს, ბალღურ სიცილს, სათამაშოებს;
დასხდებით ერთად და მოჰყვებით თეთრი ხელებით
დღითი დღე მშობლებს როგორ დაშორდით.

შვილო, ოღონდაც ნუ მეტყვი რომ სიამით მკარგავ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

დატეხილია ჩემი თითები
და მზერა– ისე სევდიანი–
რომ სიზმრებსაც გადააბრუნებს.
ჩემში მთავრდება ორშაბათის
მშვიდი საღამო
და თითებიდან სისხლთან ერთად
საღამო წვეთავს...

ხოლო ის კაცი,
ვინც ჩემს მზერას მზერა გამოსდო
და გულზე ძაფის გორგალივით
გადაიხვია,
დგას ორშაბათის ჩამოთოვლილ
გზაგასაყარზე...
ჩემი ცხოვრება ორშაბათის შეჯამებაა
და აღარ ვიცი, რას მივენდო,–
ამ კაცის ღიმილს–
რომელმაც ჩემი სევდა
გულზე გადაიხვია,
თუ ბრძნულ ნათქვამს, რომ
ორშაბათით იწყება კვირა
და ხვალე ყველა ორშაბათებს
ჩამოიტოვებს.

* * *

სიყვარულისთვის დაიბადნენ – მაგრამ გაწბილდნენ –
ქალები – ასე ლამაზები, ასე საღები,
ბრმა და სულელი ცხოვრება კი დგას და ამოწმებს
ძველი ჭინჭები გზაზე როდის გაუსაღდება.
სიყვარულისთვის დაიბადნენ – მაგრამ, შეხედე,
ცხოვრებას გონჯი მზერის მეტი არცრა მოუჩანს
ძველი ხონჩიდან, ხელში ასე ხარბად რომ ბღუჯავს,
დავიწყებია ყველაფერი, რაც კი ასწავლეს
სინატიფეზე, მტვრით სავსე აქვს თორმეტი უჯრა,
ხოლო ქალები – ლამაზები და ერთგულები
საკუთარ თავის –
უჯრას ხსნიან გულის კანკალით
და გაწბილებულ და დამტვერილ ხელისგულებით
იხევენ უკან და ცდილობენ სულის ნაკვალევს
რაღაცნაირად აარიდონ ძველი ტალახი,
ან უფრო სწორედ, ტალახიან ფეხის შეხება...
იბრძვიან ისე, როგორც ესმით, როგორც ისწავლეს –
ათასი ჭრელი სიტყვითა და ჭრელი ხერხებით.

პირველ რიგში ცდილობენ, რომ სწორად იცხოვრონ.
...
ისიც ასეა – ჩემი ბავშვობის მეგობარი –
ჩემი საღი და გონიერი სკოლის დობილი –
იბრძვის, სულში ცისფერი რომ გადაირჩინოს.
თუმცა, ცხოვრება, ასე ბრიყვი, ასე შიშველი
და მაინც ბრძენი – სწორ ნაბიჯებს რას აპატიებს,
მუხლებთან ცეცხლის კარვებს უდგამს, რომ დააჩოქოს.
ბრიალებენ კარვის ზურგთან სიტყვის ენები
და იწვის ძველი თილისმები – ის კი ანთია.
თუმცა კი, გული ნახშირით აქვს ამოვსებული.
და გულის კოვზზე სცივა გოგოს – ცისფერბაფთიანს.

იქ კი, მეორე ქუჩის ბოლოს, მტვრიან ფანჯრებთან
დგანან ცხოვრების ერთგულები, ნებიერები
და უმზერენ ცეცხლის კარავს აუღელვებლად
და ცრემლის ნაცვლად თვალებიდან შური გადმოსდით –
ალბათ ქუჩას გადმოჭრიდნენ, ჯვარს გააკრავდნენ
სიარული ასე რომ არ ეზარებოდეთ.
...
განა არ იცის, რომ გაწირეს, განა არ ახსოვს,
როგორ სტკიოდა მკერდთან ზეცა, ტერფთან იები,
მაგრამ, ქარს მაინც აგებებდა მშვენიერ სახეს,
წვიმის დროს მაინც ივიწყებდა უპატიებელს

და წერდა ლექსებს და დღიურებს ნატიფი ხელით,
მაინც უყვარდა და მკლავებზე გამოყრილ სიზმარს
იდებდა თავქვეშ და ღამეებს სიცოცხლისხელას
დამტვერილ ქუჩას აფარებდა დაფჩენილ პირზე.

...
ახლაც, ქუჩაში როცა დადის – არაფერს იმჩნევს,
ლამაზია, ბრწყინვალე და უბერებელი.
გამვლელებმა არ იციან, რას დაატარებს.

მე თვალს ვადევნებ და ვერ ვხვდები,
ბრმა ცხოვრებამ ასე რატომ აითვალწუნა,
რატომ ვერასდროს აპატია სიცოცხლის ნიჭი
და სინატიფე
და ცხოვრების ნიჭის არქონა.

ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲘ

„იტყვიან-საცერში ფქვილივით არჩევდა ქატოსგან სტრიქონებს“
კატო ჯავახიშვილი

სურვილი თუ გაქვს, გადაფურცლე ჩემი დღიური,
იქ წერენ წლები, „დაირღვაო ჭრელი განედი“,
იქ მზის მხურვალე თითებია ჩასაფრებული
და საიდუმლო, რითაც ალბათ გაიხარებდა
ყველა ავდარი, რომ სცოდნოდა, რატომ მიდიან
მიწის გულიდან ცის გულისკენ, რატომ დარდობენ
ყველა საღამოს, ყველა სიზმარს,- ჭრელს და ბინდიანს,
რატომ კოცნიან ქალის თითებს-გრძელს და სანდოებს-
როცა უნდათ რომ მიატოვონ,- უთხრან „წავედი“,
მაგრამ ქატოდან ვერ არჩევენ მარცვალს სადავოს,
იშლება სულში ჩაკირული ჭრელი განედი
და წვიმა დასდის ქალის სევდას-ღრმას და გადამდებს.

ᲙᲚᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘ

ჩემი ზურგია სისხლიანი
და ხერხემლიდან ამოზრდილი მოუთმენლობა
თვალებით კვეთავს
სინანულით დაღვარჭლულ კისერს,
შევჩერებივარ მოფრიალე ნისლის ნაწნავებს
და მარტოობას აუხდენელ სურვილით ვივსებ.
ერთ დროს თავადვე ავიკრძალე, რომ ხელებიდან
ამომეზარდა სიყვარულის ლამაზი ვარდი
და, ახლა, ზურგის სისხლიანი ლაქები მამხელს
რომ ფესვში ჩაზრდილ დანაშაულს ძალიან ვდარდობ.
...
და ნისლის თეთრი ნაწნავები სურვილებს კვეთავს.

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

მზერაში ყვავის მიწის ეკლები,
ზეცის ეკლები,
ახლა მწვანედ უნდა მფერავდე.
დღეს შეცვლილი ვარ,
თანაც მახსოვს, ცხელი ნეკნიდან
დიდი ხნის წინათ ზეიმით რომ ამოგეზარდე.
ამიტომ, ალბათ, მტვრიან სიტყვებს ვეღარ ავიტან.
...
– ნუ მეტყვი, მხრებზე მარტის ბოლოდან
ჩამონაწრეტი ხავსი მაწევსო.
ოცნება ისეც ღრუბლით სავსე მაქვს,
მუჭები ისეც ნამით ამევსო.
თვალები ისეც ზეპირად გსწავლობს
ასე ძალიან მთასავით მაღალს,
მზე რომ გაცხუნებს, ყოველი სხივი
ჩემს მკლავებს დანის წვერივით დაღავს.
რომ გაწვიმს, ჩემი თვალების ეკლებს,
ან უფრო სწორედ ეკლიან სასწორს
ხავსიან მხარზე მდუმარედ გადგამ
და სანამ მიწის ნაპრალი გასწოვს
წვიმის ნახევრად სევდიან რაკრაკს –
ნახევრად ვდგები და გიწვდი მკლავებს,
რომელზეც მარტის ფერები დამკრავს.

ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲙᲐ

არ მომწონს შენი სიყვარული–პათეტიურია–
მეუბნება მეგობარი,
რომელიც არის და არც არის მეგობარი,
რომელიც ორპირია, მაგრამ გული საგულეს უდგას.
მე მისი ორპირობის ცეცხლზე დავდივარ.
ძალიან ძნელია, მყავდეს მეგობარი,
რომელსაც ხელში უჭირავს დანა,
რომლის ერთი ბასრი პირით ჩემს დაცვას ცდილობს,
ხოლო მეორე პირით ალბათ ძარღვს გადამიჭრის,
თუ გავბედე და ორი სიტყვით მეტი წამომცდა.
ძნელია მქონდეს ორი სიტყვით მეტი ძარღვებში,
ძნელია სიტყვა დამდიოდეს სისხლის მაგივრად,
თანაც უფრო მწარე სიტყვა, – ვიდრე მჭირდება!
ხოლო ჩემი მეგობარი ლესავდეს დანას
და მზად იყოს, საჭიროების შემთხვევაში
დაუნდობლად გამოფხიკოს პათეტიკა
ჩემი ძარღვიდან.

გივი
ჩიღვინაძე

ალაზნის ველი

წინანდლის კართან შემომხვდი წამით -
საღამოს მშვიდი ბაღი ვნახეთ იქ -
და გულთან გაკრთი, ვით ნაპერწკალი...
გამოვიქროლეთ მერე კახეთი...
შემოგვეგება გომბორზე მთვარის
შუქზე მავალი უცხო ლანდები -
თავშეწირული თუ ნაომარი,
გარდასულ დროთა სული რამდენი!..
გამომყვა ფიქრად იმ მთების ძილი,
ვრცელი ყანები და ვენახები,
კავკასიონზე ღრუბლები მძიმე
და ძირს დამშრალი ძველი არხები...
მეც მიწა მტკივა დღეს დაუცველი,
ვეღარ ამოველ ამ წვალებიდან
და მშვენიერი ალაზნის ველი,
ნამზერი შენი წამწამებიდან
მხიბლავს და ათასწლეულთა ნაცვლად
ახლაღა მინდა, თვალი მოვავლო...
ვის შერჩა კიდევ მამულის განცდა,
სად მიდის ჩვენი გზა სამომავლო?!.

ყაყაჩოები ქართლის ველებზე

სანამ იმერეთს და რაჭას მოვივლიდე,
მანამ ქართლის ველთა ელვა დამაჩოქებს -
დილის სხივ-ნიავში ნაზად მოლივლივეს
მშვიდად ვეფერები ულევ ყაყაჩოებს.
თვალწინ მომავალთა რწმენად გაიქროლეს
შინდის-კარალეთმა-ფხვენის-ვარიანმა,
თუმცა მტკივნეული სევდა გავიყოლეთ,
გული გაგვიშალა მხარემ დარიანმა.
ყაყაჩოები კი მართლა იმდენია,
წამით გვავიწყდება ყველა გასაჭირი,
მეტს რომ გვპირდებიან, ქართლის მინდვრებია
მტრისგან უმოწყალოდ წელზე გადაჭრილი.
ნიქოზს მოშრიალე დიდი ნიგვზებია,
კიდევ სიზმრებია მთამდე ასულები,
ჩვენი მიზნებია, აქ რომ იზრდებიან
ლაღი ვაჟები და ანცი ქალწულები.
ისევ სამერმისო იმედს დავიგულებ,
რადგან არ ვიკადრებ ბედთან შევაჭრებას...
გამოვიყოლებდი ლამაზ თაიგულებს,
მაგრამ შენს ნახვამდე ხელში შემაჭკნება...

ჩვეულებრივად

ჩვეულებრივად შევყურებ ზეცას, -
არ ვდარდობ ყვითელ ფოთოლთა ცვენას, -
თითქოს ამქვეყნად მარადის ვივლი
და უსასრულოდ შევძლებ მის ცქერას...
ჩვეულებრივად, როგორც ნიავი,
ჩამივლის მშვიდად, მხიბლავს თვალებით -
იქნებ ისაა ნანატრი ქალი,
ვისაც ნამდვილად შევიყვარებდი...
ჩვეულებრივად მივდივარ მთებში,
როცა ეულად ყვავის იელი,
ვივსები ნაცნობ დუმილის თმენით
და მონატრების სიცარიელით...
ჩვეულებრივად ვაბნევ ამ პწკარებს,
აღარ მანაღვლებს, ასე რომ ვცდები,
თითქოსდა მეტი საქმე არ მქონდეს,
ანდა მიზანი, რასაც ვერ ვწვდები...

მამიდა

ეზოში ვარდნარს და კოინდარს
ხეხილი ჩრდილს ჰფენდა მაღლიდან...
ჩვენს ნახვას ცის გახსნას ადრიდა,
ხარობდა, ჩქარობდა მამიდა -
უეცრად რა სუფრას გაშლიდა,
რა სიტკბო-სიყვარულს დაღვრიდა! -
თან თონე, სამზადი, ბოსტანი -
მამიდას განა რა დაღლიდა?..
სევდიან ღიმილით ვტოვებდით
და ისევ გვნატრობდა თავიდან:
- ე, ბიჭო, რა ხანი გავიდა...
- ე, ბიჭო, რა ღვინო დაღვინდა!..
რამდენი ყვავილი ჩამოჭკნა,
რამდენი ზაფხული გაფრინდა...
რამდენჯერ ვისტუმრეთ ზამთარი -
სულშიც რა ლამაზად ბარდნიდა!..
ტიროდა ზეცა და სოფელი,
როდესაც იმ ქვეყნად წავიდა...
წარსულის ცრემლიან თვალიდან
ყოველთვის გვიყურებს მამიდა...

იქ, ზეკრეერთან

ბოლოს მიხვდები, რომ არ მეშლება,
შენც დარწმუნდები, ასე გერჩივნა -
მოფრენილიყავ, ჩემთვის გეშველა
და შენი თავიც გადაგერჩინა.
ვყოფილიყავით ჩემს ძველ ბუდეში,
სადაც წარსული იმედს თესავდა,
ფერად ქედებზე მარად ნუგეშად
ლაღი სხივები გამოგვესახა...
ამ ქვეყნის გზებზე თუკი ავცდებით,
მონატრებები ფიქრს დამიქარგავს,
ღრუბლებს ააღწევს ჩემი განცდები
და ზეციერი არ დამიკარგავს...
იმ სამყაროში სევდად დაღვრილი
ღმერთს მადლს შევწირავ, თუ მოხერხდება -
თუ ჩემი სული ქროლვით დაღლილი
შენს სოსანისფერ სულსაც შეხვდება...

ქეთევან ნათელაძე

ხელების სიბრძნე

სხვისი ხელების რომ დაკარგეს საჭირო სითბო,
განშორებისას, პირველ რიგში ხელებმა იგრძნეს,
სიცოცხლის ბოლოს ხელებს მუდამ იკრეფენ გულთან,
გულის კი არა, ასეთია ხელების სიბრძნე.
ხელები... ზოგჯერ უფოთლებოს მოჰგვანან ხეებს,
და ზოგჯერ კიდევ მოუგებელს იგებენ ომებს,
ჯერ არასოდეს არაფერი შეშლიათ ხელებს,
სიბრმავის შემდეგ ძვირფას სახეს ხელები ცნობენ...
ბნელ ოთახებში ღმერთი მოდის, იხსნება გზები,
როს პირჯვრის წერით აღავლენენ ხელები ლოცვას,
და უყვართ ხელებს სიგიჟემდე მისული ვნებით,
გათენებამდე შეუწყვეტლად უკრავენ როცა.
აქვთ საიდუმლო რიტუალი სიზმრების ფერი,
როცა შეხებით ერთმანეთში აურას ცვლიან,
და კანკალებენ, ეშინიათ ბავშვივით ხელებს,
როდესაც კარზე, ნაცნობ კარზე ზარს რეკენ გვიან...
ხელები... ხელებს უხმო სევდის ფერი აქვთ ხშირად,
და გული გინდაც იყოს ბევრი სიცრუის მცველი,
ხელებს არასდროს შეუძლიათ ტყუილი მცირეც,
ანაბეჭდები უტყუარი არსებობს ხელის.
ხელებს შეატყობ ემოციას ღმერთივით ნამდვილს,
და როცა ირგვლივ თამაშდება უნიჭო ფარსი,
ზოგჯერ ისეთი დაღლილია ხელები დარდით,
კოცონის ალზე დაღვენთილი სანთლების მსგავსი.
არავინ მოდის იმ წუთებში ხელებთან შველად,
და იპყრობთ ხელებს ტკივილივით ნაცნობი ელდა,
როცა გაირბენს ჩემი ყოფნის სადგური ყველა,
ჩემი ხელები გინატრებენ ყველაზე მეტად...
ენთება ცაზე მთვარე, როგორც წითელი მოცვი,
გაირანდება ყოველივე ათასგვარ ფერში,
და ჩემს თვალებში ჩაქრებიან შუქები როცა,
ჩემი ხელები მოგძებნიან უმიზნოდ ბნელში.
სხვისი ხელების რომ დაკარგეს საჭირო სითბო,
განშორებისას, პირველ რიგში ხელებმა იგრძნეს,
სიცოცხლის ბოლოს ხელებს მუდამ იკრეფენ გულთან,
გულის კი არა, ასეთია ხელების სიბრძნე.

მეგობარს

მე ბოლოს შენთან მიკითხავენ და შენ პირობას
ამ ბოლოჯერაც შეასრულებ - არაფერს იტყვი...
შენ იტყვი სიტყვებს ზერელეს და უფრო პირობითს,
რამეთუ სხვა მხრივ საშიშია ყოველი სიტყვა...
ნუ ისაუბრებ დეტალებზე, ზუსტ თარიღებზე,
როდის მოვედი, დაგირეკე ბოლოჯერ როდის,
გკითხავენ პირად შეგრძნებებზე, ნუ აღელდები,
უბრალოდ მოკლედ უთხარი, რომ არაფერს ვგრძნობდი.
მოყევი რამე, მაგალითად რომ ვუყურებდით
ამ ცოტა ხნის წინ, სამხრეთისკენ მიმავალ ბატებს,
რომ ყვითლდებოდნენ ნეკერჩხლები ნაცნობი სევდით,
და ფანჯარასთან დიდხანს თვლემდა მეზობლის კატა...
თქვი, რომ არ იცი არაფერი ამაზე მეტი,
და კაცმა რომ თქვას, არც ესაა ძალიან ცოტა,
გეტყვიან, თუ რამ დაგიბარე, ვერც გაამტყუნებ,
ხომ შესაძლოა, რომ სათქმელი რაიმე მქონდა...
შენ უპასუხებ - არაფერი ყოფილა მსგავსი,
არავითარი წერილები, არცერთი სიტყვა...
მე ბოლოს შენთან მიკითხავენ და მერე არსად...
შენ კი პირობას შეასრულებ - არაფერს იტყვი.
და ყოველგვარი შესავლების გარეშე ასე
შენ შეგიძლია დაამატო, რომ იყო თოვა,
რომ სათქმელია არაფერი, ხოლო კითხვაზე
თუ როდის მოვალ, შენ იტყვი, რომ მე აღარ მოვალ.
...იტყვი, რომ დავრჩით მეგობრებად და პირველ ყოვლის
ისედაც დიდხანს ვიმეგობრეთ, უხსოვარ დროდან...
რომ მე წავედი, სულ უბრალოდ... და იყო თოვლი,
აუარება თეთრი თოვლი და ყველგან თოვდა...

* * *

გრძნობის ამოიხსნა ყველა განტოლება,
მეტად უფალზეც კი ცა უშორესია,
ქალაქს რომ მოიცავს ნისლი მარტოობის,
შენი გახსენება არის პოეზია...
ისე ურითმოა ზამთრის შესავალი,
დღეებს აღარ მივსდევ, დროის შარლატანებს,
ეს გზა აღარაა ახლა მზის სავალი,
ქარში ოლეანდრებს სული გავატანე.
სათქმელს მომლოცველნი ღმერთებს უბარებენ,
და ჰქრის ქარიშხალი მეტი განაზებით,
შორი ღამეები ისევ მდუმარებენ -
- მთებში ჩაწოლილი შავი ავაზები.
რაც დრომ თან წაიღო მასთან დამგვანებით,
მეტად უფალზეც კი ცა უშორესია,
ქუჩა რომ ირთვება თოვლის მაქმანებით,
შენი გახსენება არის პოეზია...

* * *

ის შემოდგომა სულ სხვანაირად ყვითლდებოდა და თოვდა,
მაინც ვერ გავძლებ რომ არ ვიკითხო,
ალბათ ხიბლი აქვს კითხვებს,
მაგრამ პასუხი, როგორც ასეთი,
ვიყოთ გულწრფელი მოდით,
აღარ არსებობს თავისი არსით რამის შინაარსს ცვლიდეს.
ისე გაქურდა ის შემოდგომა ცივმა ქარების გუნდმა,
ასე მგონია რომ აღარ მოვა, მაგრამ რა შერჩათ ქურდებს...
მაინც ვიკითხავ, ლოგიკურია კითხვა ასეთი თუნდაც,
თუმცა ვინ იცის, ცოდნა სიმართლის, იქნებ არც უნდა მსურდეს.
კომიკურია ეს ყველაფერი, და ამავე დროს სევდით
სავსეა, თუმცა ვიკითხავ მაინც, იქნება ვინმეც მისმენს,
როგორ შეეძლოთ ასე გულგრილად არ შეემჩნიათ ღმერთი,
ხეზე, რომელზეც თავი მოიკლეს, როგორ აყვავდა ისევ...

რა უნდა მოხდეს...

ჩემს მარტოობას მე და ღამის სიცივე ვიყოფთ,
ის დროა, როცა უაზროა იმედიც, მოცდაც,
ამაზე უფრო პოეტური რა უნდა იყოს,
შენ გაგიხსენებ ყოველ ჯერზე, იწვიმებს როცა...
როცა ქუჩები აჰყვებიან წვეთების ციმციმს,
ნესტიან კედელს მივეყრდნობი როდესაც უბრად,
მომიტანს ქარი იმ ძველ დროდან ჩვენს მართალ სიცილს,
რა უნდა იყოს მშვენიერი ამაზე უფრო!..
მახსენდები და ჩემს ოთახში შემოდის ღმერთი,
და სასთუმალთან თენებამდე მიკითხავს ლოცვებს,
სულიც, სხეულიც უშენობის მოიცვა სევდამ,
ამაზე უფრო საოცარი რა უნდა მომცე...
არის ტკივილი, რომელთანაც ფუჭია სიტყვა,
და არის გრძნობა, რომელსაც ჩირქს არ სცხებენ განსჯით,
ამაზე უფრო უანგარო რა უნდა იყოს,
ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა და მარტონი დავრჩით!
ბოლოს ცხოვრებაც კულისებში მოიხსნის ნიღაბს,
ხელისცეცებით სიბნელეში სასწაულს ვეძებთ,
ამაზე უფრო საუკუნო რა უნდა იყოს,
რომ ვიცხოვრებთ და ერთად ყოფნას ვერასდროს შევძლებთ.
რომ წლები კართან დატოვებენ ვერნანახ სიზმრებს,
გააშენებენ აუხდენელ ოცნებებს ბაღად,
გვემახსოვრება ერთმანეთი კადრივით მზისფერ,
ამაზე კარგი დასასრული არსებობს რაღა...
ჩემს მარტოობას მე და ღამის სიცივე ვიყოფთ,
ვუთვლი უშენო შემოდგომას მომაკვდავ ფოთლებს,
ამაზე უფრო მშვენიერი რა უნდა იყოს,
ამაზე უფრო მშვენიერი რა უნდა მოხდეს...

ᲯᲚᲐᲠᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲚᲔᲜᲔᲡ ᲒᲝᲓᲔᲑᲐ

ნაწყვეტი პიესიდან
„დიმიტრი ყიფიანი“

მამა მომიკლეს!...
შენ კი— შვილი, მამულო ჩემო,
გათენებამდე რამდენიმე წუთი რომ აკლდა...
მაინც გათენდა!
იმ სუდარას, მამას რომ ერგო,
საქართველოსთვის ამზადებდა მტერი ქართველთა!
მამა მომიკლეს!!!
შენ კი— შვილი , მამულო ჩემო!
ერის ქომაგის აკვნესებულ გულში ატირდა
აწმყო,წარსული,მომავალი ბინდი სოფელის!
ვინ გაუყინა ძარღვში სისხლი,სადაც ძალუმად
დანავარდობდა სიყვარული,მხოლოდ ქართული?!
მამა მომიკლეს!...
შენ კი—შვილი,მამულო ჩემო!
მიიღე მისი გული,როგორც უფლის ნობათი!
მიიღე მისი სისხლი,როგორც წყალი მწყურვალთა!
მიიღე მისი სული, როგორც თბილი ნიავი,
მალამოდ იყოს და ნუგეშად,ადამიანთა!

ეს რომ სცოდნოდა,უკვდავების კვართს უკერავდა,
მწამს, მტერი მისთვის სიკვდილსაც არ გაიმეტებდა!

მძიმე და ძვირფასი ტვირთი

მე გუშინ სიმშვიდე მაჩუქეს,
გზადაგზა ვარიგე მერე...
მე გუშინ ლექსები მაჩუქეს,
ლექსები შენზე და ჩემზე!..
მე წუხელ მუზებით დამათვრეს,
რამდენი ბადაგი შევსვი!..
ო,მართლა რამხელა ტვირთია,
ქალისთვის ოჯახი, ლექსი!
მე წუხელ იმედი მაჩუქეს,
მაშინვე ჩავისვი მკერდში,—
გაუძელ, შენ ჩემო საკინძევ,
ესაა ნობათი ღმერთის!
მე წუხელ ღიმილი მაჩუქეს,
ვხედავდი ათასგვარ ფერებს,
ვისმენდი და ჩემად ვითვლიდი
წუხილით ნათრთოლებ ბგერებს!...
მეგონა, იარას მიხვევდა,
ნუგეშად, პოეტთა იღბლის,
ქალი თუ მუზასთან თამაშობს,—
ათმაგად მძიმეა ტვირთი!
შვილს და ლექსს ნიავს არ აკარებ,
ორივეს გაუშლი ფარდაგს
და მაინც ვერსად ვერ გაურბი,
თვალს, ეჭვით სავსეს და ფარსაგს!...
სახე და სახელი გერევა
და მაინც ...მარტო ხარ მუდამ,
მძიმე და ძვირფასი ტვირთია,—
ოჯახი, შვილი და მუზა!...

პოეზიის ქარბუქი

აქ ლექსებით
აშენებენ სამოთხეს,
რა თილისმა ჰპოვეს
ნეტავ,წარსულში?!
ღვთის ეჟვანი
საოცარ ხმებს
გამოსცემს,-
პოეზიის ქარბუქია
ხაშურში!..

დე,წაიღონ...

დიმიტრი ყიფიანის
წერილი სტავროპოლიდან

შეწყალება არ ითხოვოთ არსად,
შეწყალებას დამნაშავე ითხოვს!
მოყვარული მიწისა და ხალხის,
არ მგონია, განსასჯელი იყოს!...
დე, წაიღონ მაბადია რაც კი,
ჩემით გავცემ,გასაცემი რაც მაქვს!
სიყვარული მრჩება ჩემი ხალხის,
სიცოცხლეს ვთმობ, ის კი საფლავს ჩამაქვს!
შეწყალება არ ითხოვოთ, რადგან,
შეწყალებას დამნაშავე ითხოვს!...

ფიროსმანი

დადიოდა როგორც დარდი,
ფეხადგმული ნახატი.
როს ცხოვრება გულ—მკერდს სწვავდა,
იგრილებდა შარბათით...
ქანაობდა როგორც ნავი,
ნიჩბად თეთრ ფუნჯს ხმარობდა,
ბედი შორ-შორ უღიმოდა,
ახლოს სულ არ სწყალობდა!
წამი შერჩა სანატრელი
გულის ბოლო ცემამდე,
ის, როს წითელ ვარდებს ჰფენდა
მუშტაიდის სცენამდე...
გული გატყდა, მაგრამ ფუნჯით
წლები ისე შეწებდა,—
ჭიქა ღვინის მათხოვარმა
უკვდავებას შეჰბედა!
და დაისში, განთიადის
ხმას აფრქვევდა ნაღარა,
რადგან სისხლის ბოლო წვეთიც
პალიტრაზე დაღვარა!...

ფერეიდანული ელეგია

ასე ნუ მიმზერ, მეგობარო,
შენი ჯიშის ვარ,
დრომ თავს რომ ჩალმა მომახვია,
მე ის ბიჭი ვარ!...
ირანის ქვიშამ დამიხრუკა
ფეხის გულები,
ალბათ, ამიტომ, მაგ მიწაზე
ვეღარ ვბრუნდები...
ვიცი, არ შეცვლის
ეს ყრუ გმინვა ახლა არაფერს,
მზე გაცრეცილა,
ღრუბლიანში ვაღებ დარაბებს!
რწმენა ვიცვალე, სხვა არ იყო
გზა და საშველი,
მაგრამ იცოდე, მაინც მქვია
ბიჭო, ქართველი!
იქნებ გგონია სპარსული მაქვს
ზნე და ჩვევები?!
ქალს არც მათ ვაძლევთ,
არც იმათსას არ ვეჩემებით...
არ გაიკარეს, ვერ იგუეს
ჩადრი სახეზე,
საქართველოსკენ წამომსვლელ გზებს
ასე დავეძებთ!..
ჭკნება იმედი, მიწის ყივილს
ვისმენთ შორიდან,
ახლა მაგ ცის ქვეშ სიკვდილიც კი
შვებად მომინდა...
ფერეიდანში სოფლებს ვარქმევთ
ქართულ სახელებს –
მე ეს მარტყოფი ჩემი მიწის
სურნელს მახსენებს...
ვით სამშობლოში დაბრუნება
სხვებს არ ეღირსათ,
ფერეიდანი საფლავია
ჩემი ბედისაც!..
აქ, სიზმარშიც კი, ნეტარებას
ზღუდავს საზღვრები,
აკაკის ფირუზ ცას მახარბებს
მთები ყაზბეგის...
...
ასე ნუ მიმზერ, მეგობარო,
შენი ჯიშის ვარ,
დრომ თავს რომ ჩალმა მომახვია,
მე ის ბიჭი ვარ!..

მხოლოდ ქართულად

გადამითრგმნეთ, ცხელი გული გადამითრგმნეთ,
ატატებული გრძნობა თარგმნოთ, იქნებ ჩინურად,
გადამითრგმნეთ უნაზესი სულის სიმძაფრე
ან ქართული ცის ცისარტყელა თარგმნეთ ფინურად.
გადამითარგმნეთ , გთხოვთ, მთაწმინდა გადამითრგმნეთ,
გადამითრგმნეთ ბერმუხა და ცეცხლის ღადარი,
გადმაითრგმნეთ უფლისციხე, მერე ვარძია,
უცხო პალიტრით მომიხატეთ ფრესკა თამარის.
გადამითარგმნეთ დიდოსტატის დიდი მარჯვენა,
სვეტიცხოველში ცხელი გულის თარგმნეთ საფლავი,
გადამითარგმნეთ, როგორ იცავს მიწას მადლიანს,
გალაკტიონის იისფერი თოვლის საბანი...
გადამითრგმნეთ, „კაკალ გულში“ გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ, „გენაცვალე“, თუნდაც „გეთაყვა“,
დედაენაში აკინძული ჩვენი ფოლკლორი,
მითებითა და ლეგენდებით სავსე ქვეყანა!...
გადამითარგმნეთ, ქარაფები გადამითარგმნეთ,
მერე მათთვისაც გამოძებნოთ ახსნა, ეგების, –
თუ რად წამოსცდა მოყმის დედას სიტყვა სამძიმრად,
დაე, იცოდნენ, სისხლით სისხლს რომ არ მიეგების!..
გადამთარგმნეთ, უფლის მადლი გადამითარგმნეთ,
ტატოს მერანი, ნახე, როგორ მიჰქრის ზღაპრულად,
გადამითარგმნეთ, საქართველო გადმაითარგმნეთ,
ვით ათრთოლდები თუ არ ითქვა იგი ქართულად?!



ᲐᲜᲖᲝᲠ ᲡᲘᲤᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲛᲔᲤᲔ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ“

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲓᲐᲜ

* * *

ცას აღმოსავლეთით უკვე ნათელი შეჰპარვოდა, როცა ვახტანგ მეფე სასახლის აივანზე გამოვიდა, დილის სიგრილით დანამულ მოაჯირის ბრტყელ ქვებს დაეყრდნო და როდესაც სიცივე იგრძნო, სინოტივეშერჩენილი თითები ლოყაზე ჩამოისვა. რა საამო იყო ეს სიგრილეც და ეს სისველეც! რაღაც სურნელებაც დაჰკრავდა თითქოს, სხეულში ლოცვასავით შემოდიოდა, ძარღვებში ცხელ სისხლად იქცეოდა და აბრუებდა, როგორც ახალდაყენებულმა ღვინის სუნმა იცის ხოლმე, კაცს რომ ოცნებისა თუ შეუცნობელის ბურუსში გაახვევს. რიჟრაჟი ხომ ის დროა, როცა ზეცა უნაზესად ეალერსება დედამიწას, მის სხეულზე სამკაულივით მბრწყინავ თავაღერილ ბალახებს, მცირე ხნის წინ შრიალით ჩამოცვენილ ფოთლებს, თითქოს ჩაძინებულ წყაროს(ერთი პირი წყალსაც ჩაეძინებაო, ხომ არის ნათქვამი), წითელ კრამიტებს, ერთმანეთზე რომ გადაუდვიათ მკლავიცა და თავიც, მაყვლისა თუ ასკილის ბუჩქებს, ხელები რომ ისე გადაუხლართავთ ერთმანეთში, თითქოს სიყვარულს ეფიცებიანო... ხოლო ყვავილები, ათასფერად გადაშლილნი, სიხარულით ისველებენ პირს ზეცის ამ ნაჟურით, რომელიც, არავინ იცის საიდან ჩნდება და ვერც ვერავინ ხედავს...

ამ დროს სვეტიცხოვლიდან ძელთა რეკვა გაისმა და ვახტანგმაც ფეხი კიბისკენ გადადგა, მაგრამ თითქოს სხვა ხმაც ჩაესმა, ჟამდაჟამ ჯერ კიდევ ბავშვობიდან რომ ჩაესმოდა და შეუცნობელი სივრცეებისკენ უხმობდა. შეჩერდა, გაირინდა და ყური მიუგდო. ვინ ეძახდა, ვინ უხმობდა, ვინ იზიდავდა? ვინ მოუწოდებდა: „ვახტანგ, ვახტანგ“? თავს ვინ დასტრიალებდა, შუბლს ვინ ემთხვეოდა, გვირგვინს ვინ ადგამდა? საით უბიძგებდა, სად მიჰყავდა, რას მიანიშნებდა?

ვახტანგ, ვახტანგ,

ვინ გეძახის? რად გიხმობს? რად მოგიწოდებს?

ვახტანგ, ვახტანგ,

შენ თავად ვინ ხარ, რა გსურს, რას ესწრაფვი, საით მიიწევ?

ეგე ხმალი შენი უძლეველი, ეგე ფარი შენი ვიგრის ტყავისა, ეგე მათრახი შენი მაჯისსიმსხო, ეგე მუზარადი შენი ლომის და მგლისა სახიანი, ეგე მერანი შენი ერთგული შავრონი, საით მიყავხარ? სად მიგაქანებენ? საით მიგიხმობენ? რაად გვედრიან სვლას შეუჩერებელს?

ვახტანგ, ვახტანგ,

გიხმობენ, გიხმობს მტკვარი და არაგვი, ალაზანი დიდი და მცირე, თერგი... თერგი! ეგრისისწყალი! ფაზისი!...

პონტო, კიდით კიდემდე გადაშლილი, ერთიან ქართლის ნებას დამორჩილებული პონტო...

ვახტანგ, ვახტანგ,

აჰა სუნთქვა შენისა ქართლისა, შენისა მცხეთისა, შენისა უფლისციხისა, სარკინე–ქალაქისა, კასპისა, სებასტოპოლისისა, ფაზისისა... აჰა სუნთქვა შენისა ნიკოფსისისა, რომელ ჰქმენ სამანად ქართლისა ქვეყნისა დასავლით, ხოლო აღმოსავლით...

აღმოსავლით? ჯერეთ ადრეა ამის თქმა, ჯერეთ, თორემ კავკასს რომ სამი მთავარი კარი აქვს, სამი გადმოსასვლელი, სამი ყელი–ყველამ იცის: დარიალის, ნიკოფსისისა და დარუბანდის.

პირველი და მეორე შენ იგდე ხელთ და შენ გმორჩილობს, მესამე?..

ვახტანგ, ვახტანგ,

ის, რაც ვერ ჰქმნა ფარნავაზმა, ვერ ჰქმნა მირიანმა–შენ ჰქმენ და დაიმორჩილე ველურნი იგი ჩრდილოეთისანი. შენი ხმლის ქვეშ ერთიან ჰქმენ ჯიქეთი, აფსილეთი, ეგრისი, სვანეთი, ტაო გმორჩილებდა, კახეთი გმორჩილებდა, ფხოვი შენი დროშის ქვეშ შედგა.....

ვახტანგ, ვახტანგ,

ჰქმენ ქართლისა ქვეყანაი არნახული, მძლავრი, გაშლილი, მრისხანე მტერთათვის...

და აწ ძალგიძს ლაღობდე, ხარობდე, იშვებდე, ნებივრობდე,

გარნა...

გესმის, რას გენუკვის ბებერი მცხეთა? სვეტიცხოველი, შენს მიერ განახლებული?

რას გთხოვს ერთიანქართლი?

რა არის წინ, ერთი წლის, ათი წლის, ოცი წლის შემდეგ?

ვინ გეძახის:

–ვახტანგ, ვახტანგ,

–მე მცხეთა ვარ და ჩემში დის სისხლი მარად მჩქეფარე, მაგრამ შენ ახალი სიცოცხლე უნდა შთაბერო ძარღვებსა ჩემსას!

–მე ციხე ვარ მთას გადმომდგარი, ვითარც არწივი და ცად უნდა ავფრინდე, მზეს მივუახლოვდე!

–მე ის პირველი ხოხობი ვარ, შენ რომ განგმირე ყმაწვილობისას! ვახტანგ, ვახტანგ, სად არის მეორე ხოხობი? როდის უნდა მოინადირო?

–მე ის შევარდენი ვარ, შენსკენ რომ მოვეჩქარები და შენს ცერს რომ დავეძებ, რათა მერმე ავფრინდე და კლანჭებით მივეტიო მისატევებელს... რას? გამოჩნდება!

–ვახტანგ, ვახტანგ,

რამდენი საფიქრალი გაქვს, რამდენი საზრუნავი, რამდენი რამ ელის შენს მზერას, შენს სიტყვას, შენს ხელს!

ვახტანგ, ვახტანგ,

თუ ჰგონებ რომ შენი სული დამშვიდდდება, როცა ყოველივე განზრახულს იქმ? ამაოდ ჰგონებ! ვერ დამშვიდდება, რადგან შენი სული გადასერავს წლებს, გადივლის საუკუნეებს და ქართლთან ერთად უკვდავებას ეზიარება.

შენ ის ხარ, ვისი სახელითაც გაჭირვების ჟამს ქუდზე კაცს მოუხმობენ ქართლში!

ვახტანგ, ვახტანგ,

შენ ის ხარ, ვისშიც უკვე გადმოვიდა სული უკვდავი ქართლისა, განსხეულებული ფარნავაზში, მირიანში, შენს შემდეგ კი კიდევ ბევრში გადავა, ბევრში, და იქმნებიან

იგინი რჩეულნი ერისანი!

შენ ჭვრეტ ამას! შენ ხედავ მათ! შენ უწყი ვინ არიან ისინი, ჭეშმარიტად უწყი!

მაშ იწყე სვლად წინ, ხვალინდელი დღისკენ, მომავლისკენ!

იწყე სვლად უმეტეს დიდებისათვის ქართლისა შენისა!

...ვახტანგ მეფე გამოერკვა და მიმოიხედა. უკვე საკმაოდ გათენებულიყო, თუმცა მზის ამოსვლას მაინც კარგა ხანი უკლდა, სამაგიეროდ მთათა მწვერვალები იყო განათებული და მკაფიოდ მოჩანდა არმაზციხის გალავანი.

ვახტანგი დილის წირვაზე გაეშურა და ტაძარში კუთვნილი ადგილი დაიკავა. დედამისი, საგდუხტ დედოფალი, გუშინდელს აქეთ თავის ტკივილს უჩიოდა და დილის ლოცვებს სასახლეში, თავის პალატში კითხულობდა. არც ხვარამზე და მირანდუხტი ჩანდნენ–ერთიცა და მეორეც ეს რამდენიმე დღეა სამშვილდის ერისთავის დას, სინდუხტარს, სტუმრობდნენ.

როდესაც წირვა დასრულდა და მეფემ ტაძარი დატოვა, მახლობელი მოედნიდან გარკვევით შემოესმა ხმამაღლა, წამღერებით ნათქვამი სიტყვები, რომლებსაც ახლო-მახლო მცხოვრებნი გაფაციცებით უგდებდნენ ყურს:

დღე გაბრწყინდა, მცხეთელებო,
დღე ლამაზი და დღე დიდი,
სხვას რას ნახავთ მის უკეთეს
მეფე სანადიროდ მიდის!
თენდება და მზის სხივები
ცაზე ვარსკვლავებსა ჰკრეფენ,
ბუკ-ნაღარის ხმა მთებს სწვდება:
სანადიროდ მიდის მეფე!
დილის სიო ტოტებს არხევს,
ტოკავს მუხაც, მუდამ მშვიდი,
გაიღვიძეთ, მცხეთელებო:
მეფე სანადიროდ მიდის!
ხელზე უზის ქორ-მიმინო,
მწევარ-მეძებრები ჰყეფენ,
მტკვრის დაბურულ ჭალებისკენ
სანადიროდ მიდის მეფე!
ცხენს ფაფარი უღელავს და
ზურგს უმშვენებს ოქროს ტახტა,
სვეგრძელი და ბედნიერი
სანადიროდ მიდის ვახტანგ!
განა მხოლოდ საბრძოლველად,
განა მხოლოდ სანადიმოდ,
ამაყი და მხიარული
მეფე მიდის სანადიროდ!
დაგეშილი მეძებრებით,
გაწვართული მწევრებითა,
მეფე ნადირობას იწყებს
მტკვარ-არაგვის ტევრებიდან!
მეფეს ტანი აუყრია,
თვალში ცეცხლი უბრიალებს,
ერთ ნაბიჯად გადაივლის
ვახტანგ მეფე მტკვრის მთელ ჭალებს!
მაშ დაჰკარით დოლს და დაფდაფს,
გუგუნებდეს სპილენძ-ძელი,
ვახტანგ მეფის ნადირობას
მთლად სრულიად ქართლი ელის!

და მართლაც, დაიგუგუნა სვეტისცხოვლის დიდმა ძელმა, მას სხვა ეკლესიებიც აჰყვნენ და მთელი მცხეთა ერთიანმა გუგუნმა მოიცვა: მეფე სანადიროდ მიდიოდა! მიდიოდა დიდი ამალით, მრავალი ბაზიერით, მარეკით, მწევარ-მეძებრით, მიდიოდა მტკვრის დაყოლებით, იქ, სადაც მდინარე ვიწროებს უკან იტოვებდა და მისი ორივე ნაპირი ფართოდ იშლებოდა, იქ, სადაც მდინარისპირა ჭალებით იყო დაბურული ფერდობები და სადაც უამრავი ნადირ-ფრინველი ბუდობდა.

ვახტანგმა სასახლეს მიაშურა, რათა სანადიროდ გამოწყობილიყო და წინ გაძღოლოდა მის მომლოდინე, უკვე გამზადებულ დიდებულებსა და ამალას, რომელნიც კარგა ხანია ელოდნენ. თვალი მყის გამოარჩევდა ახოვან ჯუანშერ სპასპეტს, მოხდენილად გამოწყობილ იმიერ-ქართლის ერისთავთ–ერისთავ დემეტრეს, დაუდგრომელ ადარნასე სამშვილდელს, კვეტარის მორიდებულ და თაკვერის თამამ ერისთავებს, მცხეთის მამასახლისს, მონადირეთუხუცესს, ბაზიერთუხუცესს, მეჭურჭლეთუხუცესსა და მანდატურთუხუცესს, აგრეთვე მრავალ სხვას, ცხენებზე ამხედრებულთ და თითქმის საომრად შეჭურვილთ.

სულ მალე მეფეც გამოჩნდა და შავრონზე მოხდენილად მჯდარსა და მსუბუქ სანადირო სამოსში გამოწყობილ ვახტანგს ყველა აღტაცებით მიესალმა.

მონადირეთუხუცესმა ხელი ასწია, მესაყვირეებმა ბუკს ჩაბერეს და მთელი ეს მრავალრიცხოვანი გუნდი მცხეთელთა ყიჟინისა და შეძახილებში ხიდისკენ დაიძრა.

ადარნასე ცდილობდა მეფესთან ახლოს ყოფილიყო, რადგან ფიქრობდა, რომ ასე ჩანაფიქრის ასრულებას უფრო იოლად შეძლებდა: მის ნათქვამს ვერავინ გაიგებდა და არც კედლები იქნებოდა ირგვლივ, რომლებსაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, ყურები ასხია.

მეფე ყურადღებას არ აქცევდა ადარნასეს მცდელობას როგორმე, სხვათაგან განცალკევებით, ესაუბრა მასთან, რადგან მეფის მზერა სულ სხვა რამისკენ იყო მიმართული: გზის ორივე მხარეს მის მისასალმებლად ჩამწკრივებული მცხეთელებისკენ; შორს გამომზირალ სარკინეს ციხისკენ, რომელსაც შესაკეთებლად კირითხურონი დასტრიალებდნენ; ხიდის მოცილებით მდგარი გამურული სამჭედლოსკენ, სადაც სატევრები იჭედებოდა და საიდანაც საბერველის გოლიათური ქშენა ისმოდა; სავაჭრო ფუნდუკებისკენ, მცხეთელები თუ ახლო-მახლო სოფლებიდან საყიდლებზე ჩამოსული გლეხნი და დიაცნი მრავლად რომ შემოხვეოდნენ... მეფეს ეს ყველაფერი უფრო სტაცებდა გულსა და გონებას, ვიდრე ადარნასეს სიტყვები, რომლებითაც ის მეფის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

–სხვა, რა ხდება შენს საერისთავოში, ადარნასე, ააგეთ ხრამზე ხიდი თუ ჯერ კიდევ ფონით გადიხართ?–აღირსა მეფემ ყურადღება სამშვილდის ერისთავს,–მახსოვს, ჯერ კიდევ მამაშენმა წამოიწყო იქ ხიდის მშენებლობა.

–დიახ, მეფეო, ღვთისა და შენი წყალობით მალე დასრულდება და საქარავნო გზაც შეუმოკლდებათ ვაჭრებს, მაგრამ მე სხვა რამეზე მსურდა შენი ყურადღება მიმეპყრო...

–თქვი, ადარნასე, ალბათ რამ საიდუმლო გაქვს, აქ ყურს არავინ გვიგდებს და თუ ვინმეს რაიმეს ამჩნევ საეჭვოს...

–ო, დიდო მეფეო, ყველამ ვიცით გულთმისანი ხარ და დავრწმუნდი კიდეც...

–მამამან შენმან და ძმამან შენმან ქართლს შესწირეს თავი და შენ, რომელიც ძე ხარ მამაშენისა, უეჭველად გაქვს უფლება მოგვახსენო რაც გიჩნს საჭიროდ...

–მადლობას გიძღვნი მამისა და ძმის მიმართ ეგოდენი პატივის მიგებისთვის, მეფეო, და ამიტომაც მივეც ნება თავსა ჩემსა გაგიბედო ის, რაიცა მაქვს გულსა შიგან. მაგრამ აზრი ესე მხოლოდ ჩემი არ გახლავს, ბრწყინვალე მეფევ.

–მაშ სხვანიც არიან უკმაყოფილონი?–გაუკვირდა მეფეს,–რატომ? რითი? ან ვინ არიან ასეთნი?

–მომიტევე, მეფეო, მაგრამ ნუ დამასახელებინებ... თუ ნებას მიბოძებ, მოგახსენებ და მერე განმსაჯე... მეცა და ისინიც, რადგან უგვანოს აღზევებას ხშირად საავალალო შედეგამდე მივყავართ...

–უგვანოს აღზევებას?–გაიმეორა მეფემ,–ვისზე ამბობ მაგას, ადარნასე ერისთავო?

–ო, მეფეო, ვფიქრობ მოგეხსენება ვისზეც... ხდება ხოლმე, თავს ერთგულად აჩვენებენ, მაგრამ გულში რა აქვთ–ვერავინ ხვდება!

–ქარაგმებით ლაპარაკს, ადარნასე ერისთავო, სჯობს პირდაპირ თქვა! დემეტრე ერისთავზე ამბობ მაგას?

–მეფეო, მე მხოლოდ ის მალაპარაკებს, რომ ცნობილია: უგვარო უგუნურ აზრებს ატარებს, გვაროვანი – გონიერს...

–საიდან ეგ დასკვნა, ადარნასე?

–იქიდან, მეფეო, რომ აღზრდა და შთამომავლობა ადამიანს იმგვარად აყალიბებს, როგორიც ქვეყნისა და ერისთვის, და რაც მთავარია, მისი მეფისთვის არის საჭირო და სასურველი,–წარმოთქვა სამშვილდის ერისთავმა, მაგრამ გრძნობდა, რომ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა,–გვარისშვილი, ვინც მეფის სიყვარულითა და ერთგულებით არის აღზრდილი, ორგულობასა და ღალატს გულში არ გაივლებს, უგვანო კი..... აბა მან რა იცის ერთგულებისა, მეფეო, რა წამს შემთხვევა ჩაუვარდება, მყის ისე მოიქცევა, როგორც სურვილი და სიხარბე უკარნახებს!

–შენ ფიქრობ, რომ დიდგვაროვანს ღალატი არ შეუძლია?

–შეუძლია, მეფეო, მაგრამ ძვალსა და რბილში არა აქვს გამჯდარი! უგვარო კი რას მოიმოქმედებს, კაცმა არ იცის!

–ადარნასე ერისთავო, ვხედავ შური და ბოღმა ჩაგბუდებია გულში და ეგ გალაპარაკებს. დემეტრე უერთგულესია ერისთავებს შორის და არაერთს აღემატება არა მხოლოდ ამ, არამედ სხვა თვისებითაც.

–ო, მეფეო, ბელურა რომ მაღლა-მაღლა აფრინდება, ჰგონია, ყველაზე ძლიერი ვარ და ჩემს ზემოთ აფრენა არავის ძალუძსო, სიამაყე მოიცავს და რომ შეეძლოს, მასზე მძლავრ ფრინველებს მოიშორებდა კიდეც... აბა დაუფიქრდი, მეფეო, მაგ დემეტრეს რამდენი საფეხური აშორებს იმ ზეცამდე აფრენას?

–ადარნასე ერისთავო, მგონია, რომ რაღაც ზღაპრები გიშფოთებს სულს?

–მეფეო, მინდა დაგანახო ის საფრთხე, რასაც ეგ დემეტრე გიმზადებს!

–საფრთხე? დემეტრე ერისთავი საფრთხეს მიმზადებს?

–დიახ, მეფეო! ხომ უბოძე ერისთავთ–ერისთავობა ლიხთიმიერისა?

–მერმე?

–არა მხოლოდ ლიხთიმიერის ერისთავთ–ერისთავობა, არამედ სპასპეტის მწეობაც!

–დიახ!

–ჰოდა, მეფეო, გამოდის რომ სამეფოში ეგ დემეტრე ერისთავი მესამე კაცია შენსა და სპასპეტ ჯუანშერის შემდეგ!

–ვთქვათ და აგრეა, განა მერმე რა?

–მერმე ის, რომ, მეფეო, ბრძოლის ანდა თუნდაც მშვიდობიანობის ჟამს ჯუანშერ სპასპეტს თუ რაიმე დაემართა, მისი მაგივრობა ხომ დემეტრემ უნდა გასწიოს?

–დიახ, ის უნდა გახდეს ლაშქრის სარდალი!

–განა შეუძლებელია, რომ ასეთი რამ ფარულად თავად დემეტრემ მოაწყოს და სპასპეტს ავი რამ დამართოს? განა მის ხელში უზარმაზარი ძალა არ მოექცევა, მეფეო? საკმარისია მოისურვოს და ამ ლაშქარს უბრძანოს, და მაშინ სულ ადვილი იქნება მისთვის ტახტსაც დაეუფლოს!

–რაო? რას ამბობ, ადარნასე ერისთავო?–აღმოხდა შეძრწუნებულ მეფეს: ასეთი რამ იმ წამს მას მართლაც შესაძლებელი მოეჩვენა.

–ო, მეფეო, განა ცოტა მაგალითი ვიცით გინდ სპარსელთაგან, გინდ რომაელთაგან, რომ რომელიმე სარდალს მეფისა თუ იმპერატორის წინააღმდეგ ლაშქარი აუმხედრებია და ტახტიც წაურთმევია? განა ის ასპარი, ოვსეთში რომ ჰპოვა აღსასრული, კონსტანტინეპოლში იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებას არ აწყობდა? ისიც სრულიად მოკლებული იყო გვარიშვილობას და ამასთან, ისიც ჯარის სარდალი იყო!

–არა, ადარნასე, შენ დემეტრე ერისთავს არ იცნობ! მას არასოდეს მოუვა თავში მსგავსი რამ! ის ყველა ერისთავზე უფრო ერთგულია ჩემი!

–ვინ იცის, მეფეო! კაცის გულს ვინ გამოიცნობს! ჯურღმულივით თვალჩაუწვდენელია კაცის გული!

ადარნასე გუნებაში თავის თავს ულოცავდა: პირველი თესლი ჩაგდებული იყო: მეფე დაეჭვდა! ახლა საჭირო იყო ამ თესლის გაღვივება, მაგრამ აჩქარებაც არ ივარგებდა. „ხილს დამწიფება უნდა აცალოს კაცმა, რომ თავადვე ჩამოვარდესო,“–ფიქრობდა სამშვილდის ერისთავი.

ადარნასემ შეატყო, რომ მეფე მოიღუშა და ფიქრებში წავიდა, ამიტომ არჩია გაჩუმებულიყო და ნელ-ნელა ჩამოსცილებოდა, მაგრამ ვახტანგმა მოულოდნელად მიმოიხედა და უკვე ერთი ცხენის მანძილზე უკან მომავალ სამშვილდის ერისთავს მიუბრუნდა. ადარნასეს რომ არ სცოდნოდა, რა აზრი ჩააწვეთა მან მეფეს, უეჭველად გაოცება აიტანდა, ისე ჰქონდა მეფეს სახე მოქურუხებული, თითქმის შეშლილიც კი: თვალები უელავდა, ღაწვისთავები სიცხიანივით წამონთებოდა, წარბები ერთად შეეყარა და ხმაშიც ხიხინი შერეოდა:

–ადარნასე ერისთავო, გაქვს რამ საბუთი, რაც მაგ აზრს დაადასტურებს?–ჰკითხა მეფემ.

–აშკარა ჯერჯერობით არაფერი, მეფეო...–ცოტა არ იყოს, დაიბნა იგი.

–ჯერჯერობით?–გაიმეორა მეფემ ისე, რომ თვალი არ მოუცილებია.

–დიახ, მეფობამან შენმან, მაგრამ თუ ინებებ, არც მაგის მოპოვებაა ძნელი.

–ძნელი არ არის?–კვლავ გაიმეორა ვახტანგმა,–მაშ ეცადე და თუ დავრწმუნდი შენი სიტყვების სიმართლეში... მაგრამ ისე არ გამოვიდეს, შენი ნახერხი თავს შენვე დაგეყაროს...–მეფეს აღარ დაუბოლოვებია, რადგან რისხვისგან ხმა ჩაუწყდა, ოღონდ ეგაა, თავადაც ვერ ხვდებოდა, დემეტრე ერისთავის გამო იყო ეს რისხვა თუ ადარნასეს გამო, და შავრონს მაგრად ჰკრა ქუსლი, რითაც ეს ერთგული პირუტყვი მეტად გაკვირდა, რადგან პატრონისგან დაუმსახურებლად ასეთი რამ იშვიათად ახსოვდა.

ცხენმა კბილები დაკრიჭა, თავი აიქნია და ყალყზე შედგომა დააპირა, მაგრამ ახლა მათრახი უცხუნეს გავაზე და ისიც ოთხით გავარდა წინ.

მეფემ დემეტრეს ყოველი მოქმედება გაიხსენა და გონებაში სურათებმა მთის მდინარესავით ჩაიქროლა, მაგრამ ორგულობის ან იმდაგვარი ჩანაფიქრისა ვერაფერი შეატყო, რაზეც ეს-ეს არის ადარნასე მოახსენებდა. ერთხანს იფიქრა, სამშვილდის მფლობელს შური ალაპარაკებსო, მაგრამ მაინც დემეტრეს გამოცდა მოიწადინა, თუმცა თავადვე ხვდებოდა, რომ სულ ახლახანს გაჩენილი ეჭვი სრულიად უსაფუძვლო იყო: დემეტრე ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უმტკიცებდა უსაზღვრო ერთგულებას!

–დემეტრე ერისთავი მაახლეთ!–გადასძახა მესაჭურვლეთ და ცხენს მათრახი კიდევ ერთხელ გადაუჭირა, მაგრამ ეს უკვე იმდენად რისხვისა აღარ იყო, რამდენადაც მეფის სურვილი რომ ამალა უფრო მეტად ჩამოეტოვა უკან, რათა დემეტრესთან მისი საუბარი სხვებს არ მოესმინათ.

ხორნაბუჯის ერისთავს მეფის ხმობა არ გაჰკვირვებია, რადგან ყველა მნიშვნელოვან საქმეში ვახტანგი მუდამ იახლებდა ხოლმე, ამიტომ სულაც არ დაფიქრებულა, რისთვის მიხმობსო, თავის ამლაყ ცხენს შეუძახა, მათრახიც აკადრა და მეფის ბედაურის გვერდით მიაგდო. ვახტანგმა მოხედა და თავი დაუქნია, თითქოს გაუღიმა კიდეც, მაგრამ სპასპეტის მწეს არ გამოჰპარვია, რომ მეფე უგუნებოდ ბრძანდებოდა.

დემეტრეს არ მოუხსენებია, ბრძანებისამებრ გეახელიო, ეს არც იყო საჭირო, ცხენი ისე მიაყოლა, რომ მისი თავი მეფის უნაგირს უტოლდებოდა და სადავეც ხელში ბოშედ დაიკავა.

ვახტანგი ერთ ხანს უბრად გასცქეროდა მცხეთის სანახებს. მას შემდეგ, რაც ხიდი გადავლეს, გზა მტკვრის დაყოლებით მიდიოდა და სადაცაა ვიწროებს მიადგებოდა, ჯერ კი ორივე მხარეს მინდვრები იყო გაშლილი და თვალიც შორს სწვდებოდა.

–დემეტრე ერისთავი კმაყოფილია ქორწინებით?–თავმოუბრუნებლად იკითხა ვახტანგმა.

–ბრწყინვალე მეფეო, განა მაქვს უფლება უკმაყოფილო ვიყო?–კითხვითვე უპასუხა დემეტრემ,–შენი წყალობით დღეს უბედნიერესი კაცი ვარ და აღარ ვიცი რით გადაგიხადო.

–მადლს მეფეები მიაგებენ, დემეტრე, ქვეშევრდომნი კი მხოლოდ ერთგულებენ,–ახლა კი მოხედა მეფემ,–შენი ერთგულებით მრავალჯერ დაგიმსახურებია კეთილი ჩემგან და არც შემდეგ მოგაკლდება.

–მიმსახურებდე და მიბრძანებდე, მეფეო!–აღმოხდა დემეტრეს.

–ახლა ის მითხარი, როგორ შეეწყე და შეეგუე შენს ტაძრეულობას?–კვლავ იკითხა მეფემ,–როგორც ვიცი, გუარამ ხორნაბუჯელს მაგ ერთი ასულის მეტი არავინ დარჩენია.

–აგრე გახლავს, დიდო მეფეო, მხოლოდ ცისკრისა დარჩა, მეუღლეც გარდაცვლია.

–და ძეც მრწემობაში დაღუპვია, არა? დარიალთან შევიტყე.

–დიახ, მეფეო, ყმაწვილი ხორნაბუჯის გორის ციცაბო კალთიდან გადავარდნილა და ძირამდე სული არ დაჰყოლია.

მეფე დადუმდა და კვლავ ჩუმად ათვალიერებდა წინ დაფენილ ვრცელ მინდვრებს, სადაც გლეხკაცობა გაშლილიყო და ახალგაზრდების ხმიანობაც საკმაოდ ისმოდა. სანადიროდ მიმავალი მეფისა და მის მხლებელთა დანახვაზე ყველამ საქმეს თავი მიანება და შარაზე გამოიფინა. ზოგს ისევ ეკავა ფიწალი, ნიჩაბი, ბარი, ცული, წალდი თუ სასხლავი, მათ ყიჟინასა და შეძახილებს ვახტანგი ჩვეული ხელის აწევით ესალმებოდა და შავრონი ნელი ნაბიჯით მიჰყავდა, დემეტრეს კი ანიშნა, ცხენი გვერდში ამომიყენეო:

–დემეტრე ერისთავო, კარგად იცი რომ სრული ნდობა მაქვს შენი და არაერთხელ იმგვარი რამის აღსრულება მიბრძანებია შენთვის, რაც სხვათათვის დღემდე დაფარულია, – მძიმედ დაიწყო ვახტანგმა და დემეტრე მიხვდა, რომ მეფე ახლაც რაღაც საიდუმლოს ანდობდა, როგორც ამ რამდენიმე წლის წინ, როცა თიანეთზე უნდა გაელაშქრათ, ანდა როგორც მაშინ, ციხე-გოჯი რომ უნდა აეღოთ.

–მიბრძანე, მეფეო, და შეუძლებელიც რომ იყოს, მის აღსასრულებლად თავს არ დავზოგავ,–ჩვეული სიალალითა და ერთგულებით მიუგო დემეტრემ.

–მაგრამ დემეტრე, ეს მხოლოდ მე და შენ უნდა ვუწყოდეთ, თუნდაც გარკვეულ დრომდე, ვიდრე საჭიროდ მივიჩნევ გამომჟღავნებას.

–დიახ, მეფეო, ისე შევინახავ საიდუმლოს, ამქვეყნად ვერავინ გაიგებს. მიბრძანე მხოლოდ.

–დემეტრე, არის ერთი... ერთი კაცი,–მეფემ სულ დაიდაბლა ხმა,–დიახ, არის ერთი, ვისაც ორგულობას ვატყობ...

დემეტრემ ყური გაიმახვილა და მეფეს მოლოდინით თვალებში შეაცქერდა.

–დიახ, არის ერთი ვინმე, რომელიც საეჭვოდ იქცევა... არ ამჟღავნებს კი, მაგრამ მე მაინც ვხვდები... ვხვდები და ვრწმუნდები, რომ თუ ის არ მოვიცილეთ, მეცა და ჩვენი ქართლიც ცუდ დღეში აღმოვჩნდებით...

დემეტრე იცდიდა თუ ვის ახსენებდა მეფე, მაგრამ ის თითქოს ყოყმანობდა, თითქოს არჩევდა ეთქვა თუ არა, თან შიგდაშიგ დემეტრეს გამომცდელად გადმოხედავდა ხოლმე და ხორნაბუჯის ერისთავი დარწმუნდა, რომ ვახტანგი ძალზე განრისხებული იყო.

–იქნებ სახელი მიბრძანოს მეფემ მოღალატისა? –ჰკითხა ბოლოს.

–არა, სახელს ვერ გეტყვი, შენ თავად მიხვდები... ორგულობას კი არ ვაპატიებ არავის!–მუქარით შესძახა მეფემ და მისი სიტყვები ნამდვილად შეიცავდა სიმართლეს, მაგრამ დემეტრე საიდან მიხვდებოდა, რომ ეს სიტყვები უფრო მას ეხებოდა, ვიდრე იმ ვიღაც ვითომდა მოღალატეს?

დემეტრემ გულში ერისთავთა სახელები ჩამოთვალა: ნუთუ მეფეს რომელიმე გაუორგულდა? თუ ასეა, ვინ?

და ასეც აღმოხდა:

–რომელმა ერისთავმა იდო თავს ღალატი მეფისა?

ვახტანგს სახე კიდევ უფრო მოეღუშა, შავრონსაც სადავე მოუწია და კისერი მოაღრეცინა:

–დიახ... ერისთავია... ერისთავთ–ერისთავი...

დემეტრეს ძარღვებში სისხლი გაეყინა: ერისთავთ–ერისთავი? ჯუანშერი? მეფე ჯუანშერს ღალატს სწამებს? ღალატს სპასპეტს, მთელი არსებით უერთგულესს, ვინც ყოველ ჟამს მზად იყო დაუფიქრებლად გაეწირა სიცოცხლე მეფისთვის! ჯუანშერს... ნუთუ? ან იქნებ...

–დიდო მეფეო! შენი ბრძანებისამებრ ქართლში ორი ერისთავთ–ერისთავი ვართ: ჯუანშერ სპასპეტი და მე, მწე მისი. უკეთუ მე ორგულობისა შემატყე რამე, მზად ვარ

როცა ინებებ, ჩემი ხელით გამოვიჭრა ყელი, ან თოკი ჩამოვაბა და...

–არა, დემეტრე, შენს ერთგულებაში ეჭვი არასდროს შემპარვია და არც ახლა მეპარება!

–მაშ...?

მეფე თითქოს გამოცოცხლდაო:

–დიახ, დემეტრე, შენ სწორად მიხვდი! სწორედ ის! მას ვატყობ ორგულობას!

–განა რა ჩაიდინა ისეთი სპასპეტმა ჯუანშერმა, უპირველესმა ერისთავმა ქართლისამ?

–რა ჩაიდინა? აბა გაიხსენე, დემეტრე, ოდეს დარიალისა და თერგზე სალაშქროდ უნდა წავსულიყავით, ყველაზე მეტად ლაშქრად ჩემს წასვლას ვინ ეწინააღმდეგებოდა? კარგად გაიხსენე, სწორედ მას არ სურდა მე მესარდლა სპისთვის, რადგან ალბათ იმედოვნებდა, რომ თუ თავად წარუძღვებოდა ჯარს და გაიმარჯვებდა, მთელი დიდება მას დარჩებოდა, ხოლო თუ დამარცხდებოდა – განაცხადებდა, რომ უმეფოდ გადაწყვეტილების მიღებას მოვერიდეო!

–მომიტევე, მეფეო, მაგრამ მაშინ ჯუანშერიცა და სხვანიც მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ მეფე ჯერეთ ჭაბუკია და ბრძოლაში არა ევნოს რაო!–გაბედა და შეახსენა დემეტრემ.

–არა! იმგვარად იყო როგორც ვთქვი! ახლა თერგზე ბრძოლა გაიხსენე: ოდეს ბაყათარმა ჩვენი ფალავნები დაამარცხა, ვეღარავინ ბედავდა მასთან ორთაბრძოლაში გასვლას! განა სწორედ სპასპეტს, უპირველეს მეომარს, არ მართებდა სირცხვილისგან ეხსნა მეფეცა და ლაშქარიც? ის კი იმდენად გაწბილდა, რომ ვერ გაბედა საბრძოლოდ გამოსულიყო! იყო თუ არა აგრე, დემეტრე?

–ო, დიდო მეფეო, იქ, სადაც სპარსი ფარსმან-ფარუხი დამარცხდა და შეტაკებას შეეწირა, ვინ გაუტოლდებოდა იმ მართლაც გოლიათ ოვს ბაყათარს? მომიტევე და აგრე მგონია, შენც მხოლოდ იმიტომ მოიპოვე ძლევა, რომ უფლისა და წმინდა გიორგის მადლი და ძალა მოგერთო და იმ ველური ბაყათარის დამარცხება შეგაძლებინა...

–შესაძლოა ამჯერად სიმართლეს ამბობდე, დემეტრე, მაგრამ აბა კიდევ ერთი შემთხვევა გაიხსენე: ოდეს თერგზე გამარჯვების შემდგომ მე მცირე ლაშქრით დასავლეთით, პონტოსკენ გავეშურე, მაშინ სპასპეტს ჩემთან ერთად ლაშქრად წამოსვლის სურვილი ერთი სიტყვითაც არ გამოუხატავს! აგრე არ არის?

–ბრწყინვალე მეფეო, ეგ ხომ ნება იყო შენი! ეს შენ უბრძანე მას ქართლში დაბრუნება და ჭეშმარიტად სწორი იყო სურვილი შენი, რამეთუ ქვეყანას შენს არყოფნაში მიხედვა სჭირდებოდა! ვინ იცის, ჯუანშერი ქართლში რომ არ დაბრუნებულიყო, როგორ ესარგებლათ გინდ სპარსელებსა და გინდ სხვა ჩრდილოელ ველურებს, რომლებსაც თერგზე არ უბრძოლიათ და არ დამარცხებულან, რათა დარუბანდის კარით გადმოსულიყვნენ და ქართლში ალბანეთიდან შემოჭრილიყვნენ!

–განა არ უწყი, დემეტრე, რომ მე წასვლის წინ ქართლში დარჩენილი ლაშქრის სარდლობა მირიან ჰერეთის ერისთავს ვუბრძანე?

–მომიტევე, მეფეო, მაგრამ ეგ არვინ იცოდა, თანაც იგი მხოლოდ ერთი მცირე ერისთავი იყო და არც ის დავივიწყოთ, ეგ მირიანი იმ მოღალატე გრიგოლ ერისთავის ძმა გახლავს!

–ასე თუ ისე, დემეტრე ერისთავო, ვრწმუნდები, რომ სპასპეტი ჯუანშერი ღალატისა და ორგულობის გზას ადგას და ამიტომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს!–მეფე შედგა და დემეტრეს თვალებში ჩახედა. ხორნაბუჯის ერისთავი ერთიანად შეზარა და შეაძრწუნა მეფის არეულმა სახემ, დაღრჭენილმა კბილებმა და შემზარავად ანთებულმა თვალებმა,–გიბრძანებ დღესვე, აქვე, ამ მსვლელობისას შენი ერთგული რაზმელებით შეიპყრო სპასპეტი ჯუანშერი, დაატუსაღო და ჯურღმულში დაამწყვდიო! ხოლო როდესაც ამას იქმ,–მეფეს ცხვირის ნესტოები დაებერა და ყბაც ნერვიულად აუცახცახდა,–ხოლო როდესაც ამას იქმ, შენ გახდები მთლად ერთიან ქართლის ერთადერთი ერისთავთ–ერისთავი და სპასპეტი!

ეს ბრძანება ისეთი მოულოდნელი იყო დემეტრესთვის, რომ მან ყურებს არ დაუჯერა და მეფეს გაოცებული მიაჩერდა, ხომ არ მომესმაო. ჯუანშერის დატუსაღება! ქართლის სპასპეტის, ერისთავთ–ერისთავის, დიდსარდლის, ვისაც მთელი ამიერ და იმიერ ქართლის ჯარი ემორჩილება, ვინც უპირველესია ერისთავთა შორის და ვინც სიტყვითაც და საქმითაც ყველანაირად უერთგულესია ვახტანგ მეფისა! შეიძლება ადამიანს საკუთარ თავში შეეპაროს ეჭვი და ღალატიც კი დასწამოს, მაგრამ ჯუანშერს ამას ვინ ჰკადრებს? მას, ვინც პირველი აღმსრულებელია მეფის ბრძანებებისა, ვინც ქართლის ლაშქარს ვახტანგ მეფის დროშით სარდლობდა დარიალსა თუ თერგზე და ვინც დაბრუნებისთანავე მთელი შემართებით შეუდგა ჯერ თავად დარიალის ციხის, შემდეგ ქართლის სხვა ციხე–ქალაქთა განმტკიცებას; მან კიდევ უფრო მძლავრად აღჭურვა ლაშქარი და სამხრეთი თუ აღმოსავლეთი სამანები ისე განამტკიცა, რომ მომთაბარე ველური ტომები შიშით შორიდანვე უვლიან გვერდს!

მეფე კი მის შეპყრობასა და დატუსაღებას ბრძანებს! არა, დემეტრე ამ ბრძანებას ვერ აღასრულებს, თუნდაც თავად შეეწიროს მეფისადმი ამ ურჩობას, რადგან დარწმუნებულია, რომ ჯუანშერი უცოდველია და მეფის ღალატი და ორგულობა გულში წამითაც არ გაუვლია!

ამ საუბარში ორივე ცხენი, მეფისაც და დემეტრესიც, ერთ ადგილზე ინაცვლებდნენ ფეხს, მაგრამ მხედრები ამას ვერც კი ამჩნევდნენ. ნადირობის დანარჩენი მონაწილენი შორიახლო ზრდილობიანად შემდგარიყვნენ, რათა მეფისა და მისი უახლოესი ერისთავის საუბარს მათს ყურამდე არ მიეღწია. ვახტანგი გამომცდელად უყურებდა დემეტრეს და გუნებაში სწონიდა თუ როგორ მოიქცეოდა იგი: თუ დათანხმდა და აღუთქვა ბრძანების აღსრულება, მაშინ გამოდის რომ ადარნასე მართალი ყოფილა, რადგან ხორნაბუჯის ერისთავს მშვენიერი შესაძლებლობა ეძლევა გზიდან ჩამოიცილოს მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომი სპასპეტი, რის შემდეგაც თავად ხდება მეფის შემდგომ პირველი კაცი, ხელში მოიქცევს ქართლის მთელ ლაშქარს და მაშინ მასზე წინ აღარავინ იქნება!

და თუ ასე მოხდა და ადარნასე მართალი გამოდგა, მაშინ ვაი შენ, უბადრუკო დემეტრე ერისთავო, გუშინდელო მეზვრეს შვილო, რომელმაც მეფის ღალატი ჩაიდე გულში, იმ მეფისა, ვინც უბრალოთაგან გამოგარჩია და აღგამაღლა! მაშინ საშინელი წამება და სიკვდილი გელის, იმდაგვარი, როგორიც ჯერ არავის ჰრგებია წილად და ალბათ არც ერგება, რადგან უსაზღვრო იქნება წყრომა და რისხვა ვახტანგ მეფისა!

დემეტრე ერთ ხანს გახევებული დასცქეროდა თავისი ცხენის ფაფარს, შემდეგ ისე, რომ მეფისთვის ნებართვა არ უთხოვია, ცხენი ნელა დაძრა, ხუთი-ექვსი ნაბიჯი გაატარა, ვახტანგს წინ გაუსწრო, მოატრიალა, ჩამოხდა,

დაიჩოქა, ხმალი მოიხსნა, ორივე ხელით გაუწოდა და შეღაღადა:

–ბრწყინვალე მეფეო, მიჯობს ამ ხმლით აქვე მომკვეთო თავი, ვიდრე ეგე ბრძანება შენი აღვასრულო და ქართლის უპირველეს დიდერისთავზე, შენს უერთგულეს სპასპეტ ჯუანშერზე ხელი აღვმართო!–და ისე დახარა თავი, როგორც იმ ტუსაღმა, რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი და მზად არის განაჩენის აღსრულებას წარბშეუხრელი შეხვდეს.

სწორედ იმიტომ რომ ძირს იყურებოდა, დემეტრემ ვერ შეამჩნია, როგორი შვებით ამოისუნთქა მეფემ და როგორ გაუბრწყინდა თვალები: იგი დარწმუნდა, რომ მის მიერ ლიხთიმიერის ერისთავთ–ერისთავად აღზევებული, ოდესღაც მცირე აზნაური აზო ცამდე მართალი იყო, მისი ერთგულებით სუნთქავდა და არათუ მეფის ღალატი არ გაუვლია გულში, არამედ არც არასოდეს იფიქრებდა ჩაედინა რამ ისეთი, რაც ქვეყნისა და მეფის საწინააღმდეგო იქნებოდა. ვახტანგი იმაშიც დარწმუნდა, რომ ადარნასეს განუზომლად შურდა მისი, ეზიზღებოდა და ღვარძლსა და შხამს ანთხევდა ამ მართლაც ყოველნაირად გამორჩეული ახალერისთავის მიმართ. მეფემ ერთი წამით ინანა კიდეც ეჭვქვეშ რად დავაყენე დემეტრეს ერთგულება, ხომ არ სჯობდა ადარნასესთვის არ მიმეცა ნება ამგვარი სიტყვები მოეხსენებინა დემეტრეზე, ანდა, საკითხავია, თავად ადარნასე როგორ მოიქცეოდა დემეტრეს ადგილას რომ ყოფილიყო, შესაძლებლობა მისცემოდა თავისზე მაღლა მგომი სპასპეტი გზიდან ჩამოეშორებინა, უკეთუ თავად გაეხსნებოდა გზა მისი ადგილის დასაკავებლად, და რომ მებრძანებინა სპასპეტის შეპყრობაო.

მეფე ერთ ხანს უხმოდ დაჰყურებდა მუხლებზე უძრავად მდგარ დემეტრეს, რომელიც თავს ზემოთ არ სწევდა და ორივე ხელით ისევ ეკავა შიშველი ხმალი, შემდეგ თავადაც ჩამოხდა ცხენიდან, დემეტრეს მხარზე ხელი დაადო და მართალია, სცადა ხმაში სითბო არ შემჩნეოდა, მაინც თავს ვერ მოერია და ისეთივე უშუალობით, როგორც ადრე იცოდა ხოლმე, ერთგულ ერისთავს წყნარად მიმართა:

–კეთილი, ჩემო დემეტრე, ვხედავ რომ შენი ერთგულება მართლაც დიდი და უსაზღვროა. კეთილი, აღსდექ და ჩათვალე, რომ რაც გაიგონე, მხოლოდ ძილში გესიზმრა. აღსდექ, დემეტრე ერისთავთ–ერისთავო, ჩააგე ხმალი, ამხედრდი და გვერდით გამომყე: ჩვენ დღეს დიდ, დღემდე არნახულ, უჩვეულო ნადირობას ვიწყებთ, რომელსაც სრულიადი ქართლი ელის.

მეფემ კმაყოფილებით ამხედრდა, სადავეები აიქნია, შავრონს შეუძახა და გახალისებული წინ გაიჭრა, დემეტრემ კი მძიმედ აიღო თავი, გალახულივით ნელა წამოდგა, ხმალი ქარქაშში ჩააბრუნა და ჭენებით მიმავალ შავრონსა და მის მხედარს ცრემლჩამდგარი თვალი გააყოლა.

რა ატირებდა ხორნაბუჯის ახალგაზრდა ერისთავს? ის მწარე ფიქრი, რომ მეფემ მის პატიოსნებაში ეჭვი შეიტანა და მისი გამოცდა მოისურვა, როცა ივარაუდა, რომ დემეტრე კიდევ უფრო ასამაღლებლად ყველაზე გამოჩენილ და სამეფოსთვის ყველაზე საჭირო ადამიანს გაწირავდა, თუ ის სიხარული, რომ ვახტანგი კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავის ერთგულებაშიც და ღირსებაშიც? ან იქნებ ორივე ერთად?

მეფის შემხედვარე ამალოსნები მყის გამოერკვნენ, ცხენებს მათაც მათრახი გადაჰკრეს და ყიჟინით გამოაჭენეს.

ვახტანგმა სახეგაბადრულმა გადახედა მის კვალზე მომქროლავ დიდებულებს, მათრახი ჰაერში დაატრიალა და ხმამაღალი შეძახილით შემოჰკრა ისედაც გაფიცხებულ შავრონს, რომელმაც იგრძნო პატრონის გახალისება და ახლა უკვე ისე გაფრინდა, რომ მიწას თითქმის ფეხს აღარ აკარებდა.

ბექა ახალაია

დედები

„მამები“
ზვიად რატიანი

თორნიკე ჭელიძეს

დედები მხრებით ატარებენ წვიმის ნატერფალს,
სწუხან დედები და ფიქრობენ ჯიუტ ქალებზე,
თვალში მალავენ გაყინული ცრემლის ნატეხებს,
და სველ ტანსაცმელს გაუხდელად, ზედ იმშრალებენ,
და დედებს ასდით წვიმის სუნი, იაფფასიან
სუნამოს სუნში აზელილი, და ხერხემალში
ღრმად ჩაკირული სიცივე და მუნჯი ცახცახი,
მხოლოდ მუნჯივე პროტესტი და მუნჯი დემარში.

დედები, ყველა გამოცდისთვის მუდამ მზად მყოფნი,
მაშინაც, როცა იმდენია გადასატანი,
დახლებთან დგანან და ყიდიან პურს და კარტოფილს,
კარტოფილი და პური სახლში რომ მოიტანონ.
დედები ღამით ბრუნდებიან გადაღლილები,
მაგრამ ურყევი სიამაყეც ზედ აწერიათ,
და ჩვენ ვბრაზდებით, რომ სხდებიან ტელევიზორთან,
და ინტერესით უყურებენ თურქულ სერიალს.

დედები, ასე ძვირფასები, ადრე წვებიან,
ხანდახან ფიქრი ხელს დარევთ და დაათენდებათ,
და მუდამ თითო ამოოხვრით იკუმშებიან,
ჩვენი მამების საფლავები რომ ახსენდებათ,
და ვერც ტირიან, ვერც გმინავენ, ბალიშს ლოყებით
ეკვრიან, მხოლოდ ემატებათ გულზე ბზარები,
იმძინარებენ თავებს, როცა მათ ლოგინებთან,
ფეხის წვერებით, საკოცნელად მივიპარებით.

დედებს სჯერათ, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად
ჩვენ ვართ ამ ქვეყნად გაცილებით მეტის ღირსები,
და ღმერთის მიმართ რბილ საყვედურს ხშირად ბედავენ,
და ჩვენც მორიგი გამძლეობით ისევ ვივსებით,
მაგრამ მალევე გვახსენდება ცრუ იმედები,
მკვდარი თვალებით რომ გვიმზერენ ხსოვნის ფოსოდან,
რომ შეგვძლებოდა სხვანაირად, რომ არ გვეწერა,
იქნებ ცხოვრება, უკეთესი, ჩვენც გამოგვსლოდა

და დედებს ჩვენით ეამაყათ, იქნებ, ვინ იცის,
იქნებ საკუთარ სიფხიზლეში არ დაგვეძინა,
და იქნებ ისე არ დაგვეწყო, როგორც დავიწყეთ,
და დანგრეული ოჯახებიც გადაგვერჩინა...
დედები მხრებით ატარებენ წვიმის ნატერფალს,
და სველ ტანსაცმელს გაუხდელად, ზედ იმშრალებენ,
და დედებს ასდით წვიმის სუნი, როცა თბებიან,
სწუხან დედები და ფიქრობენ ჯიუტ ქალებზე.

ფიკლიდან „აგვისტოს რომანსები“

ანას

*

შენს ნაფეხურზე თავდახრილი ბაბუაწვერა
ფერდობის ფერად ყვავილებში გაიფიფქება,
ტუფის ლოდივით გაბზარული, ჩუმად ვიდგები,
რომ თავი ვეღარ დამაღწიონ ძველმა ფიქრებმა,
და რომ მომინდეს ამ ყველაფრის შენში დაწერა,
და რომ ავმღერდე, აქამდე რომ სიკვდილს უდრიდა,
და რომ დაფეთდნენ რომანსები, როგორც ჩიტები,
და რომ ჩემიდან ამოფრინდნენ, როგორც ბუდიდან.

*

იმ ხეში მინდა ჩავიბუდო, შენს ფანჯარასთან
ფერმკრთალ კორპუსებს სიმაღლეში რომ ეტოლება,
მიჰყვება დროის დინებას და იცვლის სეზონებს
უინტერესო ფილმებად და მთავარ როლებად.
შენს ოცნებაში წილი მედო, და რომ არ ახდა,
მსურს შემოდგომა სინანულში გადავათიო,
და ჩემს ფესვებთან თავდახრილი დგას მეეზოვე
და მე ტოტებს ვხრი, შენს მაგივრად რომ მაპატიოს.

*

არაფერია სევდიანი. ან ამ ფერდობებს
სად შეუძლიათ ბალახების გამოზამთრება,
არაფერია მოსაწყენი, თვალის კიდეზე
თუკი თმები და შენი სახის შუქი გაკრთება.
სიყვარულია დამნაშავე, როცა ვერ თმობენ
ფოთლებს, რომლებიც შემოდგომის ქარმა არია,
მერე, რატომღაც, იგონებენ სულ სხვა მიზეზებს.
ძველი რადიო. მარტოობა. ტანია მარია.

*

გადაიარა ქარიშხალმა. მხოლოდ მომავალს
გავყურებ, რადგან ყველაფერი მაინც წინ არი,
და ჩემი სისხლით დავაპურებ მშიერ მოსკიტებს,
რომ ჩამოვიცვა მდუმარების აირწინაღი.
მუდამ მგონია, სიბნელეში შენი კრთომა ვარ,
ცრემლის წვეთი ვარ, თვალის ბურთზე სხვამ რომ აზიდა,
მხოლოდ გულს გარეთ ვინანიებ, შენ რომ მოგწყვიტე,
როგორც ყვავილი, უცნაური, ღმერთის ბაღიდან.

*

რა გაეწყობა, საათები ისე ეწყობა
წამის ისარსაც ვერ გააძვრენ, ისე ეკვრიან
ერთმანეთს, და ვინც შეეცადა, ჩხვლიტა, უყურა,
მისთვის ეს ფუჭი მცდელობებიც მისაღებია.
და საკუთარი თავისათვის იმის შეტყობა
მწყინს, რომ პატარა დუმილი ვარ, მოზრდილ დუმილში,
შენი სუნთქვაღა მიმაგორებს, როგორც ბურბურას —
უდაბნოს ქარი, ამერიკულ „როუდმუვიში".

*

ცეცხლი ანთია ხელსახოცის თაიგულებზე,
ჩვენს ერთმანეთში ჩაწნულ დღეებს რომ მივუძღვენი,
და ჰორიზონტის რუხ ბაწარზე სველი გავფინე
ქალაქის ბოლო, თხელი ნისლი, ვრცელი უშენი.
სანამ ყველაფერს გადავლილად დაიგულებდე,
ამოიკითხე მომავალი დამხრჩვალ ნიღბებში,
როცა ზღვასავით მიაწყდები ქვიშის ნაპირებს,
და გამორიყულს ჩამიბრუნებ ფსკერის სიღრმეში.

*

გაქცევაც არის და მუდმივი კვლავდაბრუნებაც,
ამ ერთგვარობას ჟურნალივით რომ გადამიშლის.
სავსე ფინჯანი და „არილის" ბოლო ნომერი.
სდუმს ლეპტოპიდან ბოსნიური კინო, ჟბანიჩი.
და ჩემში ვიღაც წარსულისკენ გადაბრუნდება,
ვიღაც — მუდმივი მთლიანობის თავშესაფარი,
მახსოვს საღამო, მე და შენ და ჩვენი რომერი,
გლინტვეინი და დიდ ეკრანზე „ზამთრის ზღაპარი".

*

აბა სხვა რაა სიყვარული, როცა ხრიოკის
გამომშრალ ზურგზე ისევ ყვავის წყვილი აკანთო,
და მათთან ახლოს მისასვლელი რბილი გზაც არი,
რომ მივიდეთ და წიგნებისგან ცეცხლი დავანთოთ.
ღამის სიგანე და აფთრების ლეშთან წიოკი.
გალაქტიკების საბუდარა ვარსკვლავწვეთებმა
ძილის ბზარიდან ჩამომიგდეს სიზმრის მარცვალი,
და რიჟრაჟისკენ მხოლოდ შენად აღმოცენდება.

*

და რაც კი მქონდა ნაგროვები, რაც დაილექა,
ამ სტრიქონებში ჩავწნეხე და დავაბინავე,
ითენთებიან სურვილებიც და შემოდგომის
გაზანტებული ბუზებივით ძლივს დაფრინავენ,
მანამდე, სანამ ყველა ზარი ჩამოირეკა,
იმის ნიშნად, რომ შენ იქნები ბოლო ცთუნება,
როცა იმტვრევა უძრაობა, როგორც ბოქლომი,
მხოლოდ ყველაფრის, იმ ყველაფრის დასაბრუნებლად.

*

ასე იწყება შემოდგომა, ამ ძველ ქალაქში,
მთელი თავისი ღირსებით და ნაკლოვანებით,
აბანოები, მეტეხი და, მარჯვნივ — თაბორი,
და გაბრწყინებას მოელიან ნარკომანები.
შენ გეხსომება ის ფოთოლი, ქარის გადაშლილ
წიგნში, დამცინავ, ფართო ბზარს რომ ვერ იკავებდა,
ღია ფანჯრიდან ყურს უგდებდა, თითქოს გამგონი,
თანამოძმეთა შეუქცევად ფერისცვალებას.

*

მხოლოდ ჭირხლია ზედაპირზე. გამაყრუებელ
დუმილს ჭირდება შენი ხმა და შენი ხმაური,
ძალაგამოცლილ იმ სენს ვგავარ, ეს თვეებია,
რომ შეეყრება ორგანიზმს და უცებ გაუვლის.
ჩემი თავიდან სტრიქონებად გამიტყუებენ
სიტყვები, მხოლოდ ტკივილის და ხავსის მომტანი,
მაგრამ ბეტონის ყრუ კედლები მეღობებიან,
როგორც ოთახის ორქიდეის ფესვებს — ქოთანი

*

ვწერდი, რომ მტვერში გახვეული ჯამბოლინები,
ვწერდი, რომ ხვატში თავს ხრიან და წვიმას ელიან,
და რომ ძილის წინ შენთვის ერთი მკლავის მოხვევაც,
ყველა სამოთხის კარიბჭესთან მისასვლელია.
და სამუდამო ცხოვრებასაც ვამჯობინებდი
წვიმად ჩავგროვდე შენს პეშვში და შენი თითები
გადამეფარონ ერთი წამით, მერე მომხრე ვარ —
და თითებს შორის გამოზოგვით ჩავიწრიტები.

*

მაშინ იწვიმებს უცნაურად, პემზის ფორებში
მოკალათებულ სიმსუბუქეს იგრძნობ სახეზე,
დღეს ამოვხეთქავ კრატერიდან, როგორც ვეზუვი,
ფერფლის ღრუბელში ელვის ძაფებს ჩამოვაკვესებ.
არავის არ ვთხოვ პატიებას — ვემშვიდობები,
როგორც კაცი და როგორც ღმერთის გზას აცდენილი,
თითო სიკვდილით ფანჯრებიდან ყველას შევუვლი
და შენ იქნები ერთადერთი გადარჩენილი.

*

თითქოს, უაზრო და ფერმკრთალი ხელნაწერივით
წლების გადაღმა გამაგზავნეს, დროის კაფსულით,
და ამალგამაგადაფხეკილ მომავალშიც კი
ისევ და ისევ ირეკლება ჩვენი წარსული,
სტრიქონებს შორის იკითხება ყველა წერილი,
ერთმანეთისთვის რომელიც არ მიგვიწერია...
ყოველი დღის ქვეშ შენ დაგეძებ, ასად დაშლილი,
როგორც საკბილოს ბალიშის ქვეშ — კბილის ფერია.

*

იყო ქარიშხლის ხეივანიც, იყო ქარიშხლის
თვალიც, ყველასი და ყველაფრის წამომფხიკავი,
შენი მოსვლების სიხარულიც, რომ არ მოხვიდე
იმისი შიშიც — სიყვარულის ვრცელი იგავი.
შენი თმაც იყო, რომ შეიკრავ და რომ გაიშლი,
იყო წითელი მშრალი ღვინოც თიხის თასებში,
იყო ის წელიც და აგვისტოს ბოლო ოთხი დღე,
მთელი ცხოვრების ყველა დღეზე უძვირფასესი.

ᲛᲖᲘᲡ ᲬᲜᲣᲚᲘ

გიო ძამუკაშვილს

რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, რაც არ ყოფილა,
არ შეჰყვებიან გამოუვალ ხსოვნის ლაბირინთს,
სადაც ყველა ქვა სიმართლეა, თუმცა, ნაპირი
არ მოსჩანს, მაგრამ, საიდანაც ცივმა ორპირმა
ყალბი ბგერები მოხვეტა და გარეთ გაფანტა.

ჩვენ კი ვერასდროს გავიხსენებთ უემოციოდ,
როგორ ჩამოდის ფერდობიდან ცალი გზაწვრილი,
დგანან ხეები, ერთურთისკენ ხელებგაწვდილი,
არის კედელიც, რომ მიეყრდო და რომ მოწიო,
მერე ბარბაცით გაიარო ღამის ქალაქში.

რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, როგორ გავიდა
ნათელ ფერებში, ბედნიერად, მთელი ცხოვრება,
რაც არ ყოფილა, რაც არ იყო — ემახსოვრებათ,
და რაც ყოფილა, და რაც იყო, დასაბამიდან,
იმას არავინ გაიხსენებს, ქარს გაატანენ.

ჩვენ კი ვერასდროს დავივიწყებთ მწარე სიმართლეს,
როგორ ვტიროდით მაშინაც კი, როცა ვმღეროდით,
როცა ვწერდით და არაყს ვსვამდით, როგორ ველოდით
რაღაც სასწაულს, ვისხედით და ვსვამდით დილამდე,
სასწაული კი არასოდეს გამოჩენილა.

რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, როგორ გვიყვარდა,
როგორ შეგვეძლო ცხოვრება და თავდავიწყება,
იმას არავინ გაიხსენებს, როგორ იწყება
დაშლა, და ერთხელ სული როგორ გადაიკარგა
სამოგზაუროდ, და კარგა ხანს აღარ დაბრუნდა.

ჩვენ კი ვერასდროს დავივიწყებთ, როგორ ვიწექით,
ამორთმეული სიცოცხლით და ამორთმეული
სიყვარულით და ყველაფრით და მკვდარი სხეული
ჯერ კიდევ გრძნობდა გადალახულ მანძილს მიწამდე,
რომელსაც ისევ ემჩნეოდა სისხლის ლაქები.

რას მოყვებიან?! მხოლოდ იმას, რაც არ ყოფილა.

ᲔᲚᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

იარა ღრუბელმა, იარა,
ვერც ვერა გაიგო ამინდმა,
უშენოდ ლექსები კი არა,
უშენოდ სიცოცხლე არ მინდა.
იდარა, მაინც ხომ იდარა
და გული ჩურჩულებს , – აქ არი,
სიგიჟე უწოდე, გინდა რა
გიჟობა ყოფილა მაგარი.
მიყვარხარ! საიდან, ან როდის...
ვეღარსად გაგიშვებ ფიქრიდან,
წამოდი და მზე რომ ამოდის
სამყაროს ვუყუროთ იქიდან.

შენ ჩემო დილავ და დაისო,
ეს ჩემი ოცნების ხედია,
ამბობ, რომ სიგიჟე არისო,
სიგიჟეც პოეტთა ხვედრია.

* * *

გიყვარს? გაშალე ფრთები და
გასცდი საკუთარ დარაბებს,
ნისლი აჰყარე მთებიდან
მზე დააწურე ქარაფებს.
გიყვარს? ბოლო ხმით იყვირე
დასკდეს დუმილის ყავარი,
საყვარელისთვის იგმირე
მამას მოსტაცე ყამარი.
გიყვარს? ნუ მოერიდები,
ოცნება გააგულადე
და ცისარტყელას ხიდები
გასდე გულიდან გულამდე.
გიყვარს? არ აჰყვე სხვა ფიქრებს
უკვალოდ მიჰქრი-მოჰქრიან,
ერთადერთია ის იქნებ
ბედნიერება, რომ ჰქვია.

* * *

თუ სადმე კიდევ შემორჩი,
მზედ ამოხვალ თუ ღრუბლადა,
შენს ერთგულსა და შენს მორჩილს
გვერდს ნუ ჩამივლი უბრადა.
მთვარეს მოგართმევ ფიალით
ლაჟვარდს გაგიშლი სუფრადა,
ლექსს გეტყვი გულის ფრიალით
მოდი, მეწვიე სტუმრადა.
რახანი გელი, სულ გელი,
გინათებ სანთლით სავალსა,
რად დაუწუნეს სურნელი
ნეტავი იასამანსა.
ქარად დაძრული ფიქრები
კარგავს ზღვარსა და სამანსა,
შენც ბედნიერი იქნები
და მეც, გპირდები ამასა,
ოღონდაც მოდი გულით და
ნუ დამამადლი სალამსა.

* * *

ცაზე როკავენ ღრუბლები,
გული ძგერს როგორც ოცისა,
შეყვარებულის უფლებით
ნება მაქვს შენი კოცნისა.
ისეთს გაჩუქებ ამბორებს,
ხატს რომ ჰკოცნიან ლოცვისას,
მერე გადავალ ამ გორებს,
ადგილს დაგიტოვ მოცლილსა.
ხარ მზის და მთვარის მოცილო
სხივი ყინულის ლოლოში,
სად შემხვდი შე დალოცვილო
ამ გაზაფხულის ბოლოში.

* * *

დრო თუ ყველაფერს ასე გათელდა,
რაღად მივსებდა კალთას ენძელით,
გული მეტკინა, როცა გათენდა
და შენზე ფიქრი ვეღარ შევძელი.
ყველა ვუცქერით ხვალეს იმედით
და მაინც რაც გვსურს არასდროს მოდის,
ძვირფასო, ჩვენ აქ როდის მივედით,
ხელი გავუშვით ერთმანეთს როდის.
რატომ დაერქვა ყველაფერს „გუშინ“.
მთვარე გადაჰყვა მთებს იქით ნისლებს,
შენს ადგილას რომ ტკივილს ვგრძნობ გულში
ხმა გამეც, იქნებ აქა ხარ ისევ.

* * *

ღამემ გადაშალა ფართო ბეჭი,
დილას აჰყოლია აგონია,
შენ სულ ნერვებს გიშლის ჩემი ეჭვი,
ნეტავ სიყვარული რა გგონია.
შენი მდუმარება შეჰყრის ნისლებს,
მათოვს და ქარაფებს გინდა ვენდო,
მოდი ისე ახლოს, ახლოს ისე
იქნებ გულგრილობად გადამედო.
ბეწვიც ჩემს თვალებში გედირება,
მალმალ წამწამებსაც მიტომ ვხრიდი,
ასე ზღვასავით არ გედინება
ყველას სიყვარული,
გამიფრთხილდი!

* * *

მტოვებ მაშინვე, იმღვრევა თუ ცა,
მარტოს სახლამდე წვიმა მაცილებს,
შენ გიყვარს ჩემი სიცილი, თუმცა
ბევრჯერ ვერ ხვდები მე რა მაცინებს.
სიოს ნელნელა მოაქვს ქარები
და შეუმჩნევლად გვავსებს სიცივით,
ასეც სტირიან ზოგჯერ ქალები
უცრემლებოდ და სიცილ-სიცილით.

* * *

რა სიყვარული, დაბერდიო,
ამბობენ, ქალი
(ერთი ნაბიჯით ჩამოვტოვე
ნლები ბალზაკის),
თქვენს ქუჩაზეც რომ ჩამოივლის
ჩემი ხნის ქარი,
მერე თქვით, მერე....ოცნებამ თუ
იცის ასაკი.
თითო -ოროლა ნაოჭს მზერა
არ შეუცვლია,
ჭაღარა თმებით ახლა უფრო
ამაყად დავალ,
ისა ბერდება, ვისაც უკვე
არ შეუძლია
სიყვარული და ჯერ ძალიან
ახალგაზრდა ვარ!

მაია
მიქაია

სასჯელი

ათასჯერ მოვკვდი, ათასი წლის ვარ,
ათასი წყენა ვმალე ათასჯერ.
ყველა ტკივილი მახსოვს და მტკივა,
ათასჯერ ვცოდე, ერთხელ დამსაჯეს
შენით...
ბზარებში სინათლის სხივად
ამტკივდი ბნელში თვალებგახელილს,
მაგრამ ხარ დღემდე ყველაზე ტკბილი
და სასურველი ჩემი სასჯელი.

შენ თუ მიშველე,
შენ თუ მიშველე,
ღამისკენ გულ და თვალებმიბჯენილს,
როცა თავხედი ბედის სიშლეგით
დაფლეთილ სულში შემოიჭერი
სხივად,
რომელსაც აღარც ველოდი
დაბადებიდან ვიდრე ნახვამდის...
კიდევ კარგი, რომ ირგვლივ ბნელოდა,
თორემ შენც ვეღარ დაგინახავდი.

* * *

რა საჭიროა სიტყვის ბრუნება,
ან უმოწყალოდ ბგერების შრეტა,
თუ რასაც უკვე არ მეუბნები,
მზერაში ასე აშკარად ვხედავ.
და მაინც
ადნობ ყინვის გორახებს
ჩემს გულში,
სითბო
ბგერებს თუ ანდე,
მოიგუნებებ და შემომახვევ
ჩურჩულით ნათქვამ
სიტყვის ჟრუანტელს.

ტრაგიკომედია

ეს ცხოვრება „ტრაგი“-ა თუ „კომედი“...
რას გაუგებ, უღიმღამოდ ჩავლილს.
ქვეყანაზე რადგან უკვე მოვედით,
სხვა რა გზაა, უნდა ვნაყოთ წყალი –
ამღვრეული ანიდან და ჰოემდე,
ბუნდოვანი დღეითა და ხვალით.
მალე ახლო გაგვიხდება შორეთი,
მერე შორეთს შეეჩვევა თვალი
და შექსპირის რომელიღაც სონეტის
რომელიმე დრამატული პწკარი
ხდება ჩვენი მძიმე ყოფის „კომენტი“ –
სამოთხეში შესვლის საწინდარი...
ჩვენ ერთმანეთს ვგავართ ჩვენი ცხოვრებით,
ოღონდ რაღაც განსხვავებაც არი,
ერთი ფრიად უხერხული მომენტი,
თუმცა, რაღა უხერხული, მწარე –
მე მყავს ჩემი საყვარელი პოეტი,
შენ გყავს... შენი საყვარელი ქალი...

ასანთი

რას უნდა გრძნობდე? ვეღარაფერს! სხვა შენნაირებს
გვერდებით ეკვრი, წახნაგებით ეკვრი წახნაგებს
და სანამ ვინმე მოფათურე თითებს არ გახებს,
არც შეირხევი... ღმერთმა იცის, რომელს აიღებს.

იქნება, კვამლი, რომ აქრობენ ხელის აქნევით,
შენი სულია და თვითონ გსურს სული დაგეწვას?!
იქნება, ასე აგნებთ მიწას, ასე აგნებთ ცას?!.
ზოგჯერ მგონია, თქვენ კი არა, ჩვენ ვართ საგნები...

ზოგჯერ მგონია, უმჯობესი არის ის უფრო,
რომ დაივიწყო, რასაც უკვე აღარ განიცდი,
ჩამოქვეითდე, ჩამოღამდე, ჩაქრე, დამიწდე,
მერე მიწიდან ვერასოდეს ამოისუნთქო...

გულის ჯიბეში გინახავენ, გულის ფეთქვისგან
გამთბარს უგულოდ აგანთებენ, ისე უგულოდ...
და მაინც, სიკვდილს შეგიძლია მშვიდად უყურო.
შენ შემოგნატრი, შენ, უსულოს... ესეც გეღირსა –

ხისგან გამოთლილს ჩემზე მეტად რომ გაგიმართლა...
რომ არსებობდი, რომ ასანთის ღერი მაინც ხარ,
რომელიც ერთხელ აანთეს და ერთხელ დაიწვა,
ჩაქრობამდე კი... მაინც შეძლო ეშვა სინათლე.

ცალ-ცალკე

სიტყვას „ცალ-ცალკე“,
თუმც დეფისი აერთიანებს,
აღარასოდეს ენიჭება ერთი მთლიანის
მნიშვნელობა და გარეგნობა...
მაინც მოიცავს
სიშორესა და სიახლოვეს –
ერთად...
ორისას.

არტახები

მოვდივართ ქვეყნად გადაღლილები,
ვიწყებთ ცხოვრებას დაბადებით და
ცივ დედამიწას ფეხის თითებით
ვიხსენებთ, როცა არტახებიდან
ამოგვიყვანენ თბილი ხელები,
როგორც ამ მიწის ახალ ბინადრებს.

მერე ბავშვობას გადავეჩვევით,
მერე ამ სითბოს ბევრჯერ ვინატრებთ,
წიხლებს შეგვაჩვევს როცა ცხოვრება,
რომ მოხშირდება ფეხქვეშ ყანყალი,
დედა წამწამზე რომ შეტოკდება
და ცრემლთან ერთად აახამხამებ...
თუმცა, დრო გადის, ტკივილს-სამსალას
დღეებს ვურითმავთ, როცა განგებით
შეყრილ გრძნობასაც ბედს დავაბრალებთ,
რადგან არტახებს გულზე გვადებენ.
აღარაფერი გვემახსოვრება
ამ ქვეყანაზე სიმწრით მოსულებს
და, მხოლოდ ზოგჯერ, წინა ცხოვრება
გაგვახსენდება ეპიზოდურად.
ნეტავი, როცა არც ისე მიგვდის
საქმე, გვამწარებს ბედი-როკაპი,
შეგვეძლოს, თუკი არ გვყოფნის სიბრძნე,
სულის სიბრძნიდან რომ ამოვხაპოთ.
ნეტავი... მაგრამ ვინღა ოხერი!
ტვინს არტახები ადევს ხინჯებად,
მანამდე თითქოს გვემახსოვრება
და სწორედ მაშინ დაგვავიწყდება!..
თუკი იღბალმა წყვილთან გაგვყარა,
კვლავ შეიძლება აღარც გვეღირსოს.
მთლად უიღბლობას ნუ დავაბრალებთ
ცხოვრების ყველა მყიფე ეპიზოდს.
სინანულის და ცოდვის ეტაპებს
გავდივართ, ზოგჯერ თავსაც ვღალატობთ,
ვაგრძელებთ უკანმოუხედავად
ცხოვრებას – სულის უწყვეტ მარათონს.
ბოლოს კი, როცა უფალს ვბარდებით,
ბედთან ჭიდილში განამათრახებ
სულს განწმინდავენ დასაბადებლად,
ხორცს მოარგებენ ფიცრის არტახებს.

მშვიდად ვარ...

რა ვქნა, მემსხვრევა ხშირად სიზმარიც,
როცა ძილს მიტეხს ფიქრი შფოთიანს.
ყველაზე ცუდი, ალბათ, ის არის,
მართლა გიყვარდე, არა მგონია...
ორ მარტოობას შორის მოყოლილს,
ეს მერამდენედ ვზომავ ამ ბილიკს,
ვწევარ მიწაზე, როგორც ფოთოლი,
უცხო ზეციდან ჩამოვარდნილი.
მშვიდად ვარ... ველი, როდის შეწყდება
დაცლილ ძარღვებში სისხლის ციმციმი,
როდის მექცევა სული ცრემლებად
და თვალებიდან გადმომიცვივა...
ბალახს შერჩენილ ნამით ვისველებ
თვალებს – ცრემლგამშრალს და შეშინებულს,
მწარე სისხლამდე დახეთქილ ხელებს
მიწას ვერ ვაყრდნობ, რომ დაღლილ სხეულს
წამოვეშველო... წამოვიწიო
და ცას გავხედო – გზაზე დაფენილს.
ფეხზე დადგომა არ შემიძლია,
თორემ რა უნდა ცაში აფრენას!

ბედს ვეგუები

ვინ შეგაჩერებს,
თუ ბრუნდები ზოგჯერ წარსულთან?!
დარჩენილ ვალებს კრეფ და აბნევ,
კრეფ დაბნეულებს...
მაინც აქა ვარ,
მინდა, მაგრამ ვეღარ წავსულვარ,
ისევ აქა ვარ –
საკუთარ ბედს შეჩეხებული.
გულიც ჯერ ფეთქავს
და დაღლილი ხელები მიდევს
უძრავად, სითბოს ვიმახსოვრებ
ხელისგულებით.
დღეს სასწორზე ვდებ
წარსულს,
აწმყოს,
მომავლის იმედს
და ვეგუები...
გაურკვეველ ბედს ვეგუები.

პოეტობა

მის ცხოვრებას ეკლიანს
სისხლის კვალი ეტყობა...
პოეტობა ბედია,
ბედია პოეტობა!
კაცი იგი ნეტარ არს –
სიტყვის სული ენდობა.
მაგრამ მაინც სევდაა,
სევდაა პოეტობა!

პეიზაჟი

მიმსგავსებოდა ფოთლებს ცა ფერით,
შემოდგომაზე ინით დაფერილთ,
მწვერვალებს ნისლი ისე ებურა,
დათოვლილს ჰგავდა თავისებურად.
ყანა, მკერდსავსე და ნაავდრალი,
ცად მიმობნეულს კრეფდა მარგალიტს.
დღე იკეცავდა კალთებს ზარმაცად,
შინ მიდიოდნენ ქალი და კაცი,
სახლამდე ცოტა იყო მანძილი.
წვიმა ეკიდათ ტუჩზე ასკილებს,
მიჰღიღინებდა მწყემსი ცხვრის ფარას –
ავდარმა სწრაფად გადაიარა.
მოუყვებოდნენ ბილიკს მოკაკვულს
და ჩაზნექოდათ ზურგი ქოფაკებს.
ბალღები, ღობეს ატუზულები,
იდგნენ და თვალებს აფახულებდნენ.
იქვე ღიღილო ცისფერთვალება
მიფენილიყო ფერდობს ტალღებად,
ამოზრდილიყო კლდეზე ხე ცერად –
რა ბუნებრივი იყო ფერწერა!

* * *

როგორც განვიცდი,
ისე ალალად
ვწერ და სიტყვებში ვძგერ.
ცხოვრებამ ბევრი
რამე მასწავლა,
თვითონ ცხოვრება –
ვერ...

თამაზ წიკლაური

ექსპრომტად ნათქვამი

რარიგად მინდა, შევეხო ერთ წამს
მაგ გათლილ ყელს და მაგ წელს სამშვილდეს,
შენს გარდა გრძნობებს ვინ ამიწეწავს,
შენს გამო შეშლილს ვინ დამამშვიდებს?!
წუხელ მესიზმრე, არაფერს ვტყუი,
ჩემი სიცოცხლის მნათი ქრებოდა,
შენ რომ არსებობ, – ჩემს ყოფას, უი!
ვაი, უშენოდ რა იქნებოდა!!

„ლამაზი ქალის პირისპირ სუფრაზე ექსპრომტად ნათქვამი“

წავალ და გაგერიდები,
გულისთქმას ვეტყვი არაო,
რა უსაშველოდ მინდები,
ველარც სურვილსა ვფარავო.
შორით შორს რისთვის გიმზერდე,
გიმღერდე წარამარაო?!
მე რომ მანათებს იმ მზემდე
ერთი ნახტომიც კმარაო.
ვისთან ვთქვა, ზღაპრულ ქალს ჰგავდა,
არც ჰო მითხრა – არც არაო,
შორით მწვავდა და მდაგავდა,
ახლოს არ გამიკარაო.

ჩემს სოფელს

იმ სიზმარ-ცხადის ხატება
სიყრმის წლები და დღეები...
კვლავ ის გზა მომენატრება
ის ბნელი ორღობეები.
გრძნობები ცისკენ იწევდნენ,
იქ სხვა მზე მწვავდა, სხვა სენი,
ტალღების ტაშით მიწვევდნენ
ის ტბები თევზით სავსენი.
იმ მთა-გორებზე ვმღეროდი,
ღრუბლებს ვაწვდენდი ხელებსა,
იქიდან გადავცქეროდი
ალაზნის გაშლილ ველებსა.
სიმდიდრედ უფლის წყალობა,
მადლი მშობლიურ ბუნების,
ჭყიტას ტყის თავში გალობა
ხმატკბილი მოლაღურების.
ტყის პირას სიოს ნარნარი
ტყე შუქ-ჩრდილებით ნაფერი,
მურაკის ხშირი ჯაგნარი
ხოხბების წამოსაფრენი.
იმ მოგონებებს განვიცდი,
რაც ჩემს ხსოვნაში მოფრინდა,
მე სხვა სამოთხე არ ვიცი,
სამოთხედ ისიც მყოფნიდა.
მუდამ შრიალით მახსოვდა
ჯაფარას გორის ფშატები.
ის სულ სხვა შვებას აქსოვდა
საფლავშიც მოსანატრები.
სოფლის ბექობზე ერთთავად
მწვანედ ელავდა ნაძვნარი,
ევედრებოდა ღმერთს თავად
უმრევლო თეთრი ტაძარი.
მიტოვებული, ამაო,
უღმერთო დროში მყოფელი
და ფეხშიშველი მამაო
ცრუ სოფლის უარმყოფელი.
არ ვიცი, ვის და რად სურდა
ის სკოლა ცეცხლში დამწვარი,
ბავშვობაც იქვე დასრულდა,
დარჩა ფერფლი და ნაცარი.
ანკარა წყარო ჭირხლისა
წისქვილის ხევში რომ არი,
ბილიკიც მახსოვს იმ ხნისა,
იქ მქონდა დიდი რომანი.
მე ცეცხლის ალი მივლიდა,
გულს სხვა ხმა ჰქონდა სხვა ზარი,
წყაროზე ჩამაივლიდა
წყაროს წყალივით მწყაზარი.
წყარო ჟღურტულით მიჰქროდა
შვლის თვალთა ნაალერსები,
გოგოს შინ წყალიც მიჰქონდა,
ჩემი გულიც და ლექსებიც.
დრომ ორბის ფრთები გაშალა
სულის გვემის და წვალების,
დრომ ის ბილიკიც წაშალა,
იმ გოგოს ნატერფალებიც.
ეჰ, რა ამაოდ ვაგროვე
წარსული წლების გრძნობები,
ვერც გულს ვერ გამოვაგლოვე
ლამაზი მოგონებები.
ჟამი მიდგება – მოდგება,
ჟამს რას უშველი მტირალი,
ბოლოს არ ყოფნის დრო დგება,
არც არის გასაკვირალი.
არც ეს შემრჩება, არც ისა,
არც მე ვარ ბევრის მდომელი,
„გული კრულია კაცისა
ხარბი და გაუძღომელი“.

ᲕᲔᲠᲘᲯᲝ
ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲫᲔ

ᲯᲕᲐᲠᲧᲛᲐ

ისე უმიზეზოდ და ისე აბუჩად,
გავცვითეთ სიტყვა – სხეული მაცხოვრის,
მერე ქალწულობა წავართვით ალუჩას
და ახლა საკუთარ ქალაქში ვმათხოვრობთ.
ეს ისე უბრალოდ, ვითომც არაფერი,
ძეგლები დავუდგით სომხებს და ჩინელებს,
ქართველს დავუკარგეთ ჟინი აღმაფრენის,
მოველით ჩინ-მედლებს.
ისე უმიზეზოდ და ისე მარტივად
ინდუსი დაგვისვამს თავზე მემამულედ,
თქვენგან ნატირები ბეჩავი მარტი ვარ –
იერით გერმანული.
მაგრამ ამერიკულ სინდრომით გალეშილს
თვალებში ქართული ნატვრა უწრიახებს,
ანაქრონისტული სივრცე გილგამეშის
ჩამომდის ლიახვი.
დღეს ისე ქორფაა და ისე უვრცესი,
თითქოს მზე მოპარა ხილვებს ახირებულს
და როგორც უმრწემსი
გაჰქონდათ ღამეები ლექსის მარხილებით.
ისე უმიზეზოდ და ისე უბრალოდ,
ასე ეზო-ეზო სინდისი აგვყარეს,
გვიხსენ ზეციერო, შეგვინდე უფალო,
ვემსგავსეთ საყვარელს,
ყოველღამ უჯიშო სტუმრებს რომ მასპინძლობს,
უგულოდ, მუქთად.
კვლავ ზღაპარეთიდან მოელის სასიძოს,
სიზმრიდან სიზმრამდე ძლივსღა რომ სუნთქავს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡ

შინიდან გაქცეულს ამედევნა შვილის ძახილი,
მას შია.
მე კი ლექსებში საკუთარი თავი ვამხილე.
სულ არ მიტოკავს სინდისი და ვერ ვგრძნობ, რომ
ბავშვია.
ვეძებ ფორმებს და სუბსტანციებს
და გვიან ვხვდები, რომ თავად ვარ ვერლიბრი
ფსკერზე დარჩენილ სუპს ვაციებ,
მე და სიღარიბე შევრიგდით.
თუმც გულითადად ვზიდე უღელი,
დიახ, მე ვღელავ.
ეს ხომ ჩემი ცხოვრების პორტრეტია.
თქვენ ნუ მარწმუნებთ, რომ მეტია
ვიდრე არსებობა,
მოდერნია, არა, მოდელია, იქნებ ორდენია...
როდემდე გავუძლებთ სულის ასე ლპობას?
ფიქრებს ცხვრებივით მოდენიან –
შურით და ბოღმით ხეირიანს...
თქვენ უსაშველოდ გებრალებით,
მე მერქანი ვარ, ხე ნირია,
სავსე ვარ სიცრუით და მევალებით.
ახლა ჩემს ოთახში შიშის სამყოფელია,
წიგნში ჩაკიდებული გავძახი შვილს,
ცხელია-თქო,
მას მხოლოდ დედის ხელი ათბობს,
ცრემლით უკიაფებს თვალები შვლის,
რომ ვიშვი – კმაყოფილია.
ხან ვარ სიდონია, ხან ოფელია,
მჯეროდა, ვიყავი ოდესღაც მერი,
თითებში გაჩრილი თუთუნის ღერით,
მჯეროდა!
განა რაღა იყო მეტი ჩარა,
ვიყავი გოგონა მეტიჩარა,
სულ რომ ალაგებდა თეთრ ჩემოდანს.
მქონდა სადილად ბავშვობა ლაღი,
ახლა გაზაფხულით ივახშმებს ბაღი.
თქვენი სიყვარული, ძვირფასო, რა ღირს?
გიხმობთ გამოხედვა ვნებიან პრაღის.
დაქანცულ-დაღლილს მომაგონდა,
დასძინებია ჩემს შვილს უვახშმოდ...
ხანდახან მინდა, საკუთარი თავი მოვახრჩო.

ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

მასპინძლობს ღამეს ქუჩები ქოსა –
სავსე ჭირის და ბოღმის დუღაბით,
გარეთ ნათურის ციმციმი გვმოსავს,
შინ დამშეულნი ვნატრობთ მურაბას.
მუცელმაძღარი ხელისუფალნი
ოცნებებს გვირიგებს ულუფებად.
ამოგორდება ცაზე მსუქანი
მთვარე და სახე უმუქდება.
დედაჩემი კი იმუქრება,
სიბერეს გაუწყდესო ჯანი.
ძილისწინ ვუკითხავ შვილს ქაჯანას.
ცაზე გადირბინა შვლის ნუკრებმა,
მოჰყავს ბავშვებისთვის თოვლის პაპა.
ყოფა ახლა ისე გავაზღაპრე,
მეც კი მეჩვენება ჭაღად ლამპა.
მოვისხი ვარსკვლავების ხილაბანდი,
თვალებს ნაზად რომ მინაბავდა.
ასე ერთმანეთს თავს ვაწონებთ,
ვახშმად მაქვს ორცხობილა და მაწონი.
შვილი ზღაპრების მეციხოვნე
ელის თოვლის პაპას საჩუქრებით.
თქვენდა შესაფერად ვერ ვიცხოვრე,
ჰოდა, ამიტომაც გავჩუმდები.
ბარათს მე და ჩემი ნატვრები გწერთ,
ბედს ვეთამაშები ბავშვობანას,
ხვალე უთენია ქუჩებს ვით წვერს
მზე თოვლს სახიდან ჩამოპარსავს.
ისინი ამაყობენ ავტობანით,
მე კი ვუბრუნდები ჩემს მოპასანს.
ქალაქს ჭუჭყი რომ ჩამობანეს,

რა უყოს საბრალომ მშიერ მუცელს.
კონცერტებს მოვაწყობთ უცებ-უცებ,
შინ კი საახალწლო მაგიდაზე
ვუტოვებთ ძველ წელს ვალებს ქვითრად,
მერე ნატვრები აგვიტაცებს,
იმედებში რომ გაგვიქვითა
ახალ-ახალი დაპირებით
ხელისუფლებამ საარჩევნოდ.
ჩვენ ვრჩებით დედა ნატირები,
ისე, ენა მაინც გააჩერეთ.
ნუთუ არ არსებობ, თოვლის ბაბუ,
მე რომ ერთი ნატვრა ამისრულო,
დარდით ნუ იქნება დანისლული,
ისედაც გონარეულს ესხმის თავბრუ
ჩემსავით ბეჩავ საქართველოს.
გქონოდეს უხვად შაქარ-რთველი,
ღვთისმშობლის კალთას შეყუჟულო,
ვერას დაგაკლებს შენ ურჯულო,
ჩემო მადლიანო საქართველო.
ღმერთო, მომივლინე თოვლის პაპა
შენთან სასაუბროდ ვეძებ საბაბს,
საბნად ღამემ თოვლი ნაიფარა.
ღმერთო, დაგვიფარე!

დის მონატრება

ბოლო დროს რაღაც არეული ფიქრი დამჩემდა,
საკუთარ სხეულს სტრიქონებში ვითვლი ნეკნებად.
ვეღარ შევძელი ტყუილ-მართალის ერთად შეკრება,
მგონი სიზმრებშიც მოვაბეზრე თავი ამ ჩემ დას.
არადა, ღმერთო, სულზე მეტად ჩემში ბინადრობს,
ვერ ვურიგდები გარდასულად ნაჩვევ წინა დროს,
წამი კი არა, თვით სიცოცხლეც შეწყდა, გაჩერდა
დარდით, რომ ახლა შეიძლება დამ არ მინატროს.

ნატო ყატაშვილი

* * *

თუ არ გტკივა, ლექსს ვერ დაწერ,
რაღაც თუ არ გტანჯავს.
ჭინჭები თუ არ გაცვია,
თუ გამშვენებს ფარჩა.

თუკი ვერ გრძნობ მიწის სურნელს,
თუ არ ცელქობს ქარი,
თუკი სულს არ შეგიშფოთებს
ამღერება ქნარის.

ლექსს ვერ დაწერ თუ წინაპარს
არ დაუკმევ საკმელს,
თუკი შენს ძეს არ დაარქმევ
მამა-პაპის სახელს.

თუ დღე ღამედ არ აქციე,
და კელაპტრად – მთვარე.
მწარე ტკბილად მიიჩნიე
წვიმა დარად ჩანდეს.

თუკი ცხოვრობ როგორც ყველა
ლაღი, მშვიდი, წყნარი.
და სულში არ დაგრიგალებს
ოცნებების ქარი.

თუ არ გტანჯავს, ლექსს ვერ დაწერ,
სული თუ არ გტკივა.
უშენობა მაწერინებს,
სტრიქონები მცვივა.

არ მსურს სული დამიამო
თუ დავკარგე ლექსი.
შენც მყავდე და ისიც იყოს,
არ მსურს უკეთესი.

* * *

თოვს……
ფიფქებმა ფიქრები მომისია.
მინდა საქართველო მოვიარო,
ვნახო გრემია თუ ყინწვისია.
თოვლივით სუფთა და უწმინდესი
ქართველი გლეხკაცის სინდისია.
ღვთისგან ბოძებული მიწა–წყალი
ვეღარ გამიგია დღეს ვისია.
ისე მომრავლდა და გაზულუქდა
ბევრი გაიძვერა, უღირსია.
თოვს……
ფიფქებმა ფიქრები მომაყარა….
ღმერთო, მოაშორე საქართველოს
ათასი მავნე და ყიამყრალა.

* * *

სადაც პირველად შებარბაცდა შენს ფეხქვეშ მიწა,
სადაც ბაჯბაჯით დაყვებოდი დედას ეზოში,
სადაც სილაში თამაშობდი ტოლებში ერთხანს,
სადაც ენძელებს აგროვებდი თოვლჭრელ ბექობში.

და საიდანაც იწყებოდა სამყარო შენთვის,
სადაც გაავლე გაზაფხულზე პირველი ხნული.
სადაც დიდედა გიყვებოდა ძილის წინ ზღაპრებს,
სადაც სიკეთეც დაინახე, ცხოვრებაც მტრული.

იქ არის, ვიცი, დღესაც შენი სიზმრის საუფლო
და საბოლოო ძვალთსალაგიც იქ გეგულება.
გინდა ბოლო ჟამს შენს ჭერ-ფუძეს გაესაუბრო,
მადლი იქედან გაუგზავნო დედაბუნებას.

რომ გაგაჩინა, ცოდვა-მადლის გაჩვენა გემო.
აგაყვავილა ვიდრე, მანამ მიწად იქცევი.
რომ შენს ფესვებზე გაახარა ახალი ნერგი
და რომ ის ნერგი ჭიგოდ გიდგას, არ წაიქცევი.

სადაც არ უნდა მოგატაროს ცხოვრებამ ურჩმა,
შენი ფუძიდან პირველ აღქმულ სამყაროს ხედავ.
დედასამშობლო დამილოცე, უფალო, შეგთხოვ
და დაიფარე ჩემი სიყრმის ადგილის დედა.

სახუმარო

მე მიხარია ჩემი შვილი ლექსებს რომ არ წერს,
არ ეძებს რითმას.
არ ასტრიქონებს ამქვეყნიურ ცოდვა-ბრალსა და
გულს სხვა გზით იფხანს
ამ სამყაროზე.... არ იშენებს ოცნების კოშკებს
და ღრუბლებიდან არ დაეშვება.
ჩემსავით მასაც ცუდი - კარგში, შავი - თეთრში
რომ არ ეშლება.
მე მიხარია ჩემი შვილი, რომ არ იტირებს პოეტურად,
ღმერთმა აშოროს....
მე კი..... მუზები ისევ ჩემთან მოვიდეს, ღმერთმა
არ მომაშოროს.

* * *

როცა მიწისგან მოგზილა ღმერთმა,
როცა ჩაგბერა კაცუნას სული,
როცა აგართვა ის ერთი ნეკნი,
როცა შუაზე გაგიყო გული,

მას შემდეგ ყველგან დამეძებ, ადამ,
და აგერია ათასჯერ კვალი,
ათასი ნეკნი მოირგე უკვე,
უკვე უარყავ ათასი ქალი.

ნუთუ ვერ ხვდები, იმ შენი ნეკნით
(სამწუხაროა), მაგრამ მე შემქმნა.
მე შენი სულით ვისუნთქე დღემდე,
მე შენი გულის ნახევრით ვფეთქავ.

შენ ისე ძლიერ გაერთე ძებნით,
ვეღარც კი მამჩნევ და ასე გეტყვი:
იჩქარე, თორემ მიწა იყავ და
მიწად იქცევი ნაკლული ნეკნით....

* * *

მე არ ვარ ევა, მე ვარ ლილითი,
თავისუფალი ცეცხლი ვარ, ადამ.
მე სულ სხვა ფერი ვნახე სამყარო,
ამოგაცლიდნენ, კარგო, ნეკნს სანამ.

მე სულ სხვაგვარი ვნახე ედემი,
სიყვარულის და სიკეთის ფერი.
ახლა სიბილწის ორომტრიალში
იმ შეუბღალავ სიყვარულს ველი.

მე ვარ ლილითი, თავნება, ურჩი,
ცეცხლიც ვარ, ვნებაც, გულწრფელი მხოლოდ.
მინდა ცა იყოს ისევე ლურჯი
და სიყვარული მოდგმის სიმბოლო.

ნათამაშები, ყალბი გრძნობებით
მე ვერ ამომდებ ნეკნისგან ლაგამს.
მე სიყვარული ვიცი სხვაგვარი,
შენგანაც ამას მოვითხოვ, ადამ.

* * *

მე ვეღარ შეგფიცავ ერთგულებას,
აღარც სიყვარულის თავი არ მაქვს.
ვინც კი მოვიდა და მეიმედა
ყველა უთავბოლოდ განიავდა.
ქვეყნად სიყვარული არ არსებობს,
ან მე მათამაშებს ბედისწერა.
...ისე მომინდა, რომ მყვარებოდი,
შენთვის ლექსები რომ დამეწერა.

თორემ ვიცი, აღარ მომიხდება
თეთრი თავსაბური საქორწინო.
არ მსურს ოცნებები ავშალო და
მერე კიდევ ერთხელ გავიწვიმო.
ისე გულისგულში მეყვარები,
ლექსებს მოგაფერებ ღამენათევს.
...ისე მომინდა რომ მყვარებოდი...
...მერე შენც სხვებივით გამეფანტე...

ნატვრა

ნეტავი ერთ მშვენიერ დღეს
შენს მკლავზე გამღვიძებოდეს,
ცხრა თვის თავს ბალღი გაჩუქო,
ღვთის მადლი თან დაგვყვებოდეს.
შემოგვერიოს ჭაღარა,
წვრილ-შვილი გაგვმრავლებოდეს,
ბანში ცხვარ-ძროხა გვიმრავლოს,
ბალღნი არ დაგვმშიებოდეს.
სიყვარულსა და სითბოში
დრო-ჟამი გაგვგრძელებოდეს,
კალთაში შვილის შვილების
შვილები აგვტირებოდეს.

მივდივარ

მივდივარ, რადგან შენ არ დამასწრო.
მივდივარ, მაგრამ რატომღაც ვერ გთმობ.
მივდივარ, მაგრამ ტკივილი მახრჩობს.
სულის სიმშვიდე მისაგზლე, ღმერთო!
მივდივარ, რადგან შენთან სავალი
გზა იყო მძიმე, ეკლებით სავსე.
მივდივარ, რადგან ვერ შემაშველე
ხელი და... თვითონ ისურვე ასე.

მივდივარ, მაგრამ ეს განშორება
მე არ მინდოდა, უფალმა უწყის.
მივდივარ, რადგან წარსულს ვივიწყებ,
მინდა გადაშლა ახალი ფურცლის.
მივდივარ,... რაღაც მაბრუნებს უკან,
თითქოს ფეხებზე მკიდებენ ხუნდებს.
მივდივარ, მაგრამ ალბათ იმიტომ,
რომ წავიდე და კვლავ დაგიბრუნდე.



ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲝᲜᲝᲤᲠᲔ (ᲬᲣᲚᲐᲫᲔ)

ᲞᲐᲞᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲔᲑᲘ

მგალობლები მოვიდნენ. პაპამ თავზე ხელი დაადო, დალოცა. ცოტა ხანში კაცი და ქალი შემოვიდა პატარა ბავშვი მოიყვანეს, შეხვეული, რამდენიმე თვის იქნება. ნათლობა სახლში უნდა ჩატარდეს რადგან პაპას მილიცია ეკლესიაში შესვლის უფლებას მხოლოდ კვირაობით აძლევს. მგალობლები ქუჩას ათვალიერებენ ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო,. მილიცია, ფინგანი ან მათი ვინმე „შპიონი“. ქუჩა თითქოს თავისუფალია. ფარდები საგულდაგულოდ ჩამოაფარეს და დიდი ვერცხლისფერი ემბაზი გამოაგორეს შუა ოთახში, წყალი ჩაასხეს, პაპა იმოსება, ოლარი და სამაჯურები გაიკეთა და კურთხევანი შესაბამის გვერდზე გადაშალა. „დავსდებ ხელსა ჩემსა“ – ლოცულობს პაპა. მე მის ფეხებთან ვდგავარ და ველოდები ახლადმონათლულზე ანგელოზების გადმოსვლას. პაპა ემბაზის ირგვლივ საკმეველს აკმევს, საოცარი კეთილსურნელება დატრიალდა ოთახში. „გოსპოდი პომილუი“, გალობენ მგალობლები სამ-სამჯერ. ოთახში დიდი, დიდი რკინის ღუმელი ანთია და ძალიან თბილა, ღუმელზე რძის ალუმინის ბიდონით თოვლია გასადნობად დადგმული, სარეცხისთვის ამ წყალს იყენებს ნადია, პაპას შვილი, რომელიც მეუღლესთან, ანდრეისთან და შვილებთან ერთად პაპას სახლში ცხოვრობს. ნადია აივანს ალაგებს და უკმაყოფილოდ ჯაჯღანებს, იხსენებს ბოლოს პარტიული რეიდის დროს როგორ გააფრთხილეს, „მიხედეთ სტარიკს, კაცო, თავს რად იფუჭებთ, ხომ იცი, ეს ამბავი რომ გავახმაურო, ანდრეის სამსახურიდან გამოაგდებენ და ბავშვები მშიერი დაგრჩებაო“. ნადიამ ამ საქმეში ახალი ფულით 100 მანეთი გადაიხადა და ერთი ტომარა დარჩეული კარტოფილი გაუგზავნა რეიდის უფროსს, რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა.

„გოსპოდი პომილუი, გოსპოდი პომილუი, გოსპოდი პომილუი“– დაბალ ხმაზე გალობენ მგალობლები. ნათლობა გრძელდება, ბავშვი უკვე წყალში შთაფლა პაპამ, მირონიც სცხო და სახარებაც წაუკითხა, თმაც მოიკვეცა პატარამ და ამ დროს ისმის გარედან ხმა ფინგანი მოდისო, მონათლულს სწრაფად აცმევენ. „ფუი ეშმაკსა“– ამბობს პაპა. ისევ ის მეზობელი და რამდენიმე კაცი შემოდიან, ერთი ქალიცაა, რომელიც ამრეზით ათვალიერებს ირგვლივ ყველაფერს. მოსულები მაგიდასთან სხდებიან, ქაღალდებს იღებენ და აქტს წერენ, შემდეგ ხელს აწერენ, პაპა ხელს არ აწერს, ნადია ტირის და მოსულების უფროსს ეუბნება „პატივცემულო, ვარლამ, შენს მუხლებს ვენაცვალე, ერთხელაც გვაპატიეო“– ვარლამი უარზეა, სიგნალი შემოვიდა „პარტიული ფოსტის“ კოლეგიაში და ვერაფერს გავაწყოფო, უძლური ვაარო. მთელი რაიკომის ბიური აღშფოთებულიაო. “ „როგორი სიმარტლეა, ჩტო რელიგია ოპიუმ დლია ნაროძა“– ამბობს ქალი და ირგვლივ ისევ ამრეზით იყურება. „ფუი ეშმაკსა“– ჩაილაპარაკა პაპამ. აქტი დაწერეს და წავიდნენ. „გირსი ხარტ, რომ სიბირი უკან დაგრჩეტ“– ბოლო სიტყვა დატოვა ქალმა. ნადია მრისხანებს ანდრეის სამხახურიდან გამოაგდებენო და პაპას ლანძღავს. პაპა უკვე ოთხმოცს გადაცილებულია, ახლა ალბათ აღარ დაიჭერენ, მხოლოდ გაფრთხილებას დაჯერდებიან, ადრე ხშირად აპატიმრებდნენ. გაპარსავდნენ და ცემდნენ. „ფუი ეშმაკსა“– ამბობს პაპა, ტახტზე წვება და თვალებს ხუჭავს, ხელში სკვნილი უჭირავს და ნელნელა მარცვლავს. მე პაპასთან მივედი და ვეკითხები: „სად არიან ანგელოზები ?“ „აქ არიან, უკვე, ჩემთან მოვიდნენო“. გაოცებული შევცქერი, ნადია ისევ ჯაჯღანებს აივანზე. პაპამ თვალები ისევ დახუჭა და სკვნილის დამარცვლა განაგრძო. „გოსპოდი პომილუი“ – ჩამესმოდა მთელი ღამე და ვხედავდი ანგელოზებს, რომელთაც პაპასთვის თავზე ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინი დაედგათ და ზეცისაკენ გალობით მიაცილებდნენ. გარეთ თოვდა, დიდი ღუმელი მთელი ღამე ღუღუნებდა. იმ ღამეს პაპა გარდაიცვალა.

ᲝᲚᲘᲐ

ზარია. ოლია კარებს აღებს და ამბობს: მობრძანდიიით. სტუმარი შემოდის ჩანთებს იატაკზე დებს, პალტოს იხდის და საკიდარზე ჰკიდებს, ოლია ეხმარება სტუმარს, მოდი გაკოცოოო, შენც გაკოცოო – კოცნიან ერთმანეთს. შემოსასვლელში რადიოა ჩართული. სტუმარი ოთახში შემოვიდა. თბილა სახლში, ამბობს თეთრწვერა მოხუცი კაცი, ირგვლივ კმაყოფილი იხედება, შემდეგ ჩემთან მოდის თავზე ხელს მადებს და მესალმება, მეც ვესალმები. ჩაი მინდა, მაგვიანდება – გაჰკივის ნინია, ოლიას შვილი და თეთრწვერა მოხუცის შვილიშვილი. პაპა როგორ ხაარ – ეძახის პაპას ნინია, თოვლია თქვენთან ? ვასო სამსახურში წავიდა მამა, გამოიძახეს, ებოდიშება ოლია მოხუცს. მოხუცი კმაყოფილი ათვალიერებს ბინას. რადიოში საფორტეპიანო კონცერტის ტრანსილაციაა. ოლია ოთახებში მიუძღვება და რემონტის ამბებს უყვება, მოხუცი კმაყოფილია. ჩაი დედა – გაჰკივის ნინია. თვითონ გაიმზადე – სიტყვას უბრუნებს ოლია. მოხუცი ტელეფონის აპარატს დასცქერის: თქვენთან უკვე ნომრიანები დაუდგიათ, ჩვენთან ისევ ძველებია კომუტატორისა, ნომერს ჩავიწერ და დაგირეკავთ. ოლია კმაყოფილია, რომ მამას მოწონს მისი ახალი ბინა. ლოჯაში გადიან და ჩანთებიდან პროდუქტების ამოლაგებას იწყებენ, ყველი, კარტოფილი, ლორის დიდი ნაჭერი, ჟოლოს მურაბა და კიდევ რაღაცა მაქვს თქვენთვის ამბობს მოხუცი ღიმილით და მეორე ჩანთიდან ღვთისმშობლის ხატს იღებს, რომელიც ხავერდის ლურჯ ნაჭერშია შეხვეული, მერე ადგილი შეურჩიეთ, დროებით კი აქ იყოს წიგნების თაროზე, დაგიცავთ და დაგიფარავთ და პაპა ხატს წიგნებთან მოათავსებს. ოლია არაფერს ამბობს, ცოტათი თითქოს ჩაფიქრდა. წავედიი – ყვირის ნინია, ჩანთას იღებს და სკოლაში გარბის. ოლიაც უნდა წავიდეს, იცმევს და პომადას ისმევს.

ოლია ძალიან ლამაზია და პომადა უხდება – ყველა ასე ფიქრობს, ნათესავები და ახლობლები. მამა, საღამოს ვასოს სტუმრები ეყოლება, ვინც ბინაზე დაგვეხმარა, ამბობს ოლია. მამა იღიმება, წიგნების თაროდან ღვთისმშობლის ხატი შემოგვცქერის, რომელიც ძვირფასი ლითონის პერანგითაა შემოსილი. ოლიამ ჩაიცვა და სახლიდან მიდის, თმები ოქროსფრად უბზინავს და პომადა ძალიან უხდება, ოლია დეიდა ძალიან ლამაზია. მე მეორე ოთახში გავდივარ, მოხუცი

ტახტზე წამოწვა და ჩაეძინა, ეტყობა გზაში ძალიან დაიღალა. ნინია სკოლიდან მოვიდა და ემზადება დრამ-წრეში წასასვლელად, პიონერთა სასახლეში. მალე ოლია დეიდა და მისი მეგობარი კიროჩკა მოვიდნენ, ბაზრიდან პროდუქტები მოიტანეს და სუფრის სამზადისს შეუდგნენ. რადიოში ვაგნერის სიმფონიებს გადმოცემენ. ნინია სასახლეში წავიდა. მოხუცს ისევ ძინავს. ვასოც დაბრუნდა, აბა როგორაა საქმე ეკითხება ოლიას. მამა ჩამოვიდა – ახარა ოლიამ. დავიღუპეთ – შეიცხადა ვასომ, ხასანოვიჩი უნდა მოვიდეს და მას საოცრად არ უყვარს მღვდლები, კაცი იდეური კომუნისტია, ათეისტი, პირდაპირ კრემლში აქვს საქმე, კოვალენკოს მეგობარი და თანამებრძოლი. ვასო ნერვიულობს, არ გაჩერდება, წავა და ეს ჩვენთვის ცუდი იქნება ძალიან, ოლია დაფიქრდი და რაღაც მოიფიქრე, ჩემი დაწინაურების საქმეც გადაიდება და ალბათ სამუდამოდ. მინისტრად კოვალენკოს წარდგინებით გამოუშვეს, ნერვიულობს ვასო. ამ დროს მოხუცმა გაიღვიძა, სასტუმრო ოთახში შემოვიდა და ვასოს ესალმება, სახეზე ისევ სიხარული აქვს აღბეჭდილი. მამა, ერთი წუთით, ეუბნება ოლია მამას. ცომიან ხელებს იმშრალებს და ცალკე ოთახში გადის, მოხუციც მიყვება. კირა და ვასო მაგიდას შლიან, კირამ მაგიდაზე თეთრი აბრეშუმის საფარი გადაფარა და თევშების დალაგება დაიწყო. რადიოში დაბალ ხმაზე ისევ კლასიკური მუსიკის კონცერტს გადმოცემენ. ვასო ღვინისთვის გრაფინებს რეცხავს და ამშრალებს. ოთახიდან ოლია და მოხუცი გამოდიან, მამა ჭამე რამე და ისე წადი – ეუბნება ოლია, მოხუცი უარის ნიშნად თავს აქნევს, ოლია პალტოს აცმევს მამას, ქუდს აწვდის და ლოყაზე კოცნის. მოხუცი სულ გაფითრებულია, გვემშვიდობება და სახლიდან გადის. ოლია ნერვიულობს, დაძაბულია, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზია, პომადა ძალიან უხდება.

კიროჩკა სუფრას აწყობს. ვასომ ღვინით სავსე დოქები დადგა მაგიდაზე, საცაა სტუმრებიც მოვლენ. ამ დროს კარზე ზარია, ნინია დაბრუნდა, პალტო გაიხადა, ლიმონათი დაისხა და სასტუმრო ოთახში გავიდა. ჩვენ ლოჯაში ვართ და ვფუსფუსებთ, რაიმე არ გამოგვეპაროს, ვასოს უკვე ჰალსტუხი უკეთია. ამ დროს ნინიას ხმა ისმის, – დედაა, დედაა, ტირის! ოლია ვერ გაერკვა, რა ხდება, ვინ ტირის? – ეკითხება ნინიას. ხატი ტირის დედა. ყველანი სასტუმრო ოთახში შევდივართ, წიგნების თაროზე, ღვთისმშობლის ხატს ცრემლები ჩამოსდის, პატარა წვეთები ორივე თვალიდან მონოტონურად მოედინება, კიროჩკამ ტირილი დაიწყო, ოლია გაოგნებულია. რადიოში ისევ კლასიკური მუსიკის კონცერტს გადმოსცემენ.

თოლია

ტრასა ბეტონის ფილებითაა გადაკეტილი, წინ სიბნელეა. ამაღამ შეტევაზე გადმოვლენ, ასე ფიქრობენ სამხედროები, იარაღი ყველას გამზადებული აქვს. ძირითადად მსუბუქი იარაღი, აკაესები. შიგადაშიგ ტყვიამფრქვევებიც შეინიშნება, ლიმონკები, რაჟოკების შევსება გადამოწმება უკვე მორჩა, ეხლა ლოდინი დარჩა, რომელიც შინაგანი მღელვარებითაა აღსავსე, არაყი დროებით შველის ამ მდგომარეობას და ალაგ-ალაგ მთვრალი ღრიანცელიც ისმის. განსაკუთრებული გეგმა არაა, ყველა საკუთარი „ჯიგრობის“ იმედადაა. ერთადერთი გეგმის მიხედვით ვილისით ხუთი კაცი უნდა გაემგზავროს წინ, მტრის პოზიციებისაკენ, 300-400 მეტრი და იქ გაჩერდეს ე. წ. პოსტზე, მტერი პირველად მათ შეეჩეხება და სროლის ხმაზე მთავარი ბანაკი გაემზადება. ხოლო პოსტი დიდი ალბათობით იღუპება. ვილისი გამოგვყავს და ვცდილობთ დავქოქოთ, ბიჭები მანქანას აწვებიან, იქოქება და ნელ ნელა ჩამქრალი ფარებით ვიძვრებით წინ, „ს-ბოგომ“ გვლოცავენ და გვაცილებენ ბიჭები. „ს-ბოგომ“ ვემშვიდობებით ჩვენ. წინ ნელ ნელა მივიწევთ, იარაღი გამზადებული გვაქვს, შეიძლება მტრის მოწინავეს გადავეყაროთ, ანდა ჩასაფრებას, შეძლებისდაგვარად მზად ვართ. ცოტა ხანში ვჩერდებით. ჩვენგან მარცხნივ ზღვაა ასე 150-200 მეტრში, ქვიშიანი სანაპირო, ზღვის ხმა ოდნავ აღწევს ჩვენამდე, ზღვაურიც უბერავს. ცივა. მანქანას დაფერდებულ ადგილას ვაჩერებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ადვილად დაიქოქოს. წინ ნაძვების სილუეტები მოსჩანს, იქვე ხიდი უნდა იყოს. გადავწყვიტეთ ხიდთან მოვეწყოთ. სათვალთვალო მხოლოდ ხიდი იქნება და ფლანგები დაცული, მდინარე წყალუხვია და ღამით მასზე ვერ გადმოვლენ. ხიდამდე ფრთხილად მივედით, სიმშვიდეა, ხიდის მარჯვნივ მცირე ამაღლებულ ადგილას გავჩერდით, ნაძვებს შორის. აქედან ხიდის ყველა მონაკვეთი კარგად მოსჩანს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაც. ცეცხლის გასახსნელადაც ხელსაყრელი ადგილია. ჩვენი ხიდიდან მტრის პოზიციისაკენ სწორი ტრასა მიდის და კიდევ ხიდია, ვიწრო და გრძელი ხიდი. აქაც წყალუხვობაა, ხიდის ბოლოში მათი გამაგრებული პოზიციაა, ამბობენ გაუბიცა უდგათ და ტანკიც უყენიათ, ცოცხალი ძალაც საკმარისად ყავთ. ბოლო ხიდი დანაღმულია, საჭიროების შემთხვევაში ააფეთქებენ. პერიოდულად ცაში მაშხალებს უშვებენ, ეს ფსიქოლოგიურად მოწინააღმდეგის მოშლის ტაქტიკაა, ყოველ მაშხალაზე ემზადები, ხან წითელია ხან მწვანე, ავისმომასწავებლად ზლაზნვით მიემართებიან ცაში მაშხალები, უკან ჩამოვარდნისას ქრებიან.

სულ ხუთნი ვართ, მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი სანდრიკა, კიდევ ერთი თბილისელი და ორი კახელი. აქ გავიცანით და დავმეგობრდით. ავლაბრელი უსტაბაშა ჩანთიდან იღებს ძეხვს, პურს, ცოტაოდენ ყველს და არაყს, სანამ დროა წავიხემსოთო. ვეთანხმებით. ცივა, არაყმა სასიამოვნოდ დაგვიარა ტანში, სხეულის ყველა კუნჭული მოიარა და რეალობა გაახალისა. ვიწყებთ აღჭურვილობის გადამოწმებას, ორი ერთმანეთზე სკოჩით გადაკრული რაჟოკი ავტომატზე მიკეთია, კიდევ ექვსი მაქვს, მაკაროვი კაბურით წელზე, ტყვიები პირში აქვთ. იარაღები გადავამოწმე. კი ასეა ნამდვილად, მაკაროვის სათადარიგო აბოიმა, ჟილეტის ჯიბეში. კი ასეა, ლიმონკა ერთი ცალი, რგდ, ესეც ვნახე, ადგილზეა და მცირე ზომის დანა გასახსნელი, ტისაგი, ესეც აქაა. მზადაა ყველა, გულში ვლოცულობ, ალბათ დანარჩენებიც გულში ლოცულობენ, მდუმარედ ვართ და ჰორიზონტს გავყურებთ. დრო გადის ძალიან ნელა, ცოტა ხანში ალბათ გათენებას დაიწყებს, სიჩუმეა, მხოლოდ ზღვის ტალღების მსუბუქი ხმები მოდის ჩვენამდე, ტალღების ხმაურს ახალი ხმები შეემატა რომელიც მოტორის ხმას ჰგავს და ძვლივს აღწევს ჩვენამდე, ვიძაბებით, მოტორების ხმა უფრო გარკვევით ისმის, გავყურებთ წინ, არავითარი მოძრაობა არ შეიმჩნევა, საოცარია ხმა ყველას გვესმის, უკვე მკვეთრად, ირკვევა მიმართულება, ხმა ჩვენი ბანაკის მხრიდან მოდის, ზურგიდან, ჰოი საოცრებავ, რა ხდება? სიბნელეში არაფერი ჩანს, უკვე შეჩვეულ სიბნელეს ვაკვირდებით ნელნელა იკვეთება ტანკის სილუეტი, ზურგიდან გვიახლოვდება, კი ტანკია, უკან ბეემპეც მოყვება, შემდეგ ვილისი გამოჩნდა, ვინ არიან ვერ ვხვდებით.

უცებ თეთრი მარშუტკა გამოჩნდა, ჩვენებია, გაპარსული გიორგის მანქანა ვიცანი, კი ასეა, გაპარსული გიორგის თეთრი სახე დავლანდე თითქოს, თუ მეჩვენება? გაპარსული გიორგია კი. სულ გაპარსულია და ასე შეარქვეს, არავინ

იცის როდის ახერხებს ამ პირობებში იყოს სულ ფორმაში. უკან ბიჭებიც მოყვებიან ტექნიკას ჩქარი ნაბიჯებით, ჩვენებია, მადლობა ღმერთო, ვცდილობთ შევუერთდეთ, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო. შეიძლება ცეცხლი გაგვიხსნან, ხილვადობა ცუდია. ტექნიკა გავატარეთ, სანდრიკა წელში მოხრილი მიდის ტრასისკენ. „მტკვარი“, „მტკვარი“ – იძახის პაროლს. ერთი თვეა ეს პაროლი არ შეცვლილა. „ რიონი“, „რიონი“ – არის პასუხი. ბიჭები სანდრიკას ესალმებიან, შემდეგ ხელს გვიქნევენ და გვეძახიან, მივდივართ, ერთმანეთს ვესალმებით, რა მოხდა ვკითხულობთ გაკვირვებით. თქვენი წამოსვლიდან ცოტა ხანში გია ჩამოვიდაო გვეუბნებიან, მოწინააღმდეგეს გვერდით ფრონტზე გაუჭირდა და ძალები იქეთ გადაისროლაო, ქალაქში მცირე ძალები დატოვეს და გვაქვს შანსი ქალაქი ავიღოთო, გიას თან ტექნიკაც ჩამოუყვანია და ოცდაათამდე მებრძოლი, ვემზადებით შეტევისთვის, ტექნიკა დაიქოქა. ბეემპე წინ გაიჭრა და ლურსები დააყარა ხიდის მიმართულებით, ტანკმაც გაისროლა, ტყეში გავიშალეთ და მთავარი ხიდისკენ დავიძარით. ტანკი პერიოდულად ისვრის, ასევე ბეემპე. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით ამუშავებს მტრის პოზიციებს.

ჩვენს გავრბივართ წინ, მტკვარი-რიონი ისმის პერიოდულად, მოწინააღმდეგემ ცეცხლი გახსნა გაუბიციდან, საშინელი ხმაურით დაეცა ნაღმი, ირგვლივ დენთის სუნია და თბილი ჰაერი აფეთქების გამო, თბილი ჰაერი ისეთი ძალით გვეკვეთა რომ ნაბიჯს ვერ ვდგამთ წინ, ნაძვები შუაზე გახლიჩა ყუმბარამ, თითქოს ავეჯის საწარმოდან ნახერხი მოიტანეს და თავზე გადმოგვაყარეს, ყველგან ეს ნახერხი დაფრინავს, ნახერხით გვევსება თვალები, ყურები, კისერი. კიდევ აფეთქებაა, ვიღაცა ტირის ტყეში, ვაიმე ტოო, ხელები ტოო, ისმის განწირული ხმა. გავრბივართ წინ, მტრის გაუბიცა აღარ ისვრის, ტანკი ხიდთანაა და მოწინააღმდეგის მხარეს ამუშავებს, ეძახიან ვისაც ტყვიამფრქვევები გაქვთ ხიდთან მოდით და ცეცხლი გახსენითო, საშინელი სროლა და ხმაურია, ტანკი ხიდზე შევარდა და წინ დიდი სიჩქარით მიიწევს, შეიძლება ხიდი ააფეთქონ, ბეემპეც მიყვა, ტანკი ხიდზე მშვიდობით გადავიდა, ჩვენც გავრბივართ ხიდისკენ, მისი სიგრძე 150 მეტრია, შეიძლება მეტიც, გავრბივართ ხიდზე, ხიდი დანაღმულია, მძიბე ბატინკებით ჩიტივით გავრბივარ, მცირე ჯერების სროლით ჰაერში, აჰა მივაღწიეთ ხიდის ბოლოს, ხიდი დანაღმულია, გავედით მშვიდობით. ყველანი გადავედით. ვამოწმებთ მათ პოზიციებს, ირგვლივ შენობებს, არავინაა. მოწინააღმდეგემ პოზიციები მიატოვა და გაიქცა.

ჩვენმა სწრაფმა შეტევამ გაამართლა, ქალაქი ჩვენია. მზე ამოდის. თენდება. სანაპიროსთან მიტოვებულ კემპინგში ვჩერდებით, შიმშილმა თავი შგვახსენა, უსტაბაშა ძეხვის ნარჩენებს იღებს ჩანთიდან, ყველს პურს და არაყს. გახარებულია – ვა, რა მაგარია, ტო! ერთი ცარაპკა არავის აქვს! – არაყს ასხამს და სადღეგრძელოს ამბობს: ვაა, შენი ჭირიმე, რა ღმერთოოო! ასე არ შეიძლება ბიჭო, – პასუხობს სანდრიკა. მა როგორ, – ეპასუხება უსტაბაშა, როგორ და უნდა თქვა. მადლობა ღმერთო – გაიგე. ჰო, ასე იყოს, მადლობა ღმერთო! – ამბობს უსტაბაშა და სვამს. მადლობა ღმერთო, ვამბობთ ჩვენ და ვსვამთ. გარეთ გავდივარ, ზღვა ღელავს, ცივი ქარია, ნაპირთან თოლიები დაფრინავენ, ერთი თოლია ჩემი მიმართულებით წამოვიდა და ახლო მანძილიდან თავზე გადამიფრინა, გარკვევით ვხედავ მის ბუმბულს, ფეხებს, ნისკარტს და თვალებს, დაჟინებით მიცქერს, მაკვირდება, ნისკარტიც აამოძრავა, თითქოს რაღაცას მეუბნება. ვიძაბები და ვცდილობ გავერკვე რას ამბობს და ძალზედ გარკვევით მესმის სიტყვები: მადლობა ღმერთო. თოლიამ კიდევ ერთხელ შემომხედა, ჰაერში წრე მოხაზა და ზღვისკენ გაფრინდა. გაოცებულმა გავაყოლე თვალი. უკვე კარგადაა გათენებული, სუსტი მზეც ანათებს. გულში ვიმეორებ: მადლობა ღმერთო!

პავლე, რომელიც არასოდეს გვენახა

ევგენია ბებო ჩამოვიდა, ბევრი ბარგი ჩამოიტანა. ჩემოდანი, ჩანთა, კიდევ ფუთები, ეტყობა დიდხანს აპირებს დარჩენას. სახლში შემოვიდა, აქა მშვიდობა, –დაგვლოცა ევგენიამ. მანტო გაიხადა, დიდი შალის თავშალი მოიხსნა და ჩიხტიკობი დაიფარა. თეთრი მაქმანიანი ცხვირსახოცი მოიმარჯვა და სავარძელში ჩაეშვა. რეზინის ბოტები თამარმა გახადა და ქეჩის ფოსტლები ჩააცვა, თან ეკითხება, – როგორ იმგზავრეთ, დედავ ბატონო, ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით? ბებომ არაფერი უპასუხა, მე შემომხედა და თამარს კითხა: ეს როგორაა? უკეთაა დედა, – უპასუხა თამარმა, ექიმმა მშვიდად იყოსო, არ ინერვიულოსო და წამლებსაც ვასმევთ. გულზე ჯვარი გაუკეთეთ, რამდენჯერ გითხარით. გავუკეთებ დედა, გავუკეთებ, – უპასუხა თამარმა. თამარი საუზმეს ამზადებს, ჩაიდანი დაადგა გაზქურაზე რაზეც ევგენია ბებომ პროტესი გამოთქვა: ამ საშინელებაზე ადუღებულ ჩაის რა გემო ექნება გენაცვალე, სამოვარი გაახურეთ. სულ გადაგვარდა ხალხი, – თავისთვის ჩაილაპარაკა. სამოვარი მოაქვთ, თამარმა წყალი ჩაასხა, ღუმელიდან ნაკვერჩხალი გამოიღო და საცეცხლურში ჩაყარა, ზემოდან ნედლი შეშის ნაფცქვენებიც დაამტა. ადუღებას ველოდებით, მანამდე ჩაის ნაყენისთვის ფაიფურის პატარა ჩაიდანს ცხელი წყლით რეცხავს და შიგ ჩაის ფოთლებს ყრის თავს ახურავს და სამოვარზე ათავსებს. სამოვარი შიშინს იწყებს. ეს რა ჩაია? – კითხულობს ევგენია. მე ზელიმხანოვის მაღაზიიდან მქონდა გამოწერილი ჩაი, ყოველ შაბათს მიგზავნიდნენ არომატულ ფუთას. ეხლანდელი ჩაი აღარ დაილევა, არც გემო აქვს და არც არომატი. თამარმა მოინდომა და ჩაი მართლაც კარგი გამოვიდა, მაგრამ როგორც ჩანს ბებოს არ მოსწონს და ამრეზით იყურება.

მამა როგორ ბრძანდება დედავ ბატონო ? – ეკითხება თამარი. არა უშავს მამაოს, პავლეს ამბავმა ძალიან დაამწუხრა, თითქოს დახურული ჭრილობა თავიდან გაეხსნა. პავლე თამარის ბიძა იყო, მამის ძმა, მასზე მხოლოდ გადმოცემით გაეგო და არასდროს ენახა. როდესაც ბორჯომის ხეობაში იმპერატორი ნიკოლოზ მეორე იმყოფებოდა, მისი ერთ-ერთი გადაადგილების დროს, ანთიმოზი, პავლეს მამა, მეფის კორტეჟს წინ გადაუდგა, ხელში პატარა პავლე ეჭირა, რომელიც მაშინ ექვსი წლისა იქნებოდა. მეფის დაცვამ რომელიც კაზაკების ცხენოსანი რაზმისაგან შედგებოდა, იარაღი მოიმარჯვა, მაგრამ ბავშვის დანახვაზე სროლისაგან თავი შეიკავა, დაიწყეს სიტუაციის გარკვევა, ესკორტი გაჩერდა. მათ შორის მეფის, თავმოხდილი ფაეტონი. ჩოჩქოლზე ნიკოლოზ მეორემ იკითხა რა ხდებაო და მოახსენეს კაცი დგას ბავშვით და თქვენთან სათხოვარი აქვსო, მოიყვანეთო უბრძანებია იმპერატორს. ანთიმოზი მეფეს მიესალმა და უთხრა ეს ჩემი უმცროსი შვილია, მინდა თქვენ შემოგწიროთ და ტახტს ემსახუროსო, მეორე შვილს კი უფლის სამსახურისთვის ვამზადებო. მეფეს პატარა პავლე მოწონებია, ანთიმოზისთვის მადლობა და ოქროს თუმნიანების ქისა უბოძებია, გადასახადებისგან გაუთავისუფლებია და პატარა

პავლე პეტერბურგში გაუგზავნია სამხედრო სკოლაში სასწავლებლად, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ პავლემ უმაღლეს სამხედრო აკადემიაში ჩააბარა. სწავლის პერიოდში ანთიმოზი რამდენჯერმე იყო პეტერბურგში შვილის სანახავად.

ამ დროს არეულობები და რევოლუციები ხდებოდა რუსეთში, ხალხი ქუჩაში იყო გამოსული პოლიტიკური მოთხოვნებით, ცალკე კრიმინალური ჯგუფები აქტიურობდნენ, ყოველდღე მკვლელობა და ყაჩაღობა ხდებოდა და ხელისუფლებამ პოლიციას, რომელიც საქმეს ვერ აუდიოდა, ჯარი დაახმარა და ქუჩაში გამოიყვანა. ქუჩის ოპერაციებში სამხედრო სასწავლებლების კურსანტებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემდეგ ამბავი მოვიდა პავლე დაიღუპაო. ქვეყანა არეული იყო, ტრანსპორტიც არ ფუნქციონირებდა, იმპერიაში სამოქალაქო ომი მძინვარებდა, ანთიმოზი მოხუცდა, ხშირად ავადმყოფობდა და პავლეს შესახებ ახალი არაფერი გაგვიგია. ჩაის ვსვამთ. თამარი დიდი შაქრის ნატეხს დანის ტარს ურტყამს და მცირე ნაწილებად ამტვრევს, მერე ფეხიან ფაიფურის ლარნაკზე ათავსებს. ჩვენ შაქრის ნატეხებს ვიღებთ და ჩაის ვაყოლებთ. ასე ჩაი ძალიან გემრიელია, არც მისი საოცარი გემო იკარგება და არც სიმწარე გაწუხებს. ჰოდა, მამაო ძალიან დამწუხრდა, როცა პავლეს შესახებ ახალი ამბავი გაიგო, – ამბობს ევგენია. ერთ საღამოს უცნობი გვესტუმრა, რუსულად საუბრობდა. მამამ სახლში შემოიპატიჟა, შემოვიდა, მოგვესალმა და გაგვეცნო : ანდრეი სახაროვი. ასე ორმოცდაათი წლის იქნებოდა, სკამზე დაჯდა და ზურგჩანთა იატაკზე ფეხებთან მოათავსა: მე პავლეს კურსელი და მეგობარი ვიყავი, ერთ ოთახში გვეძინა. დაიწყო სტუმარმა, როცა პეტერბურგში არეულობები დაიწყო კურსანტები ხშირად ვპატრულირებდით ქალაქში და სამხედროებსა და პოლიციას ვეხმარებოდით. იმ ავბედით დღეს ნევის პროსპექტზე მოგვიწია გასვლა, სამოქმედო ადგილი მოგვინიშნეს და დილამე პატრულირების ბრძანება მივიღეთ. რაზმის უფროსი პავლე იყო. ღამით ერთ ერთი სახლის პირველი სართულიდან კივილი და მინების მსხვრევის ხმა მოისმა, სწრაფად გავქუსლეთ ამ სახლისკენ. დიდი ლომბარდის შენობიდან შუქი გამოდიოდა და შუშებიც ჩამტვრეული იყო და ეტყობოდა შიგნით რაღაც უბედურება ხდებოდა, ცხენებიდან ჩამოვხტით, იარაღი მოვიმარჯვეთ და შევძახეთ შიგნით მყოფებს გარეთ გამოსულიყვნენ. როგორც მივხვდით ლომბარდზე თავდასხმა ხორციელდებოდა. შიგნიდან უარი მივიღეთ, გასროლაც გაისმა, ჩვენც ვუპასუხეთ და შეტევაზე გადავედით. ფანჯრებიდან გადავძვერით, კარი შიგნიდან გავაღეთ და და ძირითადი რაზმი იქედან შევიყვანეთ, ირგვლივ საშინელი არეულობა იყო, სისხლის გუბეები იდგა. მეპატრონე მოხუცი ებრაელი ყელგამოჭრილი ეგდო იატაკზე და დახოცილი იყო ყველა თანამშრომელი, ცეცხლი გავხსენით და ყაჩაღებისკენ ხმლებით გავექანეთ რამდენიმე ავჩეხეთ და რამდენიმე დაგვნებდა. ცოცხლები გარეთ გამოვიყვანეთ, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ქალი იყო, რომელიც ხმამაღლა ტიროდა: ძალით წამომიყვანეს, დამნაშავე არ ვარ, სახლში პატარა შვილი მელოდებაო. ყაჩაღებს ბორკილები დაადეს კურსანტებმა, ქალი ისევ გულსაკლავად ტიროდა. პავლეს შეეცოდა და ბიჭებს უთხრა მაგას თავი დაანებეთო და ქალი ცალკე გამოიყვანა. მისი ჩვილი გულის ამბავი ვიცოდი და მივხვდი გაშვებას უპირებდა. ქალი პავლეს წინ დაუდგა და სახეში უყურებდა ხელი პალტოს ჯიბეში ჩაიყო და იქედან მცირე ზომის პისტოლეტი ამოიღო, ასეთ მოდელს ქალები ატარებენ ხოლმე, პისტოლეტი პავლესკენ მიმართა და გაისროლა, პავლე წაბორძიკდა, მუცელზე ხელი მიიდო და მოიკეცა, ქალი ხმლებით აკუწეს კურსანტებმა. პავლე დაეცა. წამოვაყენეთ, ცხენზე შევსვით, მარტო გაუჭირდებოდა, ამიტომ მეც მოვაჯექი ცხენს, პავლე მკლავებს შორის მოვიქციე, აღვირს დავწვდი და ჰოსპიტალისკენ გავქუსლე, იმედს ის მაძლევდა, რომ მცირეკალიბრიანი პისტოლეტი, შესაბამისად, მცირეკალიბრის ტყვიით მომაკვდინებელ ჭრილობას ვერ წარმოქმნიდა.

ჰოსპიტალში პავლე საოპერაციოდ მოამზადეს, ტყვიის გულა კურსანტის ქამარის ბალთაზე მოხვედროდა, რომელმაც იგი აისხლიტა და მარჯვენა მხარეს მიმართა, ჭრილობაც ღვიძლის მიდამოებში იყო, პატარა სისხლიანი ნახვრეტი. პავლეს ოპერაცია გაუკეთეს, როცა გამოფხიზლდა გვიცინოდა და გვესაუბრებოდა. მეორე დღეს მდგომარეობა გართულდა, პავლეს სიცხემ აუწია და სულ გაყვითლდა სახეზე, დროდადრო გონსაც კარგავდა, ორი დღის შემდეგ საბოლოოდ დაკარგა გონება და ღამით გარდაიცვალა, როგორც ამბობდნენ ღვიძლი ქონდა დაზიანებული. დილით პავლე კურსანტის საზეიმო ფორმით შევმოსეთ და სამხედრო აკადემიის სამლოცველო ტაძარში დავასვენეთ, მის სახელზე წირვა აღევლინა, წესი აუგეს. აკადემიის რექტორი, პროფესორ მასწავლებლები და სტუდენტები გამოვეთხოვეთ და ზღვასთან ახლოს სამხედრო სასაფლაოზე დავკრძალეთ, საფლავზე გრანიტის ქვა აღიმართა თავზე დიდი ჯვრითა და წარწერით. სტუმარი დაიხარა, ფეხებთან დადებულ ზურგჩანთა აიღო და იქედან ნივთების ამოლაგება დაიწყო: ქამარი ბალთაზე ნატყვიარით, ფერგადასული და დროისგან გამუქებული, თეთრი სპილოსძვლის სავარცხელი, სპილენძისა და ვერცხლის რამდენიმე მონეტა, კურსანტის მოწმობა გახუნებული ფოტოთი და ჯაყვა, ჯიბის დანა ასევე თეთრი სპილოსძვლის ტარით. ეს პავლეს ნივთებია – თქვა მან. იყო კიდევ ტანსაცმელი, მაგრამ ბლოკადის დროს ჩემს დას სხვა ძველმანებთან ერთად პროდუქტებში გადაუცვლია. ანდრეი თურმე სამოქალაქო ომში იბრძოდა, შემდეგ უცხოეთში გაქცეულა, სამშობლო მონატრებია და შეცვლილი სახელითა და ყალბი პასპორტით დაბრუნებულა, მაგრამ დაუპატიმრებიათ და ოცდაათ წელზე მეტი შორეულ აღმოსავლეთში გაუტარებია.

დილით ანდრეი გავაცილეთ. მამაშენიც დადარდიანდა და თვალზე მალულად სულ ცრემლებს იმშრალებს. ევგენია ბებომ ჩაის ფინჯანი და თეფში გვერდზე გაწია, თამარს ანიშნა ჩანთა მომაწოდეო, მცირე ზომის ფუთა ამოიღო და გახსნა. მართალია, ბოლო დროს, მილიცია ნაკლებად გვაწუხებს, მაგრამ ეშმაკს არ ძინავს ნებისმიერ დროს შეიძლება მოვიდნენ, მამას არ უნდა პავლეს ნივთები დაიკარგოს და ხელს გააყოლონ, როგორც ადრე ბევრჯერ მომხდარა, ამიტომ ნივთები თქვენთან გამომატანა შესანახად. თამარმა კარადიდან ჩაის ლითონის მოზრდილი ყუთი გამოიღო და თავი მოხსნა, შიგ ტილო ჩააფინა. ევგენიამ ნივთების ამოღება დაიწყო, ქამარი ნატყვიარი ბალთით, სპილოსძვლის სავარცხელი, ჯიბის დანა, მონეტები, ჩვენ ნივთებს ვათვალიერებთ და თამარი ყუთში აწყობს, ბოლოს კურსანტის წიგნაკი მოგვაწოდა, ყდაზე ორთავიანი არწივია გამოსახული გაშავებული და ფერწასული, რომელიც ერთ დროს ალბათ ოქროსფრად ბზინავდა. წიგნაკი გავშალე მცირე ზომის სურათს ვაკვირდები, გაცრეცილი ფოტოდან ჩვენი ნათესავი შემოგვცქერის, პავლე, რომელიც არასოდეს გვენახა.

ცოტნე სივსივაძე

აპოკალიფსური მთვარე

ვიცი, ახლოა წარმართთათვის გეენის ცეცხლი,
სატირი მთვარით დაზაფრული ლეში სიკვდილის,
მწამს, ველარ იხსნის ავკაცობას ვერცერთი ვერცხლი,
და ავყიათა ველურ შურით სავსე ქირქილი.

გაიფხრიწება დედამიწის ლურჯი მანდილი,
დაილახვრება ბოროტების წითელი შხამით,
ვხედავ ახლოა მათრახამდე ცივი მანძილი –
ვადაჯვრიანით მოსაცელი ბნელი მეცანი.

აჰა, თენდება, სისხლიანი დგანან ცხედრები,
მთების იქიდან მზის მაგივრად ამოდის ბოღმა,
და იკვეთება მეცხრე ზეცის დანაყვედრები,
სასოწარკვეთის შეურყეველ მძვინვარე დოგმად.

აჰა, მძაფრდება მტრედისფერად ჩრდილები შორი,
ქვეყნიერებაც იბარცება დამთვრალ ვაცივით!..
...ეს ჭეშმარიტი ძეგლი დავდგი ათასთა შორის
და ბევრეული ამ შეშლილის ქანდაკს დასცინის...

ვიცი ახლოა წარმართთათვის გეენის ცეცხლი,
და შურისგების შვიდივე ბჭე რისხვით ივსება,
მწამს, ველარ იხსნის ავკაცობას ვერცერთი ვერცხლი,
და ცოდვათაგან დაცემული დაიისრება.

შენი მაჭარი არასოდეს არ დაღვინდება

მზის სხივი წყრომით იხედება ფანჯრის მინაში,
სამშობლოს ჰაერს ზღვა სიკეთის ნისლი აშორდა,
ვარ ცრემლიანი, თავდახრილი ყველას წინაშე,
ასეთ გაზაფხულს ვეთხოვები, როგორც ბავშვობას.

თითოეული დღე მკვნესარე სიმივით მწყდება,
რადგან უსასოდ ჩავლილი დრო უწყალოდ მარბევს,
სისხლში მეღვრება ამბოხების მძვინვარე წყება,
ველარ ვიოკებ დასკდომამდე დაბერილ ძარღვებს.

შენი მაჭარი არასოდეს არ დაღვინდება
სახეში ვუმზერ ცოდვათაგან გამწყრალ მესიას...
არ მითხოვია ყალბი ქმუნვა და დატირება,
ღმერთმა დაწყევლოს ბალდახინიც და პროცესიაც.

ქვეყნის წინაშე შესაწირი კრავივით ვთრთივარ,
ვიცი, საწუთრო ანთებული ჩემს ძვლებსაც დახრავს,
საკურთხევლამდე ზვარაკივით ნებითად მივალ,
თუ ანგარებამ დედამიწა სათესლედ დახნა.

მზის სხივი წყრომით იხედება ფანჯრის მინაში,
სამშობლოს ჰაერს ზღვა სიკეთის ნისლი აშორდა,
ვარ ცრემლიანი, თავდახრილი ყველას წინაშე,
ასეთ გაზაფხულს ვეთხოვები, როგორც ბავშვობას.

სიზმარი

(ეძღვნება მანანა ჯმუხაძის ხსოვნას)

ო, ღმერთო ჩემო, ვარდებს ათოვდა,
ო, ღმერთო ჩემო, იდგა ზამთარი,
ლურჯ ცხედრების წინ ცრემლებს ადნობდა
ცივთვალიანი ღამის აფთარი.

და იყო თეთრი გზა ყინულისა,
და უსიცოცხლო მიმოხრა ლანდთა,
მიგაცილებდნენ დათრთვილულ ცისკენ,
ჰო, ასე მძიმედ დაეშვა ფარდა.

ახლა, ფიქრები დაცლილ და მრუმე,
ბრმა დროისაკენ წყენით ილტვიან,
რამდენი რამე ადრეა თურმე,
რამდენი რამე კი ძლიერ გვიან.

საფლავის ქვაზე ტირე დაცურდა –
გზები სულ მოკლე, არშორეული
და ბევრი მიხვდა რომ გადაფურცლა
მძიმე ცხოვრების ერთი რვეული.

ო, ღმერთო ჩემო, ვარდებს ათოვდა,
ო, ღმერთო ჩემო, მძიმეა ფარდა,
იქ ყველაფერი უსულო იყო
შენი ცოცხალი მშვენების გარდა.

თებერვალი

სული მძიმდება ცივი ნისლის შემოდის თალხი,
ჩემი წარსულის შემოდგომის კარი იხსნება,
რომ შემძლებოდა ყველა საათს გავაჩერებდი,
შევესეოდი უდროობის ჯადო-მისნებად.

აბა, გსმენია, რომ საათებს აჩერებს ვინმე?
თუმცა ჟამთასვლაც ამაოა, თან სულ ერთია...
აი, ძვირფასო, ველარ ვირგებ არტახებს მძიმეს
და ჩემი ყველა გზაცა და ხსნაც ტრფობის ღმერთია.

გიცანი, განა ვერ გიცანი, შორი და რთული!
მაგრამ სამანი დროთა შორის თალხით დაქარგეს,
დაეცა ბინდი, დააჩქარა ძილიც და რულიც,
მაშინ დავკარგე მოსვენება და შენც დაგკარგე!

ო, ნუ იფიქრებ, რომ საათებს აჩერებს ვინმე,
ეს სასჯელია, და სასჯელი, ალბათ, ბედია...
და მძიმე სული შემცდარ სხეულს თუ როგორ ითმენს,
ჩემი თითები მოცახცახე ალბათ გეტყვიან.

ზიზო ბურდული

დუმილის სევდა

ღამეა ახლა, ქალბატონო, გრილი და ჩუმი,
მიაქვთ გრიგალებს გადავლილებს ოცნება ყველა,
თქვენ აყურადებთ ფანჯარასთან წარსულის დუმილს,
და აღარ გაკრთობთ შიგადაშიგ სამყაროს ხველა.
აღარ გაშინებთ კართან მთვარის ნაბიჯი ფრთხილი,
ზაფხულის ღამეს მომეტებულ სიმშვიდით სძინავს...
მიწას ჭრელ მკერდზე ასწყვეტია ყაყაჩოს ღილი,
და თქვენს ოთახში, თქვენსავ გვერდით უნახავს ბინა.
მაგრამ ყაყაჩოც სევდით გავსებთ, ვით ბევრი სხვა რამ,
ავადმყოფ ყვავილს სიცხიანი ფურცლები სცვივა,
შემოგიქროლებთ მარტოობა, დარდსა და ვარამს,
სად გაექცევით, სულშიც, გულშიც აგრილდა, ცივა.
ხან გეღიმებათ, გახსენდებათ ამბები ძველი,
დევების ლხინი და ჭინკების ნადიმი ველად,
ხან სევდიანობთ, შუბლზე გიდევთ ნატიფი ხელი,
ხან თქვენს თვალებში ვარსკვლავების ღიმილი ელავს.
დუმს გარეშემო და დუმილის სევდა წინათაც,
კლავდა მოლოდინს დღევანდელზე უკეთეს ხვალის, -
ღამეა ახლა, ქალბატონო, აღარც ინათა,
ცას ეზარება გაახილოს ცისფერი თვალი.

დაბრუნება

და ასე... ნეტა თავს რას იკლავს,
სხვა დროა, ანათებს სხვა რამ მზე...
კვლავ ის გულნამცეცა ვაჟიკა,
კიდევ გულზვიადი ხვარამზე.

დაბრუნდა... რას ეძებს, რა სურდა,
კვლავ თვალებს არიდებს ის ვაჟი,
ზღაპარი დამთავრდა, დასრულდა,
გადაქრა დროება გიჟმაჟი.

დაბრუნდა, ხელახლა ეწამოს,
მიდიან დღეები წალიკად,
არ ფიქრობს მის ტკივილს ეწამლოს,
კვლავ შეუვალია ვაჟიკა.

წავა და... სხვის კარზე იქალებს,
თუმცაღა მის გულზე გაივლის,
წავა, გადაჰყვება გრიგალებს,
არტანის ლურჯთვალა ყვავილი.

ძველ მოგონებებს

შევუღებ კარებს მონატრებულ ბავშვობას ჩემსას,
არ ვიცი, ახლა აქეთ რატომ გამწია გულმა,
ვათვალიერებ, ჩამოსაჯდომს ვერ ვხედავ ვერსად,
არავინ მელის აქ ისე ვით სასურველ სტუმარს.

არც ვის ვახსოვარ, მეც ბუნდოვნად ვიხსენებ ახლა,
„რეზინობანას“, „ნიშხა - ნიშხას“, „წრეში ბურთს“, რა ვი...
შეფარებია ყველაფერი ერთ მცირე სახლაკს,
გულს დასწოლია მტკივნეულად ფიქრების ზვავი.

ჭერში გაბმული აბლაბუდა სიძველის ელფერს,
ამძაფრებს ისე, რომ ტირილი გინდება მხოლოდ,
ძველ მოგონებებს გახუნებულ კედლებზე შეჰფენს,
შემოქნეული ზღაპრებიდან ფასკუნჯის ბოლო.

თბილ, ტკბილ საუბარს შევეცდები, ბალღობას ჩემსას
მივეფერები, საერთოც რამ ვნახოთ იქნება,
მაგრამ ამაოდ... გაიყოლებს ცხრათვალა მზესაც,
და ასკინკილით სამუდამოდ გადამიქრება.

* * *

უკვე აღარ, აღარავის ველი,
არც არავინ მე მიმელის სადმე,
მინდა ზღაპრულ მზეთუნახავს ვგავდე,
იღბალი რომ დაატარებს ხელით.
სულ ამაოდ, გადამქრალა, მიმქრალ
სიყმაწვილეს სულს ვუბერავ ფრთხილად,
სულში, გულში ახლა ისე გრილა,
დარი თუა, არც მომივა ფიქრად.
მზე ხანდახან ფანჯარასთან მოვა,
უღიმილოდ, მაგრამ არა უშავს,
დეკემბერი შემომდგარა ქუშად,
სადაცაა დაიწყება თოვა.
სადაცაა კარს გავუღებ, მოკლედ
ფანტელებთან მაგრად უნდა დავთვრე,
იქნებ დარდი გაიყინოს ზამთრის
ღამეში და თენებამდე მოკვდეს.
ჩამოათოვს მოლოდინებს დაღლილს,
ჩამოათოვს იმედებსაც მბჟუტავს,
თეთრ ღამეებს ხარბად შეისრუტავს,
ყინვისფერად მზირალი ცა მაღლით.
უკვე აღარ... დრო წავიდა უხმოდ,
გზა შორია, ძნელია და გრძელი,
გზის ბოლოში მე არავინ მელის,
უკვე აღარ, მეც არავის ვუხმობ.

მთვარის სტუმრობა

დაიდგამს გვირგვინს, გაიხურავს ვარსკვლავთა კარებს,
წავა, მოივლის მთელ ქვეყანას, მოჰკრეფს არაკებს,
მერე ჩემს საწოლს მოადგება დაღლილი მთვარე,
და ტყუილ - მართალს თენებამდე ვილაპარაკებთ.

ვიტყვით ამ მთისას, იმ ბარისას, დრო არც გვეყოფა,
ვიტყვით საყვედურს მიმქროლავი დრო - ჟამის მთიბლის,

მერე წავა და თან წაჰყვება ციურ დედოფალს,
თეთრად გატეხილ ღამეების ველური ხიბლი.

თორელ

გადაგივიწყე უკვე, რომ მკითხო,
შენს მოლოდინში აღარ ვაღამებ,
შენგან თითქოსდა არაფერს ვითხოვ,
მოგონებებმა მაინც დამღალეს.

სულ მეფიქრები, ჭიმღის ბილიკზე,
დოღში მიმქროლი ყორნისფერ რაშით,
მე ქუფრი მზერა გაგიქილიკე,
შენ შემოხედე ჩემს დალალს, დაშლილს.

გაიღიმე და განათდა თითქოს,
თითქოს გაიხსნა ცა და სამყარო,
შენგან თითქოსდა არაფერს ვითხოვ,
მაინც მინდა, რომ წუხილს გამყარო.

სულ მეფიქრები, მინდა თუ არა,
გადახვეწილი ქისტეთს ეულად,
ათასმა დარდმა გადაუარა,
გულს და... ტკივილად გადაქცეულა.
...
გადაგივიწყე თითქოს... რომ მკითხო...

ჯავრისა

ეს მერამდენედ ჩამოთეთრთოვლდა იანვარი,
ეს მერამდენედ აათეთრფიფქა ეზო - ყურე...
ვმზერ დანანებით გრძნობას, უგულოდ იავარქმნილს,
მმზერს ბედისწერა, რაღაც უცნაურ შემომყურებს.

ოცნების კოშკებს გამოცლილი აქვთ საძირკველი,
მოლოდინების გოდოლები დაქცეულა,
მე რომ უშენოდ დავრჩი, ეს არის საკვირველი,
ფიქრი ჩემი კი ქისტეთისაკენ გაქცეულა.

ფიქრი ჩემი კი კვლავ ქისტეთის გზებს დასტრიალებს,
იქნებ თეთრ ბილიკს თეთრ სიხარულად გამოუყვე,
ძველ მოგონებებს გაყინულ ხელში ვატრიალებ,
არ ჩანხარ არსად, ფანტელებს შენზე რა მოვუყვე.

და ვბრაზობ, თორელ, უეჭველია გაგიწყრები,
ვერ გაპატიებ, ჩემთვის დარშიც რომ ავდრიანობს,
მე დამავიწყდა დავიწყება ჩავლილ წლების,
და ამის გამო მთელი ცხოვრება ვდარდიანობ.

შემოდგომის ქარი

შემოუბერავს შემოდგომის შემთვრალი ქარი,
და ნოემბერიც ხმელ ფოთლების მოისვრის გვირგვინს,
უხმოდ გახედავს დარდიან გზებს პოეტის ქმარი,
ხელთ შემორჩენილ ვიღაც უცნობ ავტორის წიგნით.

და მეფიქრება: უცნობ გზებზე წამოვა ვიღაც,
გულს რომ ეწამლოს, ესალბუნოს სულის იარებს...
იქროლებს ქარი, იქროლებს და ოცნებებს მიღმა,
გადავა სადღაც და უჩემოდ გაიმზიანებს.

იქროლებს ქარი... შორ გზიდანაც არავინ მოვა,
კართან მოდგება მუქბინდისფერ დღეების ჯარი,
და თეთრ ღამეში ისე ნაზი იქნება თოვა,
რომ გათენებას იქნებ აღარც გავუღო კარი.

შემოუბერავს შემოდგომის შემთვრალი ქარი,
და ნოემბერიც ხმელ ფოთლების მოისვრის გვირგვინს,
ფანჯარას უხმოდ მოსცილდება პოეტის ქმარი,
ხელთ შემორჩენილ ვიღაც უცნობ ავტორის წიგნით.

საფლეგრძელო

გაივლის წლები, ჩვენს სავალ გზაწვრილს
ჩავათავებთ და... ჩვენი დროც მოვა,
ჩვენს საფლავებზეც წუხილით დასწვიმს,
მიხაკების და ვარდების გროვა.
ჩვენს საფლავებზეც იქროლებს ქარი,
მერე დაღლილი მიწვება სადმე,
მერე დაათოვს სინაზე მთვარის,
შუაღამისას წამომდგარ ლანდებს.

მერე ინათებს... დილა და ღამე,
დარი, ავდარი, თოვლი და წვიმა,
ერთმანეთს შეცვლის რამდენი რამე,
რამდენი ვინმე გვისიზმრებს მღიმარს.
გაივლის წლები, ჯერ კი, ჯერ სანამ,
სულში ფიქრები ისევ მზეობენ,
ეს გაუმარჯოს სამშობლოს ცვარ - ნამს,
ეს გაუმარჯოს მის მთა - ხეობებს.

ეს გაუმარჯოს დღე - ღამის ცრიატს,
მზეს, ვარსკვლავებში მთვარის დენდობას,
ეს გაუმარჯოს იმ ადამიანს,
ვინაც პირველი გვეტყვის შენდობას.

თეთრი ჰრინგი

მთელი სიცოცხლე მე შენ გელოდი,
შენით ნათობდა ჩემთვის სამყარო,
ჩავლილ წლებს მოსვლად ისე შვენოდი,
არც მიფიქრია, რომ მათ გაგყარო.
მაგრამ უგზოთას რატომ იარე,
რად ვერ დაეხსენ სამყაროს შეშლილს,
წამლად ვერ ექეც სულის იარებს,
მაინც შენს სახეს გულიდან ვერ ვშლი.
გზა - ბილიკები სად დაიფერდა,
ერთურთს სად ავცდით, თეთრო მხედარო,
რად ვერ მიწამე ქალად და ღმერთად,
ან უუშენოდ რატომ ვერ დარობს.
ხან თვალს მოგკრავდი რაშის გარეშე,
და ათას კაცში ვით უნდა მეცნე,
ხან ჯიხვებს სდევდი უცხო მხარეში,
ხანაც მოკითხვას უთვლიდი მერცხლებს.
გულს დაწოლილო დარდის ღრუბელო,
შენ დამრჩი ერთგულ მეგობრად მარტო,
ხან მოვიდოდა რაში, უბელო,
მოხეტიალე უმისამართოდ...
...
მე შენ გელოდი... მთელი სიცოცხლე...

ᲚᲔᲠᲘ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

* * *

უსიტყვო ბრაზით ვარ შეპყრობილი
და მხოლოდ შენი მზერა მომარჩენს.
წამს მომშორდება ბოღმა დევნილის,
როს დაემთხვევა შენი გრძნობა - ჩემს.
სად არ დამიქრის ხოლმე გონება,
მაგრამ სულ მინდა რომ შენთან ვიყო.
აღარ ღირს ჩემი გამოსწორება -
ეს რად უარვყო და სხვას რად ვეყმო!?
ო, რა მძიმეა ჩემთვის ეს კვირა:
ერთბაშად მერჩის ყველა სახსარი...
და ღმერთმა უწყის, მიპირებს ვინ - რას?
თუმც მწველ განცდებში ხშირად ხსნაც არი!

* * *

ხავერდოვან თვალებით უბოროტო ხასიათს
ისე ზუსტად მიჩვენებ, მინდა ყირა გავჭიმო.
აქ სიცილის წასკდომა გატეხილი ნავსია,
უკიდურეს ზომებად ღმერთმა არ დაგვაჭირვოს.

ავი წინათგრძნობებით ვასავსავებ ხელებს და
სისხლის სითბო მიმძაფრებს მოლივლივე ოცნებას.
თვალებს ვძაბავ, თუმც მზერას ვერ ჩავანვდენ ფსკერს ვერსად,
ვაკრისტალებ ვარდისფერს, როგორც ზღვის დიდ მოქცევას....

ასე, გულსგარეთ ფიქრებს უნდა გადავეჩვიოთ,
განსაცდელი თუმც ისევ სულ დღითი-დღე მეტია....
მაინც, არარაობას - ფერფლისფერი გვერჩიოს,
ბუნებრივადხატულზე ვეღარაფერს გვეტყვიან.

როგორც სულის შეკვრისგან სახის სრული სილურჯე,
მერე დგომა ხელებზე, ყირამალა გადასვლა, -
თუმც სხვა რანგის საქმეა! - უნდა დროზე მივუჯდეთ
და ვთქვათ, - გაგვყავს ბილიკი, -
ჩვენ რომ გვინდა, - განა სხვას!!!

* * *

დაძაბულობის, იძულებით ღიმილ-სიცილის -
გან ... თავდაღწევას ვაღიარებ, გულითად მსურს და -
როს მონარნარე ლამაზმანთა კდემის სიმცირის
თვალსასეიროდ გამოკრთომა თვალწინ დასრულდა, -
ისე აშკარად გოროზსა მხდის გაურკვევლობა,
უკვე მეტს, მართლაც, რომ აღარ , თუ ვერ გავუძღვები.
სხვა სიამაყით მიძგერს გული, აუგს ჩვენ რომ არ
ვემსახურებით და წინარე - ვხდებით უძლევი.
კვლავ თავდაღწევას მიგანიშნებთ ისე საჭიროდ,
რომ მავიწყდება სხვა რამ განცდა, - თუნდაც სიკეთის.
ნარკოტიკული გაბრუება ღმერთმა გვაცილოს
აღმშფოთებელი უჩვეულო ხმით და წილხვედრით.

* * *

რა ხიბლავდა? - ტყის ჩრდილი, ნაკადულის სიგრილე,
ფუღუროში მძვინვარე ტახებს უსაფრდებოდა,
უხდებოდა თარეში მშვილდითა და ოროლით,
კითარაზე უკრავდა და საამოდ მღეროდა.

გამჭვირვალე სხივები უმშვენებდნენ განთიადს,
ქოხის ნაცვლად თავს გრძნობდა ძველ, დიდებულ ტაძარში,
სადაც სულის სილბილე მუდმივ სანთლად ანთია,
საზეიმო სვლა ახშობს საზარელ ხმას განგაშის.

აქ ზაფხულის ბოლოა... თუ ფოთლების სიყვითლე,
მწყემსის მძიმე წილხვედრი უნდა ისევ იტვირთოს,
მითოსური სამსჯავრო მსჯავრს მოხდილად ითვლიდეს
და ერთგულის სახელი უდრტვინვლად დაიმკვიდროს.

* * *

ცივად და მკაცრად ეჩვენებათ გარშემომყოფებს
რთულ და ჩახლართულ გარემოში კანონით განსჯა.
ნეტავ რა უნდა დაუპირონ, რა უნდა მოხდეს, -
ხორციელ ბორკი-ლის წინაშე ვინც გაიმარჯვა?
ხელის გაშვერას სამათხოვროს მსგავს ხასიათზე,
გაუტოლებენ მფარველობას მეფეთა მხრიდან.
აქ მფარველობას ფასი ადევს და ვრჩებით განზე,
ჭერამდე ფრენის მისწრაფებაც მშვიდად დამკვიდრდა!
ვინ უკონტროლებს პოლიტიკურ შეხედულებებს
ნობელიანტებს, - ჩრდილს უჩენენ რომელ წყაროდან?
ანუ, ოდესმე განუკითხავთ ვით შეთქმულები?
-რა ევალება და რას სჩადის ხშირად მთავრობა!?
მოუხელთებელ რეალობას უნდა ვწვდებოდეთ
და გარეშემო ვამკვიდრებდეთ მხოლოდ მეგობრებს!

* * *

აკრძალულ ხილზე ეუბნება არავის უარს,
აზრს გამოხატავს(კარგად ძალუძს) მეტყველ დუმილით.
დიდი ამბავი, სადმე-ვინმე თუ მოატყუა,
აღტაცების და მოწიწების არ აქვს სურვილი.

თუმც არაერთხელ გაუტეხავს ორმაგად ნავსი,
წყლის ჭიდან პეშვით ამოხაპვას სახავს საჭიროდ.
მართლაც ძნელია შეგუება არავის მსგავსის,
შეტევისათვის(სჯობს) მზადყოფნით წარმოვაჩინოთ!

რა მშვენიერი გახდებოდა მაშინ სამყარო, -
დაუდევრობით შნო, ლაზათი არ წაგვერთმია!
რადგან, ნიადაგ, სიდუხჭირით უნდა გვაწამონ, -
დაე, სახელი ყველაფრისთვის დროს დაერქმია!

* * *

უმწეობით ღელვასაც მნიშვნელობა ჰქონია.
მოგახსენებთ მე რასაც - მიმანიშნა თოლიამ.
დღეს არავის აკვირვებს მარმარილოს სილურჯე,
მონყენით, დანაპირებს - ვინ ქანჩს ითხოვს, ვინ - ფუნჯებს!
შიშით ყაბულს გამხდარა დღემდე მჯობნზე-მჯობნი და...
მიიჩნევა მასხარად ჩქამიც - კი... რომ ჰყოფნიდა....
სილაზათით აევსო ეზო-კარი, მიდამო.
ა, რას დამამგვანესო – შემეწიე წმინდანო!
აღვასრულებ გულწრფელად რაც ლოცვიდან მომყვება.
არა უშავს, თუ სევდა მაგნებს და მემოყვრება!

თამარ ნასრაშვილი

ამ ოქტომბერსაც

არა, სწორედ რომ ამოგიჩემე...
როგორც ქარი და ეს ოქტომბერი...
„რადგან ქალები თავად ირჩევენ...“
მახსოვს ბავშვობის გზაზე ნამღერი...
მოვედი... მომყვა ფოთლების ჯარი...
ვერ დავემალე მათ სურვილს ვერსად...
მოვედი... მაგრამ, რაც არი, არი...
უნდა გავექცე ამ ოქტომბერსაც.

* * *

არ მითქვამს შენთვის
არც ერთი სიტყვა მე,
სიყვარულზე...
არც ერთი სიტყვა...
მე არ მითქვამს...
უსიყვარულოდ.

* * *

ზღვა დამშრალია კენჭებისფერი,
(კენჭებში დარჩა ზღვას, რაც სტკიოდა)
ხვალ ამ კენჭებსაც დაფარავს მტვერი
ჩემს გასაგონად, – მთვარე ჩიოდა...
ზღვაც უძლურია დროსთან ჭიდილში,
მისი ფიქრებიც გადაჰყვა ღრუბლებს...
მეტს ვეღარ მნახავ ალუბლის ჩრდილში,
ვერ დამპირდები წითელ ალუბლებს...
როს მონატრებაც დამტოვებს მარტო
და წამოკრეფავს სხივი იმედებს...
ეჭვი მაქვს, მშთანთქავს სამყარო ფართო,
შენც... დასაკარგად ხომ გამიმეტე...
მინდა ჩამოვდნე მზის სხივზე ლექსად.
ასე, ცოტაა სურვილი ჩემი...
სხვა გზას გაჰყევი, შენ მხარი გექცა...
თითქოს, არც იყო გზა ასარჩევი...
ზღვა დამშრალია კენჭებისფერი,
ზღვაც უძლურია დროსთან ჭიდილში.
ხვალ ამ კენჭებსაც დაფარავს მტვერი...
ვეღარც მე მნახავ ალუბლის ჩრდილში.

* * *

ამ ბოლო დროს სარკმლიდან
მივეჩვიე ყურებას...
აღარც, აღარც ყურს ვუგდებ გულის
თქმას და საჩივარს...
სულ მგონია... მეგობრის ვაკლდები
წვეულებას...
როცა წვიმს... და სახლში ვარ.

* * *

გულის ნამუსრევი შეიცანი,
ზოგისთვის ალბათ „ნატურმორტია...“
აქ, რაც ლამაზია შენიც არი,
თუმცა ყვავ-ყორნებიც კორტნიან.
არაფერი, არაფერი ვითომ...
ეს ცხოვრება – „მომენტო მორია“,
ჩემო ტერენტი, არ იცი თვითონ?..
ზეცამდე გზა ძალიან შორია.
რა უნდა მოვუხერხო წარმართებს?!
ო, მაგიჟებს იმათი ორგია...
უღმერთოებმა ტრფობა წამართვეს,
მათთვის ხომ გრძნობაც „ნატურმორტია.“
ცაო, გამახსენე ინტეგრალი,
თუ გადამარჩენს შენი მანია,
ისევ იწონება ცოდო-ბრალი...
ვაი, ვინც ვერ მოინანია.
ჯერ ისევ მივყვები ვიწრო ბილიკს,
ეშმა თვალს მადევნებს ჩაუმცხრალი.
კაცი არ მოუკლავს ვითომ ქილიკს?..
„ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი“.
მსვამს „პოეტური ინტეგრალები“,
ისევ შემიპყრობს მონომანია...
საქმე რიგზეა, ნუ გებრალები,
მძორი ყვავებთან გასატანია.

ვასილ ბოსტაშვილი

პაპაჩემის ანდერძი

მზე ალაზნისპირს მისდევს შოშმინად,
თვალისმომჭრელად სული იელვებს.
ჩემ კამბეჩოვანს სევდა მოჰფინა,
რომ მოდის ლურჯი სიცარიელე.

დროს ქონგურიდან ცვივა ლოდები,
შემოსალტული მამულს გმირებად.
თუ მომიგონებ მოგაგონდები
და ყელი ზეცად აგეღირება.

იტყვი, რომ პაპა შეაკვდა მომხვდურს
და შემოაცვდა ტანზე აბჯარი.
სიმი უდროოდ შეაწყდა ჩონგურს,
სპარსელები რომ უკან დავძარით.

მზე ალაზნისპირს ჩაქრა შოშმინად,
არ შეარჩინა მტარვალს იარა.
გაქცევას ბრძოლა რომ ამჯობინა
და დაჩეხილმა მგლურად იარა!

არ გავახარე მტერი ვერაგი,
თავი ნურასდროს დაგიღონდება!
შენ, გადაიცვი ჯაჭვის პერანგი,
პაპა როდესაც მოგაგონდება.

როგორც კვდებიან ლეგა ქარები

მე დავიბადე ქარივით გიჟი,
როცა უტევდა ზამთარს მირკანი.
თან დამყვა ცრემლი და უცხო შიში
და მომავალი ამოვიცანი.

ვიყავი ჩემი ცხოვრების ღმერთი,
სწორუპოვარი სიტყვის მსაჯული.
საუკუნეთა მიჯნაზე ვწერდი,
ვით საქართველო, მრავალტანჯული.

რომ მზიან ღამეს მშვიდობა მსურდა,
რომ ჩამეწურა ქვევრში მტევნები,
რომ მიმეტანა საწუთრო გულთან
და დამხეთქოდა სისხლით ვენები!

გამარჯვებული შევსვამდი მთვარეს,
რომ შევხვედროდი გიჟმაჟ ალიონს.
გავირეკავდი მაჩაბლის ხარებს,
რომ აფხაზური დილა დალიონ!

და მოვკვდებოდი გიჟების თვეში,
როგორც კვდებიან ლეგა ქარები.
წამოვიდოდა წვიმათა თქეში
და სიყვარულით გავიხარებდი.

თოვლი

კაკლის ხეების ჩრდილში,
ვისხედით მე და მთვარე.
ვგრძნობდით ერთურთის შიმშილს,
დუმილს მოეცვა არე.

თოვდა ფოთოლთა თოვლი,
მაჩხაანურად თოვდა
და უპირველეს ყოვლის,
სიმღერა მსურდა თოვლთან.

მსურდა ექროლათ ქარებს,
რომ სიყვარულით მეთქვა.
ქალივით ტურფა მთვარე,
იყო სიცოცხლის ფეთქვა.

დადუღებულა ქვევრში,
ტკბილი სურვილი ღამის.
გულს ხმაურივით შევრჩი,
ტყვედ რომ მაქცია ლამის.

თოვდა ფოთოლთა თოვლი,
მაჩხაანურად თოვდა
და უპირველეს ყოვლის,
სიმღერა მსურდა თოვლთან.

ახალი წელი

ახალი წელი რას მეტყვის ახალს?!
შემეკითხება წლოვანი მთვარე.
შორიდან ვუმზერ ბერიკაცს, მაღალს,
სამეზობლოს რომ შემოხსნის კარებს.

ლოცვით გათბება ოჯახის ჭერი,
როგორც მწყურვალი ჭურჭელი ღვინით
და აზარფეშის მზისფერი მზერით,
შეიმოსება საწუთროს ლხინი.

გადაივსება სიცოცხლით სახლი,
ვით ვარსკვლავებით იანვრის თაღი.
მთვარე სიტყვათა მთქმელია ახლის,
რომ მეწვევიან სტუმრების სახით.

შემდეგ მთელი თვე ვიქნები მთვრალი,
ვიხეტიალებ და მოვალ თოვლად.
და არავისი მექნება ვალი,
ვრცელ სამეზობლოს მოვივლი სოფლად

და ისე მალე დადნება თოვლი,
ვითარცა უკვე ნათქვამი სიტყვა
და მეკვლესავით საწუთრომოვლილს,
გამომაფხიზლებს ასეთი კითხვა:

- ახალი წელი რას მეტყვის ახალს?!

* * *

ამქვეყნად ყველას სხვისი ვალი აქვს,
თავშესაფარი და რწმენის ნიში.
დაუსაბამო ცოდვის ბრალია,
ღმერთის ბოლომდე შეცნობის შიში.
ჟამთა გრიგალი მტვრად აქცევს სხეულს,
და სანამ დროა ჩამჭიდე ხელი.
სიყვარულის ხმით მიმღერე ეულს,
თორემ უკუნი სიჩუმე მწყევლის.

არ გაიფიქრო, რომ შენ გაქვს ვალი,
თავს ნურასოდეს ჩათვლი ტარიგად.
უფალმა შექმნა კაცი და ქალი
და მხოლოდ ერთი რამ დაარიგა.
რომ არ ეგემათ ნაყოფი ცოდვის
და ყოფილიყვნენ მარადჟამს ლხინში.
მაგრამ შეუჩნდათ მტარვალი შფოთის
და დაიწყევლეს მოდგმა და ჯიში.

მას შემდეგ სნეულს მერგო გალია,
თავშესაფარი და კერპის ნიში.
დაუსაბამო ცოდვის ბრალია,
ღმერთის ბოლომდე შეცნობის შიში.

ნანა ქარდავა

ჩემი ქმარი და ჩემი საყვარელი

ჩემი ქმარი ეჭვიანია. ყველაზე ეჭვიანობს. დამღალა.

ჩემი საყვარელი არაა ეჭვიანი. არავიზე ეჭვიანობს. ამანაც დამღალა.

რომელი მიყვარს? ალბათ, არცერთი: ქმარი რომ მიყვარდეს საყვარელი არ მეყოლებოდა და საყვარელი რომ მიყვარდეს - ქმარს გავშორდებოდი!

რა მაკავშირებს მათთან? მიჩვევა...გაცვეთილი ზეწარივითაა ეს მიჩვევაც...მეტი არაფერი.

-როგორ მოხდა ასე ჩემს ცხოვრებაში? - ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს. თავისმართლებასავით პასუხს მიმესიჯებს გული: - სიყვარულს ეძებდი! ამ პასუხის მოსმენაზე საოცრად მეცოდება ყველა ჩემისთანა ქალი...

-ქმარი არ ეყო და საყვარელი გაუჩენია -გამანდო მაყვალამ (ჩემმა მეზობელმა) თინანოს (მეორე მეზობლის) ვითომ საიდუმლო...მაყვალა მართალია: ქმარი რომ არ ყოფნით, ის ქალები იჩენენ საყვარლებს. მეც არ მყოფნის ჩემი ქმარი: არასოდესაა სახლში, როცა მჭირდება და როცა არ მჭირდება ფეხებში მედება: დაბორიალობს ოთახიდან ოთახში, ცხვირზე ჩამოცმული სათვალითა და მუდამ პირში გაჩრილი სიგარეტით...სათვალე არ უხდება (საერთოდ არაფერი უხდება) დადის სამზარეულოში და ფიზიკის დარგში ახალ (ან ძველ) აღმოჩენებზე ხმამაღლა საუბრობს. ვერ ვიტანს ფიზიკას!

საყვარელი სიმპატიური მყავს. ლამაზი, შავგრემანი, ახალგაზრდა....საოცარი იუმორი აქვს. მის გვერდით სულ ვიცინი...ბევრს მაცინებს...უხარია, როცა ვიცინი...ჰოდა, ვიცინი მეც-რა მენაღვლება... მასთან უზრუნველი ვარ: არავითარი ვალდებულებები, არც სარეცხი, არც სადილი, არც ბავშები...

ქმართანაც არ მყავს ბავშვები...მაგრამ მყავს ქმარი, რომელიც ბავშვივითაა... სულ უნდა ვეფერო, ვუარო, ვურეცხო, გავუუთოვო, მოვუხრაკო, დავუსხა, მივართვა, მოვემსახურო...თან ამ დროს უნდა მქონდეს გაღიმებული სახე, რომ რამე არ ეწყინოს ანდა არ შემატყოს, როგორ მეზიზღება ეს ყველაფერი...

საყვარელთან ვისვენებ.

საყვარელთან ყოფნისას ყველაზე მაგარი ისაა, რომ მგონია კინოს ვუყურებ და მე კი არა, ვიღაც სხვა ქალი იხდის თავის ხელით საცვლებს... ვიღაც სხვა ქალი წვება ამ ლამაზ, ახალგაზრდა ბიჭთან. მე კი შორიდან ვუყურებ და ვტკბები.

ეტყობა ფრიგიდული ქალი ვარ: ვერც ერთი ვერ მაღელვებს...და ეს საერთოდ არ მაღელვებს! ყოველთვის შეიძლება ითამაშო რომ ღელავ...რომ სიამოვნების მწვერვალზე ხარ...მაგრამ, მხოლოდ ქმართან ვთამაშობ...ესეც მოვალეობის ნაწილია...ან უბრალოდ, არ მინდა ეჭვიანობის მორიგი სცენა გავიარო...

ხშირად მიფიქრია, საყვარელი რომ ჩემი ქმარი ყოფილიყო, ქმარს თუ გავუსაყვარლდებოდი? უფ, მომბეზრდა, მომბეზრდა ყველაფერი...ეგებ ორივე მივატოვო და გავიქცე სადმე. გავიქცეოდი, ეგ ადვილია.. მაგრამ თითქოს ამათგან კი არა, ჩემი თავისგან მინდა გაქცევა- ეს კი არ გამომდის...

უნდა გავიქცე...

უნდა გავიქცე...

გავიქეცი კიდეც...

აი, გავრბივარ...უკანმოუხედავად...ძალიან უცნაური ადგილია...მწვანე ხასხასა მინდორია...წინ კი ხევია... თუ ბოლომდე მივირბინე - გადავიჩეხები! მეშინია, მაგრამ მივრბივარ... ვიცი გადავიჩეხები...მაინც მივრბივარ...რამდენიმე წუთი დამრჩა და აღარც ვიქნები...მომდევენ...სიჩქრეს ვუკლებ. მარცხენა მხრიდან საყვარელი წამომეწია.

-სად ჯანდაბაში გარბიხარ? დიდხანს უნდა გდიო?-მეკითხება შავი თვალების ბრიალით.

არ ვჩერდები. გავრბივარ. ახლა მარჯვენა მხრიდან წამომეწია ვიღაც...ჩემი ქმარია. სათვალის სწორებით მომიახლოვდა.

-წავიდეთ სახლში!- ამ ორ სიტყვას მეუბნება და შინისკენ ერთად მივდივართ...

ზურგსუკან კი ისევ ისმის ვიღაცის ფეხის ხმა.

ვიცი ჩემი საყვარელია. არ ვბრუნდები. იმიტომ კი არ მომდევს, რომ ეშინია ჩემი დაკარგვის. არა! ადამიანები ვერ იტანენ გამარჯვებულ მეტოქეებს... ამიტომაც მომდევს და ამიტომაც არ ვბრუნდები...საერთოდაც, წარსულს არ უნდა მიუბრუნდე არასოდეს...

შინისაკენ მივიწევ და ვიცი ის ზურგსუკანაა...

ვიცი, დამესიზმრება და სიზმარში ის იქნება თევზი. დაუკითხავად რომ ამოცურდება მოგონებების მღვრიე ტალღებიდან...მე მას დავტოვებ სიზმარში და ქმარს დავხედავ ცხადში... სათვალეებით დაუძინია...

ნინო ალადაშვილი

დე, იყოს ასე!

დაველოდები იმ წუთს, იმ წამს, მღელვარე დღეთა,
როცა სურვილი შენი ფეხით მოგიყვანს ჩემთან.
მეტყვი, რომ სულში უჩემობა გიჟივით ატყდა,
მეტყვი, რომ თმენის ყველა ძაფი ერთბაშად გაწყდა.
რომ მთავარია, შენი გული ფეთქავდეს ჩემთვის,
რომ შეგიძლია, სიამაყე დამიგდო ფერხთით.
რომ ყველა სხვა გზა დაგავიწყდა ჩემი გზის გარდა,
რომ მითხრა: ახლა ყველაფერი იქნება კარგად.
რომ გსურს, თვალებზე შემიმშრალო ნაწყენი ცრემლი,

რომ მზად ხარ, ჩემი ტკივილები ატარო მხრებით.
რომ გსურს, ერთხელაც მზის ამოსვლა ვიხილოთ ერთად,
რომ შეგიძლია, ჩემი გული მიიღო მსხვერპლად.
რომ გვეყვარება ერთმანეთი ათასი წელი
და რომ მპირდები, არასოდეს გამიშვა ხელი.
დაველოდები იმ წუთს, იმ წამს, მღელვარე დღეთა,
როცა სურვილი შენი ფეხით მოგიყვანს ჩემთან.
...
და თუ ეს ლექსი ოცნებაა მხოლოდ და მხოლოდ,
დე, იყოს ასე!... ვიოცნებებ ბოლოს და ბოლოს

სადმე

ვიცხოვრებდი შენთან ერთად სადმე,
შორს აქედან... ლურჯი მთების პირას,
სადაც თავისუფლებაა ცამდე
და სიყვარულს არასოდეს სჯიან.
ვიცხოვრებდი შენთან ერთად მშვიდად,
შენი ხელით აშენებულ ქოხში,
არ გავცვლიდი ჩვენს პატარა ბინას
სასახლეში და არც ზღაპრულ კოშკში.
არ მეტყოდი საალერსო სიტყვებს,
ოდნავ მკაცრიც იქნებოდი თითქოს,
მხოლოდ თვალებს, სიყვარულს რომ იმჩნევს,
ჩემთვის მუდამ ექნებოდა სითბო.
ღამით ნაწნავს გავიშლიდი თრთოლვით,
დავწვებოდი ვარსკვლავების მხარეს,
დავრჩებოდით ქვეყნად მხოლოდ ორნი
და ჩვენს შორის - გაბადრული მთვარე.
რძისფერ ნისლებს დაგისხამდი თასში,
ყოველ დილას მოგართმევდი თავად,
მზის გვირილებს ჩავიბნევდი თმაში,
მხოლოდ შენთვის მოვირთავდი კაბას.
ღამის ალერსს გაგატანდი საგზლად
მთაში ჯიხვზე სანადიროდ წასულს,
მერე თვალებს დავკიდებდი კართან,
მოლოდინით ავსებულს და ქალურს.
ვიცხოვრებდი შენთან ერთად სადმე,
შორს აქედან... სადმე, მთების პირას.

მამას

გთხოვ, ნუ იფიქრებ, რადგან ჩუმად ვარ,
სათქმელი არ მაქვს, ანდა ვერ ვგრძნობდე,
მაგრამ შენ თვითონ ისე დ ი დ ი ხარ,
უძლური სიტყვით როგორ შემოგწვდე?!
არ შემიძლია, შენზე ვიფიქრო,
ისეთი ღრმაა სულში იარა,
ალბათ დადგება მშვიდად ფიქრის დრო,
ბოლომდე დავცლი სიმწრის ფიალას.
ჯერ გავიხსენებ ბედნიერ წარსულს,
წამებს, რომელსაც მუდამ დავლოცავ,
და მერე დღეებს, ტკივილით გასულს,
რომ შევურიგდე შენს აქ არ ყოფნას.
ახლა კი, როცა დარდი მახელებს,
არ ვიცი, სევდას სად გავეცალო,
მინდა, მაგ თბილ გულს და მაგ დიდ ხელებს
შემოვუთბე და შემოვეფარო.

ამომიყანი

მოდი, ძვირფასო, იქნებ მიხვდე, რატომ გეძახი?!
სევდა ვარ შენი, უსასრულო, ლხენით გამლიე,
წყაროს წყალი ვარ, მორაკრაკე, შენ რომ შესვამდი,
ხილი ვარ, შენთვის მოწეული, კრძალვით დამკრიფე.

მე შენს უბეში მუდამყოფი საგზლის პური ვარ,
ჩრდილი ვარ, სიცხით გათანგულს რომ მოგცე საფარი,
ის ჰაერი ვარ, შენს ფილტვებს რომ ასე სწყურია,
მიწა ვარ, ნუღარ გამაქვავებ! ბარი დამკარი!

დილის ცვარ - ნამით დაწინწკლული თეთრი ვარდი ვარ,
შენს მოლოდინში სიხარულის შიშით მთრთოლვარი,
მთას მოხვეული ფიქრების და დარდის ნისლი ვარ,
აქაფებული მდინარე ვარ, მუდამ მღელვარი.

მე ბალახი ვარ, მობიბინე, ხავერდოვანი,
თუ არ დამნამე, ალბათ მზისგან გადავხუნდები,
სიზმარი მქვია, მოპარული ღამის მსტოვარი,
შენს სასთუმალთან ერთი წუთით ჩანამუხლები.

ხვაშიადი ვარ შენი, მწველი, აუსრულები,
მთელი სიცოცხლე ეცდები და ვეღარ გაბაწრავ,
მოლოდინი ვარ უსაშველო, დაუსრულები,
ის ბილიკი ვარ, უღტან ტყეში შენ რომ გაკვალავ.

შენი ნეკნი ვარ, მტკივნეული, გულისწამღები,
იმ ძვლით ქმნილი ვარ, შენ რომელსაც ვერ შეელევი,
სისუსტე მქვია შენი მოდგმის, ისე მტანჯველი,
მთელი კაცობის საზომითაც ძლივს შეედრები.

წითელი ღვინით ავსებული ბროლის თასი ვარ,
რაც უნდა ხარბად დაეწაფო, შენ ვერ გამოცლი,
თავსატეხი ვარ, ქარაგმა ვარ, გამოცანა ვარ,
მთელი ცხოვრება რომ გაგტანჯავს და ვერ ამოხსნი.

იქნებ გაიგო, ვინ ვარ, რა ვარ, რატომ მოგიხმობ?!
შენი ცხოვრების აზრი ვარ და შენი მიზანი.
მორჩა! ვჩუმდები! აღარაფერს აღარ მოგითხრობ!
ლექსი ვარ, შენთვის ნათქვამი და ამომიცანი!

ხვალ გაზაფხულია

როდესაც მთებზე დადნება თოვლი,
ნაკადულებად დაიწყებს დენას,
დაიღლებიან ქარები ქროლვით,
ცას დაუთმობენ მერცხალთა ფრენას.

როცა მზე ისევ მოიკრებს სხივებს,
ჩამოეღვრება მიწას ალერსით,
თვალებს აუხელს ლურჯთვალა იებს
და ფურისულებს, მორცხვად ალეწილთ.

როდესაც ხეში წყალი ჩადგება,
გამოაღვიძებს ტოტებს, მძინარეს,
გამოსაკვირტად მოემზადება,
რომ ამოფეთქდეს ფერად მდინარედ.

როცა სისხლიც კი ატყდება ძარღვში,
გულს აჩქარება როცა სწყურია,
ვეღარ ეტევი საკუთარ ტანში
და იცი, რომ ხვალ გაზაფხულია!

ᲞᲐᲔᲛᲐᲜᲘ ᲡᲘᲧᲠᲣᲮᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ

ალბათ, ერთ დღესაც მოხუცები ვიქნებით, კარგო,
მხრებში მოხრილნი წარსულით და წლების სიმრავლით,
მოგონებებთან დარჩენილებს ხანდახან მარტო,
არ მოგვასვენებს ასახდენი ერთი სიზმარი...

შევხვდებით მაშინ, ფიანდაზად როცა გაგვიფენს
ვერხვების ფოთლებს შემოდგომა დაცლილ ქუჩებში,
შემხედავ ჩუმად... შევისწორებ შეკრულ საკინძეს,
გაცრეცილ სკამზე ჩამოვსხდებით ბაღის კუთხეში.

ღელვის დაფარვას შევეცდებით მეტად უმწეოდ,
დაარღვევს ფოთლის ჩამოვარდნა პირველ სიჩუმეს,
მე გეტყვი, როგორ გაიარა წლებმა უშენოდ,
შენ სიტყვას ბანზე ამიგდებ და ისევ იხუმრებ.

კვლავ ძველი სხივი გაგიკრთება თვალებში წამით,
გამახსენდება მკერდქვეშ გულის ნაცნობი ფეთქვა...
მერე ჩიტები აკენკავენ ჩვენს სიტყვებს მარცვლით,
დიდხანს შენახულს, ოდესმე რომ გვინდოდა გვეთქვა.

ვისხდებით უხმოდ, ცრემლჩამდგარი, სავსე თვალებით,
ხელით მომიტან შენს ტკივილებს ჩამომჭკნარ ხელთან...
მოგვეჩვენება, სადღაც გაქრა წლები წვალების
და თითქოს მთელი ეს ცხოვრება ვიყავით ერთად.

ალბათ, ერთ დღესაც მოხუცები ვიქნებით, კარგო!

ᲐᲚᲐᲞᲘ ᲡᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲦᲠᲣᲑᲔᲚᲝ

გელა ქუშაშვილს

ღრუბელო, მთასა მიკრულო,
რად არ ჩამოხვალ ბარადა,
რას შვრება ქუშეთ ყმაწვილი,
მომიყვებოდი თავადა,
წლებმა ხომ არ დაგვიჩაგრეს
ხევში უებრო თამადა.
მახსოვს თერგის პირ სტუმრობა,
მთის წვერზე ცეცხლი ელავდა,
ეშხში შესული პურობა
გაშლილ ზღვასავით ღელავდა,
სუფრაზე გადადიოდა
ღვინით ნაჟღენთი ხელადა.
საძმოს ლხინი და ლაღობა
ხეობას როგორ ავსებდა,
სიკეთემ ჩამოიარა
ვერცხლის მოჭედილ თასებად.
მზის სხივი დაბლა დაეშვა,
ვიწამე კაცის არსება.
ღრუბელო, მთასა მიკრულო,
ჩამოიარე ბარადა,
წამოიყოლე მთის შვილი
თუ არ ჩამოდის თავადა,
წვიმის წვეთივით ჩამოსვი
თავისი საძმოს კარადა.

* * *

ზეცას ჩახსნია საკინძე,
ნათელი ბრწყინავს ცაზედა,
ჭალას გაშლილი ფრინველი
მღერის საამო ხმაზედა,
სოფელს ნაქები ქალაი
შამამდგარიყო ბანზედა,
თმაში მზის სხივი უელავს,
ღიმილი გასდევს განზედა,
შავნი წარბნი და წამწამნი
დამსხდარან ცისფერ თვალზედა,
მიჯრით ნაწყობი კბილები
ნათელი ბროლის ქვაზედა,
მკერდი ზღაპარის სადარი,
ნაშენი სარო ტანზედა,
ოქროთი ნაქსოვ ქოშებში
ქარვა იჭრება თვალზედა....
ზეცას ჩახსნია საკინძე,
ნათელი ბრწყინავს ცაზედა.

ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡ

ძლივს მოვახერხე ნაფიქრალის ერთად თავმოყრა,
უთქმელი სიტყვა მოუთმენლად ფართხალებს გულში,
სინდისის ქეჯნა რახანია, უკან გამომყვა,
და ახლა ვნანობ, რომ სათქმელი ვერ გითხარ გუშინ.

წლები წავიდნენ ოცნებების გარემოცვაში,
რამდენი გაჰყვათ სიხარული, ცრემლი, ღიმილი,
რამდენი დილა გავათენეთ ჩუმად ლოცვაში,
რამდენ დღეს შევხვდით აუტანელ გულის ტკივილით.

შენთვის მინდოდა მოწმენდილი ცა ვარსკვლავებით,
და გული ჩემი ჩანავლული, იცი შენია,
რომ ნაღვლიანად აღარ კრთოდნენ შენი თვალები,
სულს ამოვიღებ, ჩემს მწირ სხეულს რაც შერჩენია.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

დაღვინდება ყურძნის წვენი ქვევრში,
გარეთ უკვე შემოდგომის ხმებია,
ხევებს ნისლი მოაწვებათ ხვნეშით,
ცას სილურჯე როგორ მიწებებია.
ტყიან ფერდობს შეეცვალა ფერი,
მთას ნისლები ნაცრისფერად კემსავენ,
წყარო ისევ ძველებურად მღერის,
მხოლოდ, სადღაც გაპარულა კესანე.
სახლში ბებო მატყლის ბაწარს ართავს,
სიო ხეებს ჯერაც ესალბუნება ...

შემოდგომა კარზე მომდგარ ზამთარს
გაშიშვლებულს შეატოვებს ბუნებას.

გუდამაყარი

მასპინძელია მეტყევის ქოხი,
კარი გამიღო მგზავრობით დაღლილს,
ხეობის ნისლში ჩაფლულა ჩოხი,
ხვალ ავუყვები არაგვის ნაპირს.
წყლის მღვრიე ტალღებს დავაკვირდები,
ფიქრებს მოვტაცებ ჩამოშლილ ნისლებს,
ჩუმად სკდებიან ხეთა კვირტები,
ცა ღრუბლის უპეს ცრემლებით ივსებს.
ვიცი აწვიმდა ჩოხის სანახებს,
ძვალთჩასალაგებს მეტად აწვიმდა,
დილით პირიმზე გზას დამანახებს,
რომ სამყოფელი ვნახო არწივთა.
არაგვის წყალი მომძახის ოხვრით,
ცრემლი ჩამდგარა მართვეს ბუდეში,
დაღონებულა პატარა ჩოხი,
დაუკარგია თავის ნუგეში.
მის საბუდართან მოზარე ტირის,
ტკივილი კვნესის ნისლთა აკვნიდან,
გული აჩუქა მზესა და ღიმილს
და მტრდისფერი ფრთებით გაფრინდა.

* * *

ჩაივლიან წლები, ისევ ჩაივლიან,
მომაყრიან ფერებშეცვლილ ვარდებს,
სუსტი გული ჩაიმარცვლა, დაილია,
ვერ ერევა მოძალებულ დარდებს.
ჩაივლიან წლები, ისევ ჩაივლიან,
წაიღებენ ჩემ სიცოცხლის ნაწილს,
კარგად ყოფნის სადღეგრძელო დაილია,
თრთოლვით გავცქერ: ნაბილიკარს აწვიმს.
წუთისოფლის გზაზე რეკავს ჟამის ზარი,
ნისლებს იქით ჯერაც ნორჩი ყვავილია,
და იმ ყვავილს დამიზაფრავს ავი ქარი,
როცა წლები, ჩემს უთქმელად ჩაივლიან.

გული

შორს დარჩენილან რა ბევრი წლები,
თან დაიტოვეს ბავშვობა ჩემი,
ჩინდაკლებული აღმართს შევები,
გაუტეხელი კვლავ ძველი ჩვევით.
გადახილულან თურმე სიზმრები
ცხადში ამხდარა ბევრი უჩემოდ,
და მაძალებენ ჩუმად ფიქრები
წლების სიმუხთლეს ძალა ვუჩვენო.
სადღაა ძალა, გაწყდა ილაჯი,
მზის გულზე მყოფი, კვლავ ვეძებ სითბოს,
ახალგაზრდობის დამრჩა მირაჟი,
გული კი ჯერაც ნორჩია თითქოს.

* * *

შენ გაგივლია ჭალაში ფეხით,
ცა დაეძებდა მოწყვეტილ ვარსკვლავს,
ტყე გაგივსია სითბოთ და ეშხით,
შენი სურნელი ტყეს დღესაც ახლავს.
ყვავილებს, როგორ წყდებოდათ თვალი,
და მოკრძალებით შემოგცინოდნენ,
ფეხქვეშ გეფინა ზურმუხტის ხალი,
ძეწნები ჩუმად, ჩუმად ტიროდნენ.
შენი ღიმილი ფანტავდა ნისლებს,
მზისფერი თმები მხრებზე გეყარა,
ჩიტები ხეზე გალობდნენ ისე,
თითქოს გალობდა მთელი ქვეყანა.
შენ გაგივლია ჭალაში ფეხით,
ცა დაეძებდა მოწყვეტილ ვარსკვლავს,
ტყე გაგივსია სითბოთ და ეშხით,
შენი სურნელი ტყეს დღესაც ახლავს.

თინათინ მრელაშვილი

ქალი სიყოყხლის მახარობელი

როგორც, – ნაზი გაზაფხულის მოსვლას,
უპირველეს, ჩვენ გვახარებს ია,
ქალი – დედაც სიხარულით გვმოსავს,
ამ სიხარულს სიყვარული ჰქვია.
იასავით ნაზია და... მუდამ,
ჩვენგან, მუდამ გულის სითბოს ითხოვს,
ვერაფერი შეცვლის ნათელს – ბუნდად,
ტკბობას, დედის სიყვარულის სითბოს.

არყ მამული დაუკარგავს...

ვინც თავს უძღვნის ამ სამოთხეს, – მთა-ბარიანს,
ვისი გულიც სხვებზე ფიქრით გამთბარია,
ქვეყნის ტვირთი, ვისაც მხრებზე ამოდ აწევს,
არც, – მამული დაუკარგავს ნამოღვაწევს...

ჩვენო დედაენავ!..

ჩვენო, – გულის თვალის ჩინო,
ჩვენო დედაენავ...
შენ გვინერგავ, მუდამ, მადლის
და მომავლის რწმენას...
რწმენას – ცოდნის, სიყვარულის
და სიკეთის ძალის,
შენ ხარ – ჩვენი სულის საზრდო,
მზე და ნატვრისთვალი...
დედასავით ძვირფასი ხარ, –
ჩვენი შვებაც, ლხენაც,
ტკბილზე ტკბილო, მზეთა მზეო,
ჩვენო, დედაენავ!..

ᲩᲕᲔᲜᲡ მეგობარ პოეტს, **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡ**, გასული წლის 12 ნოემბერს **37** წელი უნდა შესრულებოდა, მაგრამ სამწუხაროდ არ დასცალდა. როგორც დიდი გულისა და სიყვარულის მატარებელ ადამიანს მას მეგობრები არ ივიწყებენ. ჩვენც გვსურს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ გიორგი და გთავაზობთ მის გამოუქვეყნებელ ლექსებს

ᲤᲝᲗᲝᲚᲪᲕᲔᲜᲐ

ფოთოლცვენაში ვემსგავსები უნაზეს აჩრდილს,
ფეხით გათელილ გამხმარ ფოთოლს და მის ზმანებას.
ფოთოლცვენაში სიტყვას ვამბობ უზომოდ დაღლილს.
ჩემ თავს ვუწოდებ მოლანდებას და შეჩვენებას.

ფოთოლცვენაში გავიცანი ჩემი სხეული, –
გამხარ ფოთლებში ჩავარდნილი სიგარის ფერფლი.
ფოთოლცვენაში ღამეს ვათევ მარტო, ეული.
გამხმარ ფოთლებში წვიმის წვეთი ვიღაცას ელის.

შიშველ ფოთლებზე წვიმა დის, თქეში.
მე დასასრული მიახლოვდება უახლეს თვეში.
ხვალინდელ ღამის გათენება მომიწევს სხვენში.
გამხმარ ფოთლის გუნდს მოასვენებს მდინარე ხევში.

ფოთოლცვენაში ვემსგავსები უნაზეს აჩრდილს,
ფეხით გათელილ გამხმარ ფოთოლს და მის ზმანებას.
ფოთოლცვენაში სიტყვას ვამბობ უზომოდ დაღლილს.
ჩემ თავს ვუწოდებ მოლანდებას და შეჩვენებას.

1997 წ. 3 ივნისი

* * *

მე მოვდიოდი, რომ მენახა აქ უკვდავება.
მე მოვდიოდი, რომ მენახა სულები თბილი,
მაგრამ აქ დამხვდა კერპებივით ცივი ღვთაება
და გაყინული, ვით სამარე ობოლი გმირის.

მე დავინახე, აქ მოსულმა, მკვდარი სხეული,
რომელსაც არ ჰყავს არც მტირალი, არც დამმარხველი.
ალბათ, რომ მოვკვდე მეც ვიქნები ასე ეული.
ალბათ, აქ ყოფნა სულ ყველასთვის იქნება მკვლელი.

მე აქ მინდოდოდა დამენახა სულის სინათლე
და სამუდამო ნეტარება მენახა მარად...
აქ, ყველა ცრუობს სულიერი სულის პირამდე,
ჩემი ადგილი არ ყოფილა ამ ქვეყნად, არა!

მეც, გავფრინდები, თან გავყვები ჩემ ძმებს, პოეტებს,
მეც მათთან მივალ, გინდ ვეწამო მარადის ალით...
მივეჯაჭვები სიტყვისათვის, როგორც პრომეთე,
მაგრამ დარჩება სამუდამოდ უშლელი კვალი.

1999 წლის 20 იანვარი

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲗᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

ქარიშხალთა დედოფალი ქედს არავის უხრის,
გლოვის ღამეს ემატება სინანულის მწუხრი,
ეხეთქება ზღვას და მიწას მძლევი ქარიშხალი,
ევედრება ღმერთს და წმინდანს მარტოსული ქალი:
„ქარიშხალთა ძლიერებას ვერ გაუძლებს ხალხი,
ამ ქვეყანას ამყოფინე დრო მავნე და თალხი“...
შეუწყვიტე დედამიწას ცრუ აზრების თოვა.
გთხოვ, აკმარე საშინელი წამება და გლოვა.

ქარიშხალთა დედოფალი შეეკედლა ზეცას.
ყველა ფერთა კაზმულობით, მას უნდა რომ ეცვას.
სიბრალულით გადმოჰყურებს ჩვენს პლანეტას იგი –
ქარიშხალთა დედოფალი და გრიგალთა რიგი.

დღეს ცაშია, ხვალ მიწაზე, ზეგ ვარსკვლავთან ცეკვავს...
ხევისბერი გამეტებით დედო ზარებს რკავს...
ეხეთქება ზღვას და მიწას მძლევი ქარიშხალი,
ევედრება ღმერთს და წმინდანს მარტოსული ქალი:
„ქარიშხალთა ძლიერებას ვერ გაუძლებს ხალხი,
ამ ქვეყანას ამყოფინე დრო მავნე და თალხი“...

2000 წ. 25 თებერვალი

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ...Ს

თოვს... გაზაფხული ივიწყებს ვივალდს,
კვლავ მეფერება სველი კონსტანცა,
წვიმით დალალებს ულბობდა გრიგალს
და... ზღვას მუსიკა მთვარემ მოსტაცა.

მზემ ჰორიზონტსაც ხელი დარია,
ახლა ვიხსენებ ბეზილს, დორიანს.
მე შეგისრულებ ღვთიურ არიას
და გავუყვები ქუჩით ბორიალს.

შორეულია მისტიკა ფერთა,
ეს სახეები, როგორც ოცნება,
გამოგელვება ოქროს ნამქერთა
და საუკუნო გამოცოცხლება.

ტალღების ცეკვა ისე წყნარია,
ვით ჰარმონია – ყრუ ბეთჰოვენი,
ლურჯი მიმოზა საოცარია...
მონანიებულ სულს ვეთხოვები.

ფუნჯით მხატვარი, როგორც ნიკალა
ხატავდი ვერსალს, ფოთლების პარიზს.
თუკი ღრუბელმა გადაიყარა,
თმაში ჩაგიწნავ უთეთრეს ნარგიზს.

თოვს... გაზაფხული ივიწყებს ვივალდს,
კვლავ მეფერები სველი კონსტანცა...
წვიმით დალალებს ულბობდი გრიგალს
და ზღვას მუსიკა მთვარემ მოსტაცა.

* * *

ჩამოასხით! თორემ გული გასკდება და მერე, მძიმე
მოგონება გაგვიყოლებს, სადაც მწუხრი იებია.
ეს მედუქნე გვაპატიებს, პატივსა გვცემს კიდევ მცირეს:
რვა ნომერი მოგვაწოდე, დღეს რომ ჩაგიცივებია!

ცოტნე, ლექსი! ლექსო, ყანწი! ლაშა, კობა, ტკბილი ნანა!
უჩა, ცოტა შენც აგვყევი, მეც აქა ვარ ბანიანად!
დახე, ბიჭო! გვესმის ლხინი. გააცეცხლე მნათე ზარი...
ცოტაც კიდევ და მორჩება ეს ცხოვრება აბეზარი.

კიდევ, კიდევ ჩამოასხით, გავაჩაღოთ სუფრა ქალაქს!
არავინ არ გამოაკლდეს, დამიძახეთ პეტრე დალაქს!
ზეიმია! გვიხაროდეს, გაუნელეთ ცეცხლი მაყალს...
ხვალე აღარ შევხვედროდეთ ამ ქალაქში აყალ-მაყალს.

ᲐᲒᲝᲜᲘᲐ

ჩემი ლურჯა ცხენები და შენი მიმოზები
ოცნებებით მტოვებენ, როგორც მწუხრი პიეროს.
მთვარის შუქზე იცეკვებ, ცრემლით შევიმოსები...
განშორების წუთებით მიხდი სამაგიეროს!
ეს სიცხადე სიზმარეთს გამოიწვევს დუელში.
თმაგაშლილი მტოვებენ მოალერსე მუზები,
აღარავინ მიძახის, აღარ არის ნუგეში,
ჩემი ოთხი კაროლი გაჭრილია ტუზებით.
სისხლისფერი მიხაკით, სისხლისფერი ნისლებით
მაცილებდა დუმილით, ცრემლიანი თვალებით.
ამ ფოთლებში ჩაფლული ცეკვავენ მეჯლისები
და ტიროდა სამყარო ჩემი გარდაცვალებით.

* * *

მტკვარს ეხვევა თოლიების გუნდი,
მთაწმინდაზე მზის სხივები ელავს.
მითხარ, კარგო, ასე რად დადუმდი,
რატომ ასე ვნებიანად ღელავ.

გეგებები, შემომხვიე ხელი!
გამიშალე სანატრელი სივრცე!
ახლა, როგორც გალაკტიონს მერი,
მეც მიყვარხარ, ოცნებებში ვიწევ.
ზამთრის სუსხი დამიფარავს თითებს.
...და მოცარტის, რექვიემი უკრავს.
მე მოგიტან ამ ყინვაში ტიტებს...
და ცხოვრებას პოეზია ღუპავს.
ვიბრძვი, მყინვარს დავუმსხვრიო გული,
მიმოზებით მოგიფინო მთები,
ფიქრებისგან ჟამით დათანგული
გაგიშალო ცისარტყელა თმები.
მტკვარს ეხვევა თოლიების გუნდი,
და მოცარტის, რექვიემი უკრავს.
ღვინით სავსე მომიტანეთ თუნგი...
ამ ცხოვრებას პოეზია ღუპავს.

ᲛᲐᲨ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ

მთაწმინდიდან ვეგებები ყარაჩოხელთ,
დედა მტკვარი გულში იკრავს თბილისს,
შენი ცრემლი დამასველებს მე, შავჩოხელს,
გამაცილებს უკანასკნელ ბილიკს.
გაიხსენებ – გყვარებივარ დავიწყებით,
რომ გჩუქნიდი ყვავილს ალუბლების,
მერე თუნდაც ას კოცონზე დავიწვები,
მაინც მოვალ დარად ამ ღრულების.

მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ წამით შემაჩერე,
ჩამეხვიე, გამიღიმე ნდომით.
მერე, თუნდაც, ჯვარზე მაცვი, შემაჩვენე...
და სიკვდილსაც შემახვედრე ტრფობით.
ცის კაბადონს ვუერთდები სისხლნაფიცი,
შენს სახელზე ცას ვენთები სანთლად.
ერთი ნაზი სიყვარული დაგაფიცე...
მაშ მშვიდობით მომიგონებ ნათლად.

მთაწმინდიდან ვეგებები ყარაჩოხელთ,
დედა მტკვარი გულში იკრავს თბილისს,
შენი ცრემლი დამასველებს მე, შავჩოხელს,
გამაცილებს უკანასკნელ ბილიკს.



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲮᲐᲐᲜᲔᲚᲘ

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲔᲮᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲣᲠᲘ ᲙᲐᲤᲘᲐ

1990 წლის ოქტომბერში მწერალს მეორედ მოუხდა დაოჯახება ციური რიგიშვილთან. ამავე შემოდგომის ერთ დღეს ციური მეუღლითურთ თიანეთს გაემგზავრა მარტოხელა მამის მისახედავად... ავტოსადგურზე რაიონში ცნობილი ენაკვიმატი თემო ობგაიძე შემოხვდათ. ერთი თვის წინ ციურის თანაკლასელებს ყოველწლიური შეხვედრა-ლხინი რომ ჰქონდათ, ამ თემომ ჯემალ მეხრიშვილი მაშინ გაიცნო. ჰოდა, ახლა ჰალსტუხიანი მწერალი ხელახლა რომ იხილა, საჩვენებელი თითი ქათქათა საყელოში ხასად ჩაუყო და დამცინავად მოუსინჯა.

-როგორ გიკითხო, კახელო,
ხო არ გიჭირებს საყელო?!

მომდგარი პირღიმილი მწერალმა ადვილად შეიმაგრა და მოგონილი სიმკაცრით უხუმრა.

-პერანგს რად მიჭუჭყიანებ,
უკრძალველო და ავყელო?!.
მკვრივმკერდა ქალნი მამგვარე,
ოზაანურად შავყელო!

* * *

ნასადილევს მწერალი ბავშვური მოუთმენლობით შეუდგა ვრცელი, ხშირხეხილიანი მყუდრო ბაღის თვალიერებას, რათა ახლავე შეეგულებინა პატარა, მოდაბლო საწერი მაგიდის ჩასადგმელი საზაფხულო იდუმალი კუნჭული. დაბურულ თხილნარზე მაშინვე შეუვარდა გული, მაგრამ აი, უბედურება: იქვე, ტოტებგადაბარჯღლული ვაშლის ქვეშ დრო-ჟამისაგან გაშავრკინებული დიდ-დიდი კუნძები ეყარა! მწერალმაც იმავწამიერად იწამა — ზაფხულობით აქ რომ ჩავიბუდებ, ერთმანეთზე შეხორავებული ამ კუნძმანძის ცქერა წერის განწყობილებას შემიბღალავსო! ფარდულიდან გამოიტანა ფუთიანი ურო, რკინის ნატანჯი, თავდანაყილი თოქმა სოლები და გაძვალებულ კუნძებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება! მერე ციური აივნიდან რამდენჯერმე გამოეძრახა — მოდი, ცოტა შეისვენე ან დანაყრდიო, მაგრამ მწერალს არაფრის გაგონება არ სურდა: თითქოს ამ კუნძების აქედან დღესვე მოშორებაზე ყოფილიყო დამოკიდებული მისი სამომავლო ნაწარმოებების მხატვრული ღირსება!!!

თავისებურ ოცნება-საფიქრალში გადაკარგული ოზაანელი თავს კუნძებს რომ აკლავდა, ამ დროს ციური და მისი ბიძაშვილი ქალები ხინკალს ხარშავდნენ და თურმე პატარა ქეიფი მზადდებოდა!

მწერალმა კუნძები სულ რომ დაჩეხა, თავგადახურულ საშეშეში შეზიდა და იქაურობაც ფოცხითა და წკეპლების ცოცხით მოასუფთავა, უცებ იგრძნო — ძალმიხდილობისაგან ძვალი და რბილი ძირს ჩამოსდიოდა! შიშმაც კი გაჰკრა: დილით იქნებ ცოცხალმა ველარც ავატანოო! მიხვდა, მეტისმეტი მოუვიდა და ინანა, წეღან მეუღლეს რომ არ გაუგონა!

ერთი სიტყვით, საღამოთი სუფრას რომ შემოუსხდნენ, გამწყრალ-გაკვირვებული მამრების დაძალების მიუხედავად საცოდავად მფეთქავ გულზე მწერალმა ერთი წვეთი ჟიპიტაურიც არ დალია. ეს კი კუთხისა და სუფრის აბუჩად აგდებად მიიჩნიეს და ციურის ბიძამ დედის მხრიდან, ოთარ ჯიმშიტაშვილმა ლამის ბავშვივით დატუქსა.

-პირდაპირ გეტყვი, მწერალო,
სმაში ყოფილხარ ბეჩავი!
-აბა, შენ სხვა რას ელოდი:
მთელი დღე კუნძებს ვხეჩავდი! — მშვიდად მიუგო ოზაანელმა.

ოთარის ვაჟმა, ავთომ თავის მეუღლეს, მარინას ვნებამორევით დაუბრიალა თვალები და მწერალს დამრიგებლურად გადაუარაკა.

-ის კუნძი ღამღამით ვხეჩოთ...
როგორც სჩვევია ეჩოსა!
-ეჰ, ერთხელ გახეთქილ კუნძი
როდემდე უნდა ვხეჩოთა! — სევდიანი თავდაღუნვით დაუბრუნა ქიზიყელმა.

მიხვედრილმა ქალებმა ახარხარებულ თავიანთ კაცებს ქოქოლა მიაყარეს: უი, მეხი კი დაგაყარეთ თქვენაო!

რაკი ქანცმიწყვეტილმა მწერალმა სასმელი არა და არ გაიკარა, კაცებმა პირში გაიჩარეს და მის გამასხარავებას შეუდგნენ. ბოლოს კი ნიშანში მისი აღნაგობაც ამოიღეს. ქვედა მეზობელმა, ზაურ აბალიშვილმა ქიზიყელს ტუჩაკვრით აავლ-ჩაავლო თვალი და თავისიანების წინაშე ვითომ ბოდიში მოხადა.

-ულიპო კაცი რას დალევ!..
ვაგლახ!.. ეჰ!.. ჰაი, დედასა!..
-ვაი კაცს, ვინც აბანოში
ღიპს ქვევით ვერას ხედავსა! — კრძალვით დაუსრულა მწერალმა და მანდილოსნებს ბოდიშიანი მზერა მიმოავლო. მსმენელებმა უცებვე ვერაფერი გაიგეს, მაგრამ როგორც კი ჩახვდნენ ნათქვამის მინიშნებას, მამრებმა ხორკლიანი ხარხარი გააბეს, აბანოში მყოფი კაცის ღიპს ქვევით დასანახავის წარმოდგენაზე კი ქალებმა ღიმილი ტუჩმოპრუწვით შეიმაგრეს!

ერთი სიტყვით, დაძალების მიუხედავად, ქიზიყელი მაინც თავისაზე დარჩა: სასიკვდილოდ მიქანცული და მკლავებჩამოწყვეტილი, თანაც ძილის წინ მძიმე-მძიმე კერძებსა და სასმელს არ გაეკარა და მასპინძლების გასაკვირად იმჯერად მხოლოდ ერთი ჯამი ჩატალებული მაწვნით შემოიფარგლა!

* * *

გათენდა მეორე დილა. კვლავ შეიკრიბა იგივე საზოგადოება. გაცხელდა ხორც-წვენი, შეიბრაწა მონარჩუნებული ხინკალი, ჩამოიდგა ჟიპიტაურის სველი სურები...

სუფრის თავში მჯდომმა, სურაზე ხელდაბჯენილმა მწერლის სიმამრმა, რევაზმა თავისიანებს თავმომწონედ გადაავლო თვალი და მერე სიძეს უბოროტო დაცინვით მიმართა.

-მიდი, დაგვიპე კუნძები,
თუ გსურს გაჭამოთ მაწონი!
-კუნძებს როგორღა დავაპობ,
წუხელ შენს ქალთან ნაწოლი?! - კრძალვით აკადრა სიძე-მწერალმა.

-ნაწოლი, თორემ შენც წუხელ
შუა გატეხე საწოლი! — გაკენწლა მეორე მეზობელმა, მალხაზ წოწკოლაურმა.

-მაგას რა გატეხს, მკვიდრია,
ვით ტონიანი სასწორი! — განუმარტა ოზაანელმაც.

გუშინდელივით ახლაც სიძის ხუმრულად გამასხარავებას შეუდგნენ.

-კაცო, დილას ძროხები რომ გამოვირეკე სანახიროდ, - ეშმაკური ღიმილით დაიწყო რევაზისკბილა ელიბო კახოშვილმა, - გადმოვიხედე ამათ ეზოში და რასა ვხედავ — ეს ჩვენი კახელი სიძე დიდი ამბით გამოსულა, სათონეში რაც რამ ნაფოტი უპოვია, მოუგროვებია და რევაზის ი დიდი სახეჩი ცულით სუ წვრილ-წვრილად აპობს!

ცხადია, მსმენელები სიცილ-ხარხარს გააბამდნენ.

-აბა, რაღა გიჭირს, რევაზო, - მიმართა მალხაზის მამამ, ტიმოთემ, - ნაფოტების მპობელი სიძე გიშოვია — დილის სანათი აღარ მოგაკლდება!

-ჰო, ჰო, აივნიდან მეც დავინახე! — ტიმოთეს უმალ დაუმოწმა ზაურ აბალიშვილმა და მწერალს ჭიქა ააცალა.

-სასმელს ვერც ახლა დაგვილევ,
დილას ნაფოტებს აპობდი!
-ნეტაი თქვენა, რას მიზამს
ე თქვენი მყრალი კამპოტი! — უმალ მიუგო ოზაანელმა.

აქ საოცრება მოხდა! იმის მაგიერ, ციურის ყამარივით ქმრის მხარი დაეჭირა, პირიქით: სამზარეულოს სარკმლიდან გადმოყრდნობილი, მეუღლეს სპილენძის ადლიანი ქაფქირის მოღერებით გამოეკაპასა.

-ჟიპიტაურს ნუ გვილანძღავ,
არ გაიწყრომო ლაშარი!!!
-რა იყო, რას გაწიწმატდი,
თითქოს არ ჩანდი აშარი! — მწერალმა მეუღლეს გაკვირვებით შეუტრიალა.

კაფიებით ფარიკაობა ჩაცხრა. მასპინძლებმა სიძეს თავისი ჭიქა ისევ დაუბრუნეს და რამდენჯერმე ჩააწვეთწვეთეს: კახელი კაცი ყოფილხარ, თქვენებურ ღვინოს როდის ამოგვიტანო! მათი გამოწვევის მიზნით ოზაანელმა თავი გაიყრუმუნჯა, პირდაპირ ყურები ამოიგლისა! იმითაც აევსოთ მოთმინების ფიალა და ავთო ჯიმშიტაშვილმა კახელს შუბურად აძგერა.

-რქაწითელს როდი გვაღირსებ?!
ჯერაც არა გვაქვს ნახული!
-ჟიპიტაურიც კინწსა გწყვეტთ,
სუ პირქვე დაგყრით კახური! — დაიმუქრა მწერალი.

მასპინძლები დანებებას არ აპირებდნენ. იქვე, სარკმლის რაფაზე შემთხვევით მირჩენილი ჯამფილისოდენა წმინდა საცერი ქუცო რიგიშვილმა მწერალს წინ გამომწვევად დაუდგა და ხმალდახმალ გადმოუხტა.

-მაშინ ამ ჩვენს ჟიპიტაურს
დაგალევინებთ საცრითა!
-უჰ, ახლა ეგ არ მადარდოთ:
რასაც ვსვამ, ეგეც ხათრითა! — არხეინად მიუგო ოზაანელმა.

შეგნებულად გამომუშავებული მკაცრი კვებითი რეჟიმითა და ხელმოკლე ოჯახის მწირი ულუფით კუჭგამოწრთობილ მწერალს — როგორც ეს მსგავს ვითარებაში ხშირად ემართება ხოლმე — ახლაც შეზრზინდა ეს ამოდენა მსუყე წვენ-ხორცი, ხინკალი და ნაირი მაწიერი სასმელ-საჭმელები! უცებ საშინლად მოენატრა თავიანთი მწირი სამზარეულო, თავისი მყუდრო მხატვრული საბუდარი და ერთ-ერთი ახალჩაფიქრებული ნოველის სავარაუდო ეპილოგზე თავდამავიწყებელი ფიქრი. ამიტომ ერთი წუთით სახეც ჩაეკოხა და გადაავიწყდა კიდეც სად, ვისთან ან რისთვის იჯდა.

თვალმახვილ მასპინძლებს, ცხადია, ეს არ გამოეპარებოდათ და ირაკლი ჯიმშიტაშვილმა მაშინვე შეაფხიზლა.

-ე, შუბლი მაინც გაიხსენ...
გვიზიხარ, როგორც მუმია!
-რა დროს შუბლია?!. ე ხორცი,
მგონი ცოტათი უმია! — ესღა მოიაზრა შემკრთალმა მწერალმა.

* * *

მასპინძლებს რომ შეეტყოთ, ეს მათი სიძე, თანაც მწერალი, როგორი სიტყვა-პასუხის ან რა გამძლეობის მოსუფრალი იყო, სადილწინ შეადგნენ: ახლა შენ უნდა გვითამადოო!

რაკი ეს ასე სწყუროდათ, ქიზიყელიც გატყლარჭვის გარეშე დასთანხმდა, ოღონდ ერთი დაურღვეველი პირობით — სუფრიდან ჩემზე წინ ვერვინ ადგებაო!

ქეიფში ჭიპმოჭრილმა მასპინძლებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედ-გადმოხედეს — ვერ უყურებ, ვიღაც ქიზიყელი რით გვაშინებსო და უმალ დაუყაბულდნენ.

პურობა დაიწყო და თამადის მეოხებით ბუნებრივად გახანიერდა. საწერ მაგიდასთან გაუნძრევლად ჯდომით ნაწრთობ-ნატანჯ ოზაანელს სუფრიდან ასე ადვილად რაღა ააყენებდა! მაშინ შეღონებულმა თანამეინახეებმა იაფფასიან ონარს მიმართეს. ოთარმა თვალით იხმო ციური და ყურში რაღაცა ჩაუფუჩუნა. მწერალი მიხვდა, მახე ეგებოდა. არც შემცდარა. ცოტა ხნის შემდეგ გარე სარდაფიდან მოლიან ეზოზე მწნილის სინით გადმომავალი ციური უცებ თეატრალური წამოკივლებით წაიქცა!

ოთარმაც არ დააყოვნა და თამადას მოუთმენლად მიულექსა.

-გაიქე, კაცო, ააყე,
კომშთან წაგექცა ციური!
-სანამ მე მივალ, ადგება,
ქალია ელასტიური! — მწერალმა ყველანი თავდაჯერებით დაამშვიდა და ქეიფი კარგა ხნით კიდევ არ მოშალა. მერე კი... ბოლოს და ბოლოს ყველაფერს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს!...

* * *

მესამე დღეს გამართულმა სერობამ მწერლისთვის ერთობ სახიფათო მიმართულება მიიღო. სასმელით გულაჩუყებულ მასპინძლებს ახლა ეს გაახსენდათ: რამდენიმე წლის უნახავი ერთ-ერთი თავიანთი სისხლი და ხორცი, რომან რიგიშვილი ჭიათურაში რომ ესახლა და უცებ მოიგუნებეს: მოდი, ხვალ-ზეგ ჩვენი სასმელითა და საკლავით მის სანახავად წავიდეთო! არაო, ჩააკერა ქუცო რიგიშვილმა, ზესტაფონელი ერთი მაგარი ძმაკაცი, კიკნაძე, მეპატიჟება და მეპატიჟება! ჰოდა, ბარემ ჯერ იმას გავუაროთ და გავიგოთ, როგორი დახვედრა იციან ზესტაფონელებმა, ჭიათურა კი სად გაგვექცევა — მემრე გზა იქიდან ახლა იქ გავაგრძელოთო!

შეზარხოშებულებმა, ცხადია, ეს აზრიც მოიწონეს და ხიფათნაგრძნობ, გატრუნულ მწერალს რიხიანად აუწყეს: ციური მამას მიხედავს, შენ კი ჩვენთან ერთად წამოხვალო!

ოზაანელი სულ დაფრთხა: რა ეზესტაფონ-ეჭიათურებოდა, როცა თბილისში იმოდენა საწერ-საბეჭდი უცდიდა! ამიტომ ცივი უარი განაცხადა! ურყევი მასპინძლები მაინც თავისაზე იდგნენ — როგორც მწერალი, ლაზათისთვის ზესტაფონში მაინც უნდა გამოგვყვე, მერე იქიდან კი ისევ უკან გამოგიშვებთო! მწერალმა ესეც იუარა და მძიმე საგონებელს მიეცა: ეს რა დღეში ჩავვარდიო!

ქიზიყელის ქიზიყური სიკერპით გაღიზიანებულმა ავთომ მუქარით მიულექსა.

-შენ ვერ გვაჯობებ, მწერალო,
ძალით წაგიყვანთ ზესტაფონს!!!
-თქვენ მაგას მაინც ვერ შეძლებთ,
თუნდ დაიხმაროთ გესტაპო!!! — არ შეუდრკა ოზაანელიც.

მწერალს იმ ღამით ხეირიანად არ ეძინა. ნარიჟრაჟევს კი მეუღლე გააღვიძა, სასწრაფოდ გაემზადნენ და ავტოსადგურზე ჩაქანდნენ. ტაქსის შოფერი კიდევ ერთი, მეოთხე მგზავრის გამოჩენასაც უცდიდა, მაგრამ მოჩქარე მწერალმა მისი საფასურიც თავის კისრად იდო და თბილისის გზას სულ ნიავქარულად გამოუდგნენ.

ევჟენტი – 1994

მწერლის მეუღლის, ციური რიგიშვილის საგვარეულო შედარებით მცირერიცხოვანია და ძირითადად სულ თიანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ბინადრობენ. ჰოდა, ამ ჟამტიალობისას ერთმანეთისადმი სულ რომ არ გაქსუებულიყვნენ, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გვარის უხუცესთა საბჭომ დაადგინა: ყოველწლიურად, შემოდგომის რომელიმე თვის ბოლო შაბათს ჯერისამებრ შეკრებილიყვნენ მის ოჯახში, ვისაც წინა შეხვედრაზე კენჭის ამოღებით მოუწევდა. ასეთ პირობებში მომავალი მასპინძელი მთელი წლის მანძილზე გულდამშვიდებით ემზადება საკლავითა და პურ-ღვინით. ოღონდ ოჯახი წელში რომ არ გატეხილიყო, სავალდებული ფულადი შესაწირავიცაა დაწესებული.

ამ ორ-სამდღიან შეკრებაზე მხოლოდ რიგიშვილები და მათი ახალ-ახალი რძალ-სიძეები ესწრებიან — სხვას არავისა აქვს იქ გაჭაჭანების უფლება!

შეკრების პირველივე დღეს გროვდება, მუშავდება და მკვრივყდიან დავთარში აღირიცხება საგვარეულო ინფორმაცია.

დროთა ვითარებაში როცა ყველა ოჯახი ამოიღებს კენჭს, მერე ხელახალი წრებრუნვა დაიწყება! ამ ტრადიციას, მათი აზრით, ვერაფერი შეარყევს და გაგრძელდება მანამ, სანამ საქართველო იარსებებს და ამქვეყნად რიგიშვილების თუგინდ ორი ოჯახი მაინც დარჩება!!!

1994 წლის საგვარეულო ყრილობა-ქეიფი თიანეთის რაიონის სოფელ ევჟენტში, ხევისბერ შოთა რიგიშვილის ოჯახში გაიმართა. ოზაანელს არასოდეს ენახა ეს პატარა სოფელი, თუმც მის ედემურობაზე ადრევე სმენოდა წარმოშობით იქაური კაცის, პოეტ გიორგი შეთეკაურისგან. ამას სიმამრის ამაღელვებელი ნაამბობიც ეწონებოდა: მანდ ვაჟა-ფშაველას ხშირად უვლიაო.

ყოველივე ამან ისე იმოქმედა მწერალზე, თავს უფლება არ მისცა, დათქმულ დროს დანარჩენებივით თვითონაც იქ ვისიმე ავტომობილით ასრიალებულიყო. ამიტომ მეუღლეც დაიყაბულა, ყველას შემოთავაზება ადვილად აირიდა და ,,თბილისი-თიანეთი“ სარეისო ავტობუსით გაუდგნენ გზას. სოფლის გადასახვევთან კი ავტობუსიდან გადმოვიდნენ და ფეხფეხ შეუდგნენ სამოთხისებური კუთხისკენ ამავალ, ორივე მხრიდან ტყით ჩაჩრდილულ ოთხ-ხუთკილომეტრიან აღმართს!..

მადლიანი ლხინი იმ ღამით, ცხადია, გვიანობამდე გასტანდა. დილაბნელზე კი, ყველას ტკბილად რომ ეძინა, მხვნელ-მთესველების ჩამომავალი მწერალი, თავისი გლეხური ჩვეულებისამებრ, ახლაც ნარიჟრაჟევს წამოდგა, თავი მოიწესრიგა და ეზოს კუთხიდან განთიადისწინა მიდამოს გადააჩერდა.

მწვანე ეზოში ჩამწკრივებულ, ზერელედ ალაგებულ მაგიდებთან მალე გრძელულვაშიანი ხევისბერიც გამოჩნდა თავისი ჯალაბით — სადაცაა ხალხი აშლას დაიწყებდა და თადარიგის დაჭერა იყო საჭირო!

ოჯახისთავი ეზოს ჩაქში გარინდულ სტუმარს რომ წაატყდა, საკაფიაო სიტყვები ბრძნულად მოქანავე ულვაშებიდან თითქოს თავისთავად ამოუფრინდა.

-წუხელის რამოდენა ვსვით,
შენ კი მაინც ხარ ფხიზელი!
-კახელ კაცს ნუ ეხუმრებით,
სმაშია, როგორც დიზელი,[1]
დილას ყველა რომ ხვრინავდა,
მე ტანს ყინულწყლით ვიზელდი,
რიჟრაჟზე აუდგომლობის
აროდესა მაქვს მიზეზი! — ხევისბერს მწერალმა მოკრძალებით მიუგო და მხარზე მოწიწებით აკოცა. ხევისბერიც მოეხვია და დალოცა...

კაფიაში სიტყვით ამპარტავნობა მწერალს, სამწუხაროდ, ძვირად დაუჯდა: უკვე ამდგარი ნაბახუსევი კაცებისთვის ხევისბერს ეთქვა — აააგერ, ის კახელი ახალსიძე თურმე მაგარი მსმელი ყოფილა და ვინძლო მწყურვალი არ დამიგდოთო! იმათაც მეტი კი არ უნდოდათ — მაშინვე იხმეს გრძელ ზედადგრებზე ხორც-წვენის შესაცხელებლად ჩამწკრივებულ მურიან ქვაბებთან, შიშველ მაგიდაზე თიხის ჯამი დაუდგეს და ჟიპიტაურით გაულიცლიცეს — აბა, გადაუშვიო!

ამდენს რა დაალევინებდა — იმ დღით აღარც ივარგებდა. ამიტომ უარზე დადგა.

ზვიად რიგიშვილმაც მაშინვე მიულექსა.

-ჩვენს ჟიპიტაურს ვერ ძაბრავ,
კაცი ყოფილხარ ფატარი!
-სმისთვის კი არა, ამოველ
ვიხილო ვაჟას ნატარი! — ესღა მიუგო მწერალმა და თავკატუნს მოჰყვა:

ჩვენებურ ჭაჭის არაყს შეჩვეული, ჟიპიტაურს ხამადა ვარ და ბევრს ვერ ვიხდენო. ეჰ, რას იფიქრებდა, ამგვარი განცხადებით თავს მახეში რომ იბამდა!

ხევისბერმა შინიდან ოდესღაც საგანგებოდ თავდაბეჭდილი არყით სავსე კვარტიანი წალურჯო ბოთლი გამოატანინა, თან რაღაც სანელებლებშეყოლილი: აი, შენი მშობლიური ჭაჭის არაყიც მოგვეძებნებაო. მაგრამ მწერალმა არასდიდებით არ გაახსნევინა.

გაკვირვებულმა ხევისბერმა ძველებური ბოთლი ღონივრად შეანჯღრია და სტუმარს არაყი უქო.

-ეს ჭაჭა არის ნაზავი
წიწაკითა და დაფნითა!
-არაყი თქვენ დაიტოვეთ,
მე მიმასპინძლეთ თაფლითა! — ამის მეტი ვეღარაფერი მოიაზრა ოზაანელმა.

საეჭვო სიცილ-ხარხარი ატყდა. არყის დაძალებას მოეშვნენ, ხაშლამა ამოიღეს, პური გატეხეს და სხვებმა განაგრძეს ზეზელა სმა. სად იყო, სად არა, ხევისბერის უფროსმა ქალიშვილმა, ელომ მწერალს ბაჯაღლოსფერი თაფლით სავსე ვეებერთელა ხის ღრმა ტაბაკი და ხისავე კოვზი მოართვა.

საწყალი ოზაანელი სირცხვილისაგან დაიწვა: თაფლი რა ეშმაკმა გამახსენებინა, შეიძლება ამისთვის მეზობლების შეწუხება მოუხდათ, ანდა სულაც საამდღეოდ ბავშვებისა და ქალებისთვის ჰქონდათ ნაყიდიო! ამიტომ თავისი ,,დანაშაულის“ გამოსასყიდად წეღან მისთვის დასხმული ხელუხლებელი ჟიპიტაურის ჯამი გამოწრუტა, თაფლის მოთხოვნისათვის კი ბოდიში მოიხადა.

კვლავ სიცილ-ხარხარით დასეტყვეს: ხევისბერს თურმე სამოც ოჯახამდე ფუტკარი ჰყოლოდა! ოჯახისთავმა ალენილ სტუმარს დამშვიდება დაუწყო.

-ჩემი საფუტკრის თაფლია,
განა ვიყიდე ვალითა!
-თუ გქონდათ მაგდენი თაფლი,
არყით რაღას მკლავთ ძალითა?! — ბავშვური გულამოსკვნით შესძახა შვებამოგვრილმა მწერალმა.

* * *

ამასობაში ხალხი აიშალა. მოდღევდა. სუფრა გააწ-

[1] ***დიზელი*** *– ამ სიტყვას ქიზიყურ ზეპირსიტყვიერებაში (ვინ იცის, იქნებ სხვაგანაც!) შიდაწვის ძრავის გარდა საერთოდ, ყოველგვარი ტრაქტორისა და ასევე ადამიანის ფიზიკური სიძლიერე-გამძლეობის მნიშვნელობითაც ხმარობენ ხოლმე (ავტორი).*

ყვეს და ლხინიც გაიბა. სოსო რიგიშვილმა თავის ადგილიდან მწერალს გადმოულაპარაკა — რაღა მანდედ მოხვდი, რატო შენც ჩვენ გვერდით არ დაჯექიო და წუხანდელი სმისაგან ოდნავ ხმაჩახრინწულმა, კვეხნით გადმოსძახა.

-დღეს გაირკვევა, კახელო,
ვინა ვართ სმაში მაგრები!..
შეგვხედე, გვერდიგვერდ ვსხედვართ,
სმისა და ლხინის გრანდები!
-შენი ხმა რაღაც არ მომწონს,
ჯერ ჩაიპოხე გლანდები! — დამრიგებლურად მიუგო მწერალმა.

გვერდით მჯდომმა ერთმა შეზარხოშებულმა ახალგაზრდა კაცმა მწერალს მხარი ორაზროვნად გაჰკრა და მოპირდაპირე რიგში, ოღონდ ცოტა მოშორებით მჯდომ ერთ მკერდსავსე პატარძალზე ჟინიანად ანიშნა.

-მკვრივი მტევნები აყრია,
მკერდი ექნება მდუღარი!
-თქვენ პანტა-ანწლის არაყს ხდით,
მტევნის მე ვიცი მუღამი! — იძულებითი პასუხი მიაწოდა კახელმა.

ოზაანელს აქეთ-იქიდან ხელახლა აულაპარაკდნენ — კახელი კაცი წაქცევამდე უნდა დაგათროთო! ხოლო კაცრიელ რიგიშვილი ხუმრობით დაემუქრა კიდეც.

-არ დალევ? ძალით ჩაგასხამ,
ძონძივით უნდა გაგხადო,
რო საშაიროდ აგიღოს,
ტუშურებმა[2] და ლახატომ[3]!
-მაინც ვერ გამასხვაფერებ,
როგორაც უნდა დამხატო! — უგანა მწერალმა და ისევ ზომიერი სმა არჩია.

ახალშებინდებულზე, სიგრილემ რომ იმატა და თან ელნათურებიც აინთო, მესამე მაგიდიდან მწერალს ახლა გენადი რიგიშვილი წამოუდგა და ყველას გასაგონად ომახიანად გამოსძახა.

-აქ ერთ ჭრელკაბას მასწონხარ,
თბილისს გაუშვი ციური!
-მეუღლეს მაგას ვერ ვკადრებ, -
ქალია ამბიციური! — მშვიდად განუმარტა მწერალმა.

[2] ***ტუშურები*** *– თიანეთის რაიონის სოფელი.*
[3] ***ლახატო*** *– თიანეთის რაიონის სოფელი.*

ნუნუ ძამუსაშვილი

უცნაური სტუმარი

მოფრინავენ ფანტელები,
ასე, – ჩუმად, წყნარად, უბრად,
შემოდგომაც არ გასულა,
ზამთარია უკვე სტუმრად.
–ცოტა ადრე მოგივიდა
მოსვლა, თეთრო მეგობარო,
თუმც, მინდოდა შენი ნახვა,
ახლა, ასე, მიტომ ვხაროობ!
ზამთარმა თქვა: – არა უშავს,
შენს დროში რომ მოსვლას ვბედავ...
პატარები გავახარე, –
შენი ნახვაც დამებედა.

ზამთარი

დაიძინეს ხეებმა,
დაიძინეს ხევებმა
და... დაფარა მიდამო –
თოვლის თეთრმა გედებმა.
მზემ გაშალა სხივები
და გაბრწყინდა ედემი, –
ალბათ, ჩაჰყვნენ მდინარეს, –
სადღაც გაქრნენ გედები.
გაჩდნენ – ია-იები, –
ლურჯი ზეცის სადარი...
ფანტელების მფანტავი, –
გაიპარა ზამთარი.

ახალი წელი

გამოაღო ცისკარმა
ზეცის ყველა სარკმელი,
გაიღვიძეთ, გეთაყვათ,
ბევრი რამ მაქვს სათქმელი.
ცა ფანტელებს ამზადებს, –
ფუნფულებს და ქათქათებს,
მოდით, მოდით, მომრთეთო,
ნაძვი ტოტებს აქანებს.
მოგილოცავთ ახალ წელს,
დიდ-პატარას, – ყველასო,
ნახეთ, ჩვენი ნაძვის ხე
რა ფერებით ელავსო.
თოვლის პაპას მარხილმაც
აქეთ შემოუხვია,
გილოცავთო ახალ წელს, –
იმედებიც უხვია!..

ფისო ხეზე

წყალზე მიდის კესო – გოგო,
თან, მიჰყვება პაპიდას,
გიშველიო წყლის მოტანას, –
გუშინ, გულით დაპირდა.
ფისუნიას ხმა მოესმათ:
მიავ, მიავ, მიავო,
– ფისოს ადგილსამყოფელი
იქნებ, გვითხრა, ნიავო?!..
ფიჭვზე აძვრა, ჩამოსვლით კი
ვერ დაადგა საშველი,

ლაჯვარეულ ვეფხვებზე

ფისუნა რომ ჩამოესვათ,
წამს მოიხმეს მაშველი.
– რა მინდოდა, ნეტავ, ხეზე?!
ფისო აღარ ხალისობს,
სადარდებელს არ გავიჩენ
არც – დღეის, არც – ხვალისო.

გავახარეთ ბებია

– სად წახვედით, ლია, ია,
დაიღალეთ მანძილით?
– ბებიკონას დავუკრიფეთ, –
მოვიტანეთ ღანძილი.
ახლა, ღანძილს დავარჩევთ და
მომზადდება სადილი,
მოვინდომეთ, ვიხალისეთ,
გვქონდა ამის წადილი.
ბებომ, – რომ არ გაცივდეთო,
მოგვახურა მანდილი.

ფისუნია

ეკამ ფისო დახატა, –
გაწეწილი კუდით,
– ეს რა არის? ფისოს
არ აქვს ცუდი კუდი!
– არც მე ვფიქრობ, რომ არის
ფისოს კუდი – მრუდი,
ფისო, როცა გაბრაზდა, –
გაეწეწა კუდი.
– მაინც, რატომ გაბრაზდა, –
რა მინდაო, ფისომ?
– გარეთ ვეღარ გავალო, –
წვიმა წვრილად ცრისო!

ბესო

ბესო ზურგზე ცხენს მოახტა,
გავაფრენო – ამ ცხენს,
თან, ყველა მგელს შევაშინებ,
ნახირში რომ მარცხვენს.
რა მგლები და რისი მგლები?
დაფრთხა ცხენი – „თეთრა“,
ლამის, ბესო მოისროლა,
ლამის, – გადათეთქა.
– შენ გეგონა, სხისი ცხენით
გადიფრენდი ხესო?
ყველა ცხენი პატრონსა სცნობს, –
დაიხსომე, ბესო!

მერცხლის სამადლობელი

ეს ამბავი ასე მოხდა:
მერცხალს ჰქონდა კოხტა ბუდე,
სიყვარულით შესცქეროდნენ,
გულში ყველას სითბო უდევს.
ბუდეში კი ოთხი ბარტყი
ჟივჟივებდა და ილხენდა,
ერთმა ბარტყმა კი ზემოდან
ზედმეტად გადმოიხედა.
გადმოვარდა და საწყალი,
ძირს დაეცა, – გამეტებით,
თუმც... არც: ქარიშხალი იყო
და არც: ვინმე, – ბარტყის მტერი.
დევიმ, – ეს რომ დაინახა,
დაუძახა: ლია, ქეთი,
მოდით, ბარტყი ბუდეს ჩავსვათ, –
ვქმნათ სიკეთე, – კიდევ, ერთი!
ახლადდაბუმბლული ბარტყი
საწყალი ხმით ითხოვს შველას:
„კიდევ მინდა დავინახო –
ცა, დედიკო, ცისარტყელა“.
მოიტანეს გრძელი კიბე
და... მოფრინდა თან მერცხალიც
და... ეგონა: შლიდნენ ბუდეს...
ნუთუ, ესო არის ცხადი?!..
მაკამ უთხრა: ჩვენ გვინდა, რომ
დავუბრუნოთ ბარტყი ბუდეს...
პაწია რომ გაიზარდოს,
შეეფაროს, კვლავ, შენს უბეს...
მერცხალმა თქვა: შვილებისთვის
მე, შორს, ჭია-ღუას ვდევდი,
და, მადლობა სიკეთისთვის:
მაკას, ლიას, ქეთის, დევის!

ჯანსაღად

ქორძო წიკლაური ანა კალანდაძესთან ერთად არხოტში

ქორძო წიკლაური – „უჩინარი და უთქმელი პოეტი“, როგორც მწერალმა და კრიტიკოსმა ნიკა აგიაშვილმა შეარქვა მას, 1924 წელს დუშეთის რაიონის სოფელ არხოტში დაიბადა.

ლიტერატურა ბავშვობიდანვე იზიდავდა, ზეპირად იცოდა ხალხური და კლასიკური პოეზია, ასევე „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“.

მეუღლედ პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურის და ეთერი ჰყავდა, ამიტომ ახლოს იყო პოეტის უნიკალურ ბიბლიოთეკასთან. ასევე, ახლო ურთიერთობა ჰქონდა „ჩვენთაობელთა“ მწერალ-პოეტებთან, გურამ რჩეულიშვილთან, თუ ანა კალანდაძესთან, რომლებიც არხოტში ხშირად სტუმრობდნენ.

თვითონ თავმდაბალსა და მოკრძალებულს არასოდეს უყვარდა საჯაროდ თავის წარმოჩენა, გინდა ლექსების

გამომზეურება. სხვების მოსმენა ერჩივნა, ბოლოს კი საკუთარ აზრს ეტყოდა, რაც უტყუარი ბეჭედი იყო.

1960-იან წლებში მთავრობამ ხევსურები მთლიანდ ბარში ჩამოასახლა. ქორძო წითელწყაროს(ამჟამინდელი დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ ჯაფარიძეში დასახლდა, სადაც 1985 წელს გარდაიცვალა.

მისი ლექსები გაზეთ „კოლმეურნეში“ და „ახალ შირაქში“ პერიოდულად ქვეყნდებოდა.

ხორნაბუჯის ციხე

ქარაფს დაგამყნო ქართველმა ხურომ,
უძლებ მას მერე ქარსა და წვიმას.
თუმცა დღეს დგახარ უსამსახუროდ,
მაინც ფხიზლობ და კიდევ არ გძინავს.
გახსოვს, ვით ქუხდა შენი სახელი,
იდექ უტეხად სამშობლოს ბურჯი,
შენზე ამბობდნენ ქართლელ-კახელნი
არ იკარებსო მტერს ხორნაბუჯი.
სპარსელთა ურდო რამდენჯერ მოდგა
შენს კარიბჭესთან ველურ ყიჟინით,
ვერას გაკლებდა მტყორცნელი ლოდთა,
მშვილდის ჭრიალი, ისრის სისინი.
იდექ, უძლებდი წლობით იერიშს,
წარბშეუხრელი, გულგაუტეხი,
ბოლოს გტოვებდა მტერი ცბიერი
ვერა შველოდა ძალა და ხერხი.

10 მაისი 1964 წ.

ფანტაზია

მაგ გასაოცარ სახეს ვიგონებ,
მაგ საოცნებო ჟუჟუნა თვალებს,
დიდ საიდუმლოს ვუმხელ სტრიქონებს,
ვმალე და ბოლოს ვეღარ დავმალე.
ვიწვები ტრფობის ჩუმი სამხილით,
თან ვფიქრობ რაზე, ან რისთვის ვდარდობ,
ფანტასტიური მესმის ძახილი,
მაგ ხმას მე ვცნობ და მე ვისმენ მარტო.
სულ არაფრისგან თვით აგამღერე,
საოცრად ნაზი შთაგბერე სული,
ზღაპრული სახე ყვავილთა ფერებს
მოვტაცე, შეგქმენ ტურფა ასული.
ზღვას ფერი ვთხოვე შენი თვალების,
შენი თმებისთვის მზეს ელვარება,
ვარდს მაგ ბაგეთთვის ვთხოვე ლალები
და ბროლს სითეთრე კბილთა ჯარებად.
ხმა დიდ ბუნების მომღერალს ვთხოვე,
ბულბულს ვეახელ კრძალვით და რიდით,
შენთვის ზღაპრული კაბა მოვქსოვე,
ზედ მოვაბნიე ვარსკვლავი შვიდი.
შენს სუნთქვას მოსდევს თან გაზაფხული,
ყვავილთა ფერის აელვარება,
შეგქმენ ოცნების თეთრი ასული
ამ გულის სევდა და მღელვარება.
ცისა და მიწის სამანთან დგახარ,
არც მოსვენება არ მაქვს, არც ძილი,
ზოგჯერ ჩანხარ და ზოგჯერ არ ჩანხარ
და არც მოკლდება ოდნავ მანძილი.

1951წ.

ხალხური მოტივით

ნეტავ, სად გძინავს, ქალაუ,
ახლა ძილითა ტკბილითა,
მთვარის სხივების დალალით
ბალიშზე ჩამოშლილითა,
იჩრდილებიან თვალები
შენთა წამწამთა ჩრდილითა,
მთვარევ, გორისპირ ნადგომო
შუქითა გადახრილითა,
გარიჟრაჟის წინ მოსულო
ტურფა ცისკარო დილითა,
ჩემი სიცოცხლის დამჭრელო
დანითა გალესილითა.

1951წ.

ღამის სურათი

გულს სიმარტოვის შემოაწვა ჩუმი ნაღველი,
ვდგავარ მწირივით თავდახრილი და უჩუმარი,
მზეს დასავლეთთან გადაუტყდა ბასრი მახვილი,
შემოდის ღამე მოღუშული, მუნჯი სტუმარი.
სადღაც ძაღლი ყეფს, შორს, ფხიზელი ღამის გუშაგი,
მთვარე დაფლეთილ ღრუბლის ზეწარს ეთამაშება,
ისმის წარმტაცი, შორეული, ბულბულის ჰანგი,
უმღერს ბუნებას გატაცებით ქებათა ქებას.

20 მაისი 1964წ.

ქარი

ქარი ღმუილით აასკდება ქედებს,
ღრიალებს, როგორც „შეშლილი ხარი“,
ღონემიხდილი დაიხევს შემდეგ
და კვლავ აღსდგება სავსე მუქარით...
და ამ ჭიდილში რქებდამტვრეული,
უკვე ძლეული ჩადგება ქარი,
სიამოვნების ღმერთად ქცეული
სიოდ ეღვრება ველებს ნარნარით.

13 მარტი 1968წ.

ორი ღრუბელი

ცაზე მიცურავს ორი ღრუბელი,
თეთრი, ფუნჩულა ვით ბელი დათვის,
წინ ზეცის დაფა გაშლილა ვრცელი
და გარბის ბელი მთელი სისწრაფით.
ვით დინოზავრი, მას სხვა ღრუბელი
მისდევს და ცდილობს რომ დაიჭიროს,
ვერ დამეწევი – ეძახის ბელი,
თუ გინდაც მთელი წელი ვირბინოთ.

11 აპრილი 1968წ. (ღამე კარსანში)

ხმაურიანი დილა მთებისა

როს უმაღლეს მწვერვალებს
შემოსავს სხივი მზისა,
როდესაც ააელვარებს
სხივმიუწდომელ ისარს.
გასაოცარი ხმაური
ატკბობს სულსა და სმენას,

როგორც სიმღერა ფშაური
ისმის ფრინველთა სტვენა.
ხან წყალვარდნილი ზრიალებს
და ხან ზარს რეკავს ქარი,
ტყე ფოთლებს შეაშრიალებს,
წყარო ლიკლიკებს წყნარი.
ჯიხვი კლდეს შეეტოტება,
მკერდს შეატოტებს ნიავს.
მაშინ სად არის გოდება,
ან სევდა რასა ჰქვია?!
გული ხალისობს, კისკასობს,
სული ივსება ლხენით,
ასეთი მახსოვს ძვირფასო
მთაო, რიჟრაჟი შენი.

1974წ.

* * *

ლექსი ლამაზ ქალს უნდა მოჰგავდეს,
იყვეს ნაზი და მისებრ ძლიერი,
ხან რაინდივით უნდა ბორგავდეს,
უძლებდეს მტრების მრავალ იერიშს.
მას ვერ ბინდავდეს წელთა მრავლობა,
ჰქონდეს ელფერი მარად ახალი,
გვირგვინად ედგას შთამომავლობას,
სიტყვა სპეტაკი, აზრი მაღალი.

24 მარტი 1964წ.

მწარე მოგონება

რა სენმაც შენი თვალები
დაბინდა ფრთებით შავითა,
იგი მეც გამეთამაშა,
ბრჭყალი გამკრა და წავიდა.

სიყვარულის ექსპრომტი

ო! ხომ მიყვარდი, მიყვარდი გულით,
ამ რამდენიმე წლების წინათა,
სული შენს სულში მქონდა დარგული
და შენი გული მქონდა ბინადა.

1952წ.

ᲞᲐᲠᲬᲛᲐᲜᲘ

მიხეილ შიშკინი

მიხეილ შიშკინი დაიბადა 1961 წელს მოსკოვში. დამთავრებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რომანულ-გერმანული ფაკულტეტი. პროზაიკოსი.

მიღებული აქვს პრემიები: ჟურნალ „ზნამიასი“ საუკეთესო დებიუტისათვის (1993), „გლობუსი“ (1999), „რუსული ბუკერი“ (2000), „ნაციონალური ბესტსელერი“ (2005), „დიდი წიგნი“ (2006), „დიდი წიგნი“ (2011)

1995 წლიდან ცხოვრობს შვეიცარიაში.

მოთხრობა „ნაბოკოვის მელნის ლაქა“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ზნამიას“ 2015 წლის IV ნომერში.

ნაბოკოვის მელნის ლაქა

ყველაფერი ასე დაიწყო.

კლოტენის აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ვიდექი, ხელში ფირფიტა მეკავა წარწერით – კოვალევი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

ჩვენი ბიჭი ჯერ ერთი წლისაც არ იყო. ცოლი სახლში იჯდა და ბავშვს უვლიდა. ყველაფერზე ეკონომიას ვაკეთებდით, მაგრამ შემთხვევიდან შემთხვევამდე გამომუშავებული ფული ბინის ქირასაც არ ყოფნიდა. არადა, ვაჟიშვილისა და მეუღლის დაბადების დღეები ახლოვდებოდა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა საჩუქრების ფული უნდა მეშოვა. უცებ, იღბალი გამომიხტა: ერთი ფირმისგან, საიდანაც სათარგმნად დროდადრო ტექსტებს მიგზავნიდნენ, შეკვეთა მივიღე – ერთ-ერთ კლიენტს აეროპორტში უნდა დავხვედროდი, ჯერ სასტუმროში მიმეყვანა, მერე ბანკში და ბოლოს მონტრეში.

ფულის გარდა, ის ამბავი უფრო მხიბლავდა, რომ ნაბოკოვთან უნდა გავმგზავრებულიყავით. კლიენტმა „მონტრე-პალასში“ სწორედ ის ნომერი დაჯავშნა, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და საკრალურ ადგილას მოხვედრის შანსი გამიჩნდა. დაგვიანებული რეისის მოლოდინში ვოცნებობდი, როგორ მივუჯდებოდი ზუსტად იმ საწერ მაგიდას, გამოვაღებდი უჯრას და დავინახავდი სახელგანთქმულ მელნის ლაქას, რომლის შესახებაც მრავალჯერ წამიკითხავს. ნაბოკოვის მელნის ლაქა! ხელითაც კი შევეხები.

კოვალევი დანახვისთანავე ვიცანი. მან კი, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო. ქვეყნად უამრავი კოვალევია და თავში აზრადაც არ მომივიდოდა, რომ სწორედ ის კოვალევი გამომეცხადებოდა.

დაუძლეველმა სურვილმა მომიარა ფირფიტა ხელში შემეჩეჩებინა, შევბრუნებულიყავი და იქაურობას გავცლოდი.

კოვალევს ცოლი და გოგონა ახლდნენ. გოგონა ხუთი წლის იქნებოდა. მან გამიღიმა და სათამაშო პინგვინი გამომიწოდა, რომელსაც პინგა ერქვა.

უკან გაბრუნების ნაცვლად კოვალევს ხელი ჩამოვართვი და რაც მსგავს დროსაა მიღებული, ყველაფერი თავიდან ბოლომდე ჩამოვარაკრაკე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ციურიხში! როგორ იფრინეთ!“

სასტუმროში წავედით. ისინი ქალაქის ყველაზე ძვირადღირებულ სასტუმროში – „ბორ ო ლაკიში“ დაბინავდნენ.

კოვალევი მანქანაში ერთდროულად ორი ტელეფონით საუბრობდა და რაღაც საჩქარო საკითხებს აგვარებდა. ხანგამოშვებით კი ერთ-ორ სიტყვას მეც გადმომიგდებდა. მისი მსჯელობა, რასაც არ უნდა შეხებოდა იყო უაპელაციო:

– Swissair მთლად დაეცა! რეისმა დაიგვიანა, მომსახურებაც საშინელია.

ან:

– დიდი ამბავი, ალპები. ჩვენთან, ალტაიში, უკეთესი ადგილებია!

ან:

– შვეიცარიელები ასეთი მოწესრიგებულები მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ორასი წელია მათი უკანალისთვის ხელი არავის უხლია.

თანმხლები თარჯიმანი ვიყავი და არ ვეკამათებოდი. საათობრივად მიხდიდნენ.

კოვალევი გამხდარ, ალბინოს ყმაწვილკაცად მახსოვდა. მას კომკავშირული სამკერდე ნიშანი ეკეთა, რომელსაც მის გარდა არავინ ატარებდა. კოვალევი ინსტიტუტიდან გამოსვლისას სამკერდე ნიშანს იხსნიდა. მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა და ის კვლავ ჩემს ცხოვრებაში შემოძვრა – ძვირფას კოსტიუმში გამოწყობილი, ღიპითა და ნაადრევად გამელოტებული თავით.

ჩვენ მოსკოვის ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდით. მე გერმანულ განყოფილებაზე, ის კი ინგლისურზე. ორი კურსით უფროსი იყო. კომკავშირული ფუნქციონერი გახლდათ და ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა სიტყვებს ფაკულტეტისა და საერთო საინსტიტუტო კრებებზე. კოვალევი რექტორატში უყვარდათ, რადგან დაყენებული ხმით, სტუდენტებს, პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს სასიხარულო აღმოჩენასავით გვაცნობდა. ჩვენ კი, ამის გამო, გვეზიზღებოდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ქალაქის რაიკომში, კომკავშირის ხაზით გააგრძელა საქმიანობა. იმთავითვე ცხადი იყო – მისნაირი, ძალიან წინ წავიდოდა.

ახლა სულ სხვა ცხოვრებაა, მაგრამ კოვალევი კვლავ ზედაპირზე აღმოჩნდა, მე კი ფსკერისკენ ვეშვებოდი.

კოვალევს თარჯიმანი არ სჭირდებოდა – სასტუმროში არამკაფიო ინგლისურით საუბრობდა. მერე ბანკში მოლაპარაკებებზე წავიდა და ცოლისა და გოგონას ციურიხში გასეირნება დამავალა. ინსტიტუტელმა თავიდანვე მაგრძნობინა, რომ ფულს მიხდიდა არა როგორც თარჯიმანს, არამედ როგორც ხელზე მოსამსახურეს.

კოვალევის მეუღლეს ირინა ერქვა და ასეთი ცოლი სტატუსით ეკუთვნოდა – ახალგაზრდა, ლამაზი და რასაკვირველია ქერა. ციურიხში გასეირნებაც მათ სტატუსს შეესაბამებოდა – ბანხოფშტრასეს ბუტიკებში ყველაფერი ძვირადღირებული შეიძინა. იანას, პატარა გოგონას მაღაზიებში მოეწყინა და პინგვინებზე საუბრით ვართობდი.

– იცი, – მითხრა გოგონამ, – პინგვინებს შვილები ისე უყვართ, სანამ კვერცხებს ათბობენ, არაფერს ჭამენ.

– ხო, მსგავსი რაღაც ტელევიზორში მეც მომისმენია, – ვუპასუხე, – მგონი, კვერცხებზე მხოლოდ მამები ზიან.

– მართლა? – გაოცდა იანა. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მამის მიმართ სიამაყის გრძნობა გაუღვივა, – რაც არ უნდა მოვისურვო, მამიკო უარს არაფერზე მეუბნება. შემპირდა, პონიზე გასეირნებო.

ირინა ციურიხში ალბათ მრავალჯერ იყო ნამყოფი, რადგან მაღაზიებში მას დავყავდი და ნავაჭრით ხელში განწირულივით უკან მივყვებოდი. მერე კაფეში დავსხედით და ირინამ მიამბო, რომ ყოფილი სპორტსმენია – მხატვრული ტანმოვარჯიშე, რასაც მისი სხეულითაც ადვილად მიხვდებოდი. როგორც ჩანს, ქალს ვიღაცასთან ლაყბობა უნდოდა. იგი მწვრთნელად მუშაობაზე ოცნებობდა, მაგრამ ქმრის სურვილია, რომ შვილთან ერთად სახლში იჯდეს. მერე იმის მოსმენა მომიწია თუ კოვალევი როგორი კარგი მამაა. იანა ისე უყვარს, მისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებს.

ვუყურებდი ირინას და მინდოდა გამეგო, ქმარი ნამდვილად უყვარდა თუ გამორჩენის გამო გაჰყვა ცოლად. თავქარიანი ქერათმიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და ჩანს, კოვალევი მართლა უყვარდა.

– სინამდვილეში, მაღაზიებში სიარული მეჯავრება, – უცებ თქვა ქალმა, – მეგობრებისა და ნათესავებისათვის საჩუქრები მაქვს შესაძენი და ვშიშობ რომელიმე არ გამომრჩეს.

დამშვიდობებისას ანეკდოტიც კი მომიყვა.

– ორი ახალი რუსი ხვდებიან ციურიხში, ბანხოფშტრასეზე. ერთი მეორეს ჰალსტუხს აჩვენებს: „შეხედე! აი, იმ ბუტიკში ორი ათას ფრანკად ვიყიდე!“ მეორე ეუბნება: „ნამდვილი სახედარი ხარ! ზუსტად ასეთი, აი, იმ ბუტიკში ვნახე, სამი ათასი ფრანკი ღირდა!“

ირინამ წკრიალა ხმით გაიცინა. რატომღაც, ყველა ჩემი კლიენტი, რომელთა მეგზურობამაც ციურიხში მომიწია, ყოველთვის ამ ანეკდოტს მიყვებოდა.

პინგამ ფრთა თუ ფარფლი დამიქნია და ერთმანეთს დილამდე დავცილდით – მეორე დილით, მათთან ერთად მონტრეში უნდა წავსულიყავი.

ღამით ჩვენს ბიჭუნას გვიანობამდე არ ჩაეძინა, ტიროდა, სიცხემაც აუწია. ცოლი იავნანას უმღეროდა:

Schlaf, Chindli, schlaf
De Vater húetet d Schaaf
D Mueter schútlet s Boimeli
Da falled abe Troimeli
Schlaf, Chindli, schlaf.

ამ სიმღერაში, თუ ტოტებს შეარხევ, ხიდან სიზმრები ჩამოცვივდება.

ვერაფრით ჩავიძინე. ვუსმენდი მეუღლის იავნანას და ბიჭუნას სრუტუნს. ჩემი უძვირფასესი ადამიანებისთვის ძალიან მესაჭიროებოდა სამუშაო და ფული, რომელიც არ

მქონდა, რადგან მუდმივ, კარგ სამუშაოს ვერ ვშოულობდი. მხოლოდ შემთხვევითი შემოსავლებით ვარჩენდი ოჯახს. ვეჭვობდი, ჩემს მალულად მეუღლე მშობლებისგან ფულს იღებდა და მრცხვენოდა.

ბიჭი დამშვიდდა, ცოლი დაწვა და ჩამეხუტა. თვალის მოხუჭვა ვერ შევძელი. მან მითხრა:

– ვგრძნობ, რაღაც გტანჯავს! მითხარი საყვარელო! ჩვენ ხომ ერთნი ვართ!

კოვალევზე მოვუყევი, რომ მრავალი წლის წინ ის იყო ლაქია და მე ის მეზიზღებოდა.

– სადმე რომ შევხვედროდი ხელსაც არ ჩამოვართმევდი. ის ჩამოვიდა, ბლომად ფული აქვს და მე მისი ლაქია ვარ.

– არა, ლაქია არა ხარ. ნებისმიერი სამუშაო შეიძლება ღირსეულად შეასრულო.

– ფული ყველგან ყარს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სუნი ასდის. ცოტა ფულს სიღარიბე მოაქვს, ბლომად ფულს კი...

ცოლმა პირზე ხელი ამაფარა.

– საყვარელო! ყველაფერი მესმის. მაგ სამუშაოზე უარი თქვი. ახლა კი დაიძინე, გვიანია.

კოვალევზე კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა. საიდან აქვს კოვალევს ეს ყველაფერი? ფული ტომრებით ჩამოაქვს, მე კი ხელზე მოსამსახურის პატიოსანი შრომით უნდა ავიღო მისი აყროლებული ფული. თანაც, ეს სიამაყით უნდა გავაკეთო.

აღარაფერი მითქვამს. ბიჭმა გაიღვიძა და ატირდა.

მომდევნო დღეს კლიენტებთან ერთად მონტრეში გავემგზავრე.

გზაში კოვალევი კვლავ თავის აზრებს მიზიარებდა.

– ავტობანზე რადარები დადგით, ახლა კი გეშინიათ. თქვენ არ ცხოვრობთ, მხოლოდ გეშინიათ! შიშისგან ცახცახებთ და თქვენს ნება-სურვილზე ვერ ნავარდობთ. ცხოვრების გეშინიათ და ცახცახებთ.

ან:

– შვეიცარიას ჯარი რად უნდა? რა ჯდება, ალპებს საკუთარი სიამოვნებისთვის თვითმფრინავით რომ გადაუფრინო? სიმსუქნისგან ცოფდებით!

ან:

– აი, ნაბოკოვი, გენიალურია! ახლანდელები კი – ყველა განავალია!

ძველი ნაცნობის ნაბოკოვისადმი ასეთ სიყვარულს ვერაფრით ვუკავშირებდი მის კომკავშირულ წარსულსა და ამჟამინდელ ბიზნეს საქმიანობას. კითხვის დასმა ვერაფრით გადამეწყვიტა. არადა, რა სულელური შეკითხვაა – ადამიანი რატომაა მოხიბლული და აღტაცებული ნაბოკოვით?

ახალგაზრდობაში ნაბოკოვს მალულად ვკითხულობდით და თავს ბარბაროსთა სექტისგან დევნილებად ვთვლიდით. მისი წიგნები კი ჩვენი იდუმალი სიმდიდრე იყო. მაშინ ნაბოკოვზე საზღვარი გადიოდა: ჩვენიანები – უცხოები. კოვალევი უცხო იყო. ახლა კი მას მონტრეში მივყავდი. საკვირველია...

გოგონა მანქანაში ცუდად გახდა და იძულებული გავხდით რამდენჯერმე გავჩერებულიყავით. კოვალევი უკანა სავარძელზე გოგონასთან გადაჯდა და ათასგვარი ისტორიების მოყოლით მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაჰქონდა. იგი თხზავდა ზღაპრებს, სადაც მთავარი გმირი მუდამ იანა იყო, რომელიც ხან ბანდიტებს უვარდებოდა ხელში, ხან ურჩხულებს და ზღაპრული იანა მათთან ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. გოგონა მამას ყურადღებით და სერიოზული გამომეტყველებით უსმენდა.

თებერვალი იდგა, მოსკოვში ისევ ქარბუქი მძვინვარებდა, მონტრეში კი უკვე გაზაფხული იდგა. მზე ციდანაც აცხუნებდა და სარკისებური ტბიდანაც. თოლიები იქაურობას ახალისებდნენ. სახელგანთქმული სანაპირო, ჯერ კიდევ არ იყო გადაშავებული მუსულმანური ჩალმებით – იქ მოვლილი დედაბრები დასეირნობდნენ ბეწვეულითა და მზის სათვალეებით. კოვალევმა ქურთუკი შეიხსნა და სავოიის ალპებისკენ თვალმოჭუტულმა გაიხედა, რომელნიც ლემანის ტბიდან ამოიზარდნენ.

– ყველაფერი ზუსტად ასე მქონდა წარმოდგენილი! – თქვა კოვალევმა.

ცოლ-შილთან ერთად ყოველ კუთხეში ფოტოსურათი უნდა გადამეღო.

„მონტე-პალასში“, რეგისტრაციისას, დახლს მიღმა მდგარ გოგონას კოვალევმა უნდობლად გამოჰკითხა, მართლა ის ნომერი მისცეს, რომელშიც ნაბოკოვი ცხოვრობდა? დადებითმა პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და ამის შესახებ წვერიან შვეიცარსაც ჰკითხა, რომელიც ჩემოდნებს მიაგორებდა. მანაც დაარწმუნა, რომ ყოველივე სიმართლეს შეესაბამებოდა. შვეიცარი წარმოშობით სერბი გამოდგა. ცოტა ხნის წინ ამერიკელები ბელგრადს ბომბავდნენ და სერბმა რუსული ლაპარაკი რომ გაიგო, რადგან რუსეთი მათ უჭერდა მხარს, მადლიერების ნიშნად გასამრჯელოზე უარი თქვა. კოვალევმა მაშინვე ორჯერ მეტი ფული გადაუხადა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ნაბოკოვის ოთახით კოვალევი იმედგაცრუებული დარჩა. ავუხსენი, რომ ვერას სიკვდილის შემდეგ იქ ყველაფერი გადააკეთეს და მწერლის სავანე ცალკეულ ნომრებად დაანაწილეს. იგი აღაშფოთა დაბალმა ჭერმა, ვიწრო ფანჯრებმა და პაწაწინა აივანმა.

– აქ როგორ ცხოვრობდა?

ოთახის კედლებზე ნაბოკოვის ძველი ფოტოსურათები ეკიდა და კოვალევს ზუსტად ასეთი სურათების გადაღება მოუნდა. მან ტელეფონით მოითხოვა, რომ ნომერში ჭადრაკის დაფა მიეტანათ და ირინასთან ერთად, აივანზე მდგარ მაგიდასთან, ისევე მოეწყო, როგორც ნაბოკოვი თავის ვერასთან. რაც შეიძლება ბევრი დუბლის გადაღება მევალებოდა.

კოვალევმა სურათის გადაღება ნაბოკოვის საწერ მაგიდასთან მომთხოვა. შვებით გავიფიქრე: რა კარგია, რომ ნაბოკოვი ცოცხალი აღარაა.

როდესაც კოვალევი ცოლთან ერთად კვლავ აივანზე გავიდა, საწერი მაგიდის სანუკვარი უჯრა გამოვაღე. მელნის ლაქა, რომლის დანახვაზეც ამდენი წელია ვოცნებობდი, ადგილზე დამხვდა. ლაქას თითით შევეხე. ჯერ კიდევ განუცდელის განცდისგან ხელი იანამ შემიშალა, მოირბინა და უჯრაში ჩაიხედა.

– რა არის, დამანახე!

– აი, შეხედე, – ვთქვი მე, – მელნის ლაქა.

გოგონა გაოცდა და აშკარად იმედგაცრუებული დარჩა.

– ლაქა...

კოვალევმა განაცხადა, რომ ეს ნომერი ძალიან პატარაა და ისინი სხვა, უზარმაზარ ნომერში გადავიდნენ.

ორი დღით სადგურთან მდებარე სასტუმროში დამაბინავეს.

მონტრეში, ჩემთვის უპირველეს საქმედ პონის მოძიება იქცა. კოვალევი ცოლთან ერთად სასტუმროს ნომერში დარჩა, მე და იანა კი სასეირნოდ წავედით. ცხენი მოწყენილი იყო და შარდისა და ოფლის სუნად ყარდა. იანა რატომღაც შემეჩვია, ჩემთან განშორება არ უნდოდა და კოვალევებმა სავახშმოდ მიმიწვიეს. კოვალევი ლემანის სილამაზით, შვეიცარიის სისუფთავითა და წესრიგით ხან აღტაცებული იყო, ხანაც უკმაყოფილებას ვერ ფარავდა: სასტუმროს საუნა არასაკმარისად ხურდება, შესასვლელში დაცვა არ დგას – ვისაც არ ეზარება ყველა შემოდის, რაც მთავარია – ყოველ ნაბიჯზე რუსს გადაეყრები! რატომღაც, ყველაზე მეტად თანამემამულეთა სიმრავლე აღიზიანებდა.

განვცვიფრდი, ირინა მეუღლეს შეყვარებული თვალებით შესცქეროდა. სხვის დასანახად ამას ვერ გააკეთებ...

ევა ბრაუნის კომპლექსი. როგორ შეუძლიათ ქალებს გულწრფელად უყვარდეთ დამნაშავეები, არამზადები და უხამსები? ამიხსნის ვინმე?

დესერტზე კოვალევმა განაცხადა:

– აქ როგორ ცხოვრობთ? აქ ნაღველია! კი არ ცხოვრობთ, ძმარდებით!

ვახშმის ფულს კოვალევი იხდიდა და ყველაფერში ვეთანხმებოდი.

– აქ, დასავლეთში, – კოვალევმა აზრების ამოფრქვევა დაიწყო, – ადამიანები ხელმომჭირნეობის გამო არიან გახარბებულები, ყველაფერს ხვალინდელი დღისთვის ინახავენ. ჩვენთან, რუსეთში კი ადამიანები დაბადებიდანვე ხარბები არიან. რადგან, თუ ცხოვრებისგან რაიმეს მაშინვე არ აიღებ, ხვალ შესაძლოა ასაღები აღარაფერი იყოს.

ის ყველაფერს ხარბად აკეთებდა – ხარბად ჭამდა, ხარბად იცინოდა, ნესტოებით ხარბად ისუნთქავდა ტბიდან მონაბერ ჰაერს. ფოტოსაც კი ხარბად იღებდა, ყველაფერი ეცოტავებოდა.

კოვალევს, ყველაზე უფრო, იანასთან სიამოვნებდა სურათის გადაღება. ის გოგონას ბაჭიას ეძახდა. ეს ჩემთვის არასასიამოვნო იყო, რადგან ასე ჩვენს ბიჭუნას ვეძახდით.

ღამით, სადგურთან მდებარე სასტუმროს საწოლში ვბუზღუნებდი და საკუთარი თავისადმი ზიზღის გამო ჩაძინებას ვერ ვახერხებდი. ნუთუ, მართლა მისი მშურს? რატომ შეუძლია კოვალევს ნაბოკოვის ნომერში ცხოვრება – მე კი არა. ნაბოკოვი მე მიყვარს, ოდესღაც ხომ მისმა წიგნებმა მიხსნეს. სულ მეჩვენებოდა, თუ იმ სანუკვარ მელნის ლაქას შევეხებოდი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, ძალიან იდუმალს გავიგებდი. აი, ახლა შევეხე და გავიგე რამე?

ვიწექი, იშვიათად ჩავლილი მატარებლების დაგადუგს ვუსმენდი და თავში კვლავ უნამუსო აზრები მომდიოდა. კოვალევი თავის ცოლ-შვილს ანებივრებს, მე კი ამ თავმომწონე ტიპს ხელის მოსამსახურედ მხოლოდ იმისთვის დავუდექი, რომ ჩემი ბიჭისა და ცოლის საჩუქრებისთვის ფული გადამიხადოს. რას წარმოადგენს კოვალევი? ნებისმიერ ჟამს, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს უნამუსობის საარსებო მინიმუმი. თუკი ცხოვრებაში რაღაცის მიღწევა გსურს, თავს ამ მინიმუმით ვერ შემოიზღუდავ. რანაირად, რა საძაგლობებით შეძლო ამდენი ფულის შოვნა? ხვალ დილით, რასაც მასზე ვფიქრობ, ყველაფერს პირში მივახლი, კარს გამოვიხურავ და წავალ. მხოლოდ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ჩამეძინა.

დილით კი კოვალევები შილონის ციხე-სიმაგრეში ექსკურსიაზე წავიყვანე და ვიყავი ალერსიანი, სიტყვაუხვი და თავაზიანი. ჩემი „რუსული შვეიცარიისათვის“ მაშინ მასალებს ვაგროვებდი. ალბათ, ცუდი თარჯიმანი არ ვიყავი – ვყვებოდი შილონში მდებარე საუკუნოვან რუსულ ძველმანების ბაზრობაზე და უხვად ვაფრქვევდი თავშესაქცევ ამბებს.

საკუთარი თავი მეზიზღებოდა, მაგრამ ვიცოდი ამას რისთვისაც ვაკეთებდი.

გუშინ ჩვენ შორის გულწრფელი საუბარი შედგა.

ირინამ გოგონა დასაძინებლად წაიყვანა. ჩვენ კი სასტუმროს ბარში ვისხედით და კოვალევმა ყველაზე ძვირადღირებული კონიაკი მოითხოვა. მხოლოდ მოსაუბრედ არ ვუნდოდი, უფრო მოწმე სჭირდებოდა იმის დასანახად, თუ როგორ დაუდევრად შეუკვეთავდა ბოთლ კონიაკს, რომლის ღირებულებაც შვეიცარიის სუპერმარკეტის მოლარის ერთი თვის ხელფასს უდრიდა.

კონიაკი დავლიეთ, მართლაც შესანიშნავი იყო. გამახსენდა „მონტე-პალასში“ როგორ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს ნაბოკოვი და სოლჟენიცინი. თავშესაქცევი ამბავია. შეხვედრის შესახებ ისინი წერილობით შეთანხმდნენ. ნაბოკოვმა დღიურში ჩაწერა: „6 ოქტომბერი, 11:00 სოლჟენიცინი მეუღლესთან ერთად“. როგორც ჩანს, სოლჟენიცინი საპასუხო დადასტურებას უცდიდა. ის მეუღლესთან – ნატალიასთან ერთად მონტრეში ჩავიდა, სასტუმროს მიუახლოვდა და გადაწყვიტა გზა გაეგრძელებინა. ფიქრობდა, რომ ნაბოკოვი ან ავად იყო, ან რაღაც მიზეზის გამო მათი ნახვა არ ისურვა. არადა, ნაბოკოვები მთელი საათი სტუმრების მოლოდინში ისხდნენ – რესტორანში ლანჩი შეუკვეთეს და ვერ გაეგოთ სტუმრების მოუსვლელობის მიზეზი. ისინი ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედრიან.

კოვალევმა მხრები აიწურა. როგორც ჩანს, ეს ამბავი თავშესაქცევად არ ეჩვენა.

მერე კიდევ დავლიეთ და უცებ მან ჩაიცინა:

– შენი სახე თავიდანვე მეცნო, მხოლოდ ვერაფრით ვიხსენებ სად შევხვდით და რისთვის. ჩვენი გზები სადმე ხომ არ გადაკვეთილა?

დავარწმუნე, რომ არასოდეს გადაკვეთილა.

ირინამ დარეკა და თქვა, რომ იანასთან ერთად ნომერში დარჩებოდა.

კოვალევმა გამომკითხა თუ როგორ მოვხვდი შვეიცარიაში, მკითხა ჩემს შვეიცარიელ მეუღლეზეც.

– არ მოგწყინდა ამ ყვავილებსა და შოკოლადებში?

ის ჩემზე სწრაფად და ბევრს სვამდა და სწრაფადაც დათვრა. მოულოდნელად მომიყვა, თუ რა ანჩხლი ქალი იყო მისი პირველი ცოლი და რა ბედნიერად იგრძნო თავი როდესაც გაეყარა.

– გამოვედი სასამართლოდან და ვგრძნობ, დავფრინავ! დავიფიცე, აღარასოდეს დავქორწინდებოდი. ხუთი წლის შემდეგ ირინა გამოჩნდა. ჩემი ირინა გიჟივით მიყ-

ვარს! როგორ შეიძლება ასეთი ანგელოზი არ გიყვარდეს! მითხარი, მის ტანს შეავლე თვალი? მითხარი!

საზიზღარი ჩვევა ჰქონდა – მოსაუბრეს ხელს ხან მუხლებზე უტყაპუნებდა და ხანაც მხრებზე.

– ჩემი იანა ისე მიყვარს მისთვის შეუძლებელს შევძლებ! გჯერა?

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევდი, რაც მისთვის საკმარისი იყო.

ჩვენ დიდხანს ვისხედით, ყოველ შემთხვევაში ერთმა ბოთლმა არ დააკმაყოფილა და თავისთვის კონიაკს სირჩით უკვეთავდა.

კოვალევი საკუთარ ბიზნესზე გაუგებრად საუბრობდა. იმ არამზადებზე, რომელთანაც საქმის დაჭერა უწევდა, რომ მისთვის საზიზღარი და ჭუჭყიანი საქმით იყო დაკავებული, რომ ამას მხოლოდ ირინასა და იანასათვის აკეთებდა.

– გესმის, – ისე ყვიროდა, რომ ბარში ყველა ჩვენკენ შემობრუნდა, – ჩემთვის იანაზე ძვირფასი ქვეყნად არაფერია! მისთვის ნებისმიერს მოვკლავ! აბა, ერთი გაბედონ და თითით შეეხონ! მისი გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი ვარ! უკანასკნელ არამზადად ვიქცევი! განავალს შევჭამ! ამას მხოლოდ მისთვის გავაკეთებ – ბაჭიასთვის!

მერე, ნდობით აღსავსე კილოთი ყურში მითხრა, რომ თუკი მას რამე შეემთხვევა, მეუღლისა და გოგონას მომავალი კეთილდღეობა შვეიცარიაში აქვს უზრუნველყოფილი.

– უამრავი რამ ხდება, – ამიხსნა მან, – ნებისმიერი რამ შეიძლება შემემთხვას, ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ იანა აქ გაიზარდოს, ყვავილებსა და შოკოლადებს შორის.

უგონოდ მთვრალი გამომიტყდა, რომ მისი მოკვლა უნდათ.

– ჩემი მკვლელობა შეკვეთილია! მე ეს ვიცი! ისიც ვიცი ვინც შეუკვეთა!

მეჩვენებოდა კარგად აღარ ესმოდა სად იმყოფებოდა და ვის ელაპარაკებოდა. მხოლოდ ღრიალებდა:

– ასე უბრალოდ არ დავნებდები! სიცოცხლეს კბილებით ჩავეჭიდები, გაიგე?! კბილებით!

ბარიდან გასაგრილებლად ქუჩაში გავედით და ტბისკენ დავეშვით.

სანაპიროზე ვიდექით, ნისლში მთები არ ჩანდნენ და მეჩვენებოდა, რომ ზღვის პირას ვიდექით.

კოვალევი ღამის ლემანის გასაგონად ღრიალებდა:

– შეუკვეთეს?! ვისზე, ჩემზე?! ნებისმიერს გავასაღებ!

საბანაოდაც გაიწია. მის დარწმუნებას ვცდილობდი, რომ ტბაში ხვალაც იბანავებდა.

კოვალევი პასუხად ბღაოდა:

– ტბა, შესაძლოა ხვალ აღარ იყოს!

გამეცინა:

– არსად გაქრება!

ხელი ჩაიქნია:

– არაფერი გესმის! – თქვა და სასტუმროსკენ ბანცალ-ბანცალით წავიდა.

ერთხანს სანაპიროზე დავეხეტებოდი. ვგრძნობდი მთვრალი ვიყავი და ხმამაღლა ვლაყბობდი. დაგვიანებული გამვლელები ჩემსკენ ტრიალდებოდნენ. საკუთარ თავს ვეუბნებოდი:

– რამე რომ შეგემთხვას? მას თავისი ცოლი და გოგონა უზრუნველყოფილი ჰყავს, შენ – არა. ის გეზიზღება, მაგრამ რითი ხარ მასზე უკეთესი?

და უცებ ძალიან მწვავედ ვიგრძენი, რომ ხვალ შესაძლოა ტბა მართლაც აღარ დამხვედროდა.

მეორე დღეს, დილით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. „მონტე-პალასში“ ნასაუზმევს მივედი. კოვალევი მოთენთილი იყო და ჩაწითლებული, ამღვრეული თვალებით იყურებოდა და მძიმე, არასასიამოვნო მზერით შემომხედა.

– შესაძლოა, გუშინ ზედმეტი რაღაცები წამოვროშე. დაივიწყე! გასაგებია?

თავი დავუქნიე.

კოვალევისგან მიღებული ანაზღაურება მეფური, გათვალისწინებულზე ბევრად მეტი იყო. კარგ კინოფილმში მისთვის ფული მაგიდაზე უნდა დამეყარა და ამაყად გავცლოდი, მაგრამ ჩვენ კინოგადაღებაზე არ ვყოფილვართ.

ირინას თითქმის მეგობრულად დავემშვიდობე, იანა კისერზე ჩამომეკიდა და ძირს დაშვება არ უნდოდა.

მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ.

დაბადების დღეს ჩემი მეუღლე საჩუქრებიან კოლოფებს ხსნიდა, ძალიან მსიამოვნებდა მისი ბედნიერი სიცილის გაგონება და საწოლში მწოლი ჩვენი ბიჭუნას ღიმილი.

მთავარია, რომ ქვეყნად შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები არსებობდნენ, სხვა ყველაფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ორიოდე თვის შემდეგ, დილით, ჩვეულებისამებრ კომპიუტერს მივუჯექი და სიახლეებში ნაცნობ გვარს გადავაწყდი. იუწყებოდნენ, რომ ცნობილი ბანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – კოვალევი ქუჩაში, საკუთარი სახლის წინ იარაღიდან გასროლით მოკლეს. ეს იმ დროის ჩვეულებრივი მოსკოვური სიახლე იყო. შევამოწმე, მისი ფოტო გამოხტა.

ქილერი სადარბაზოსთან ელოდა და თავში საკონტროლო ტყვიაც დაახალა – ეს მეზობლებმა ფანჯრიდან დაინახეს.

არ ვიცი მის მეუღლესა და ქალიშვილს რა შეემთხვათ. ამდენი წელი გავიდა. იანა, უკვე დიდი გოგო იქნება. საინტერესოა, რას აკეთებს ახლა? როგორ აეწყო მისი ცხოვრება მამის მკვლელობის შემდეგ? ის ხომ სადღაც აქ, შვეიცარიაში გაიზარდა.

იანა, ეგებ ახლა ამ სტრიქონებს კითხულობ? რა არ ხდება ცხოვრებაში...

საინტერესოა, რა შემოგრჩა მეხსიერებაში ჩვენი მოგზაურობიდან? იქნებ პონის გარდა ყველაფერი წაიშალა? როგორ არის პინგა? მეეჭვება, კიდევ შენთან იყოს.

და რა გახსოვს მამაზე?

ის, ალბათ, თავად გიამბობდა ჩვენს ინსტიტუტზე და სხვა ამბებზე. რატომ შეუკვეთეს მისი მკვლელობა? ეგებ, არც არაფერი მოუყოლია?

იცი, მთავარია რომ არსებობდა ადამიანი, რომლისთვისაც შენ სამყაროში ყველაზე ძვირფას არსებას წარმოადგენდი. დანარჩენი კი უმნიშვნელოა.

და კიდევ, მითხარი, გახსოვს ის მელნის ლაქა?

თარგმნა აკაკი დაუშვილმა

რუსთაველი-850

მოეგეხსენებათ, 2016 წელი რუსთაველის საუბილეო 850-ე წელია. ჩვენს ქვეყნაშიც და საზღვარგარეთაც ამას არაერთი ღონისძიება მიეძღვნა(თუმცა არა იმ მასშტაბით რაც დიდ შოთას ეკადრებოდა). მსგავსი შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 20 დეკემბერს თელავის გურამ რჩეულიშვილის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში. შეხვედრა გახსნა მისმა ორგანიზატორმა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა – ცისანა თვალიაშვილმა. მომზადებული თემა წარმოადგინა ქალბატონმა ნინო ლაჩაშვილმა. ასევე, საინტერესოდ ისაუბრა ქალბატონმა ლია ნადირაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“ არსებულ პარალელებს. სწორედ ამ თემას ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

ლია ნადირაშვილი

ანალოგიური და იდენტური თანხვედრა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ შუა საუკუნეებიდანვე იქცა ქართველი ერის სულიერ მესაჭედ და ზნეობრივ გზამკვლევად. პოემის სულისკვეთებითა და იდეოლოგიით საზრდოობდა და საზრდოობს ქართული კლასიკური მწერლობა. ბევრი გამორჩეული ქართველი ავტორის შემოქმედებაში მეორდება „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ თუ ირიბად გაცხადებული სათქმელი. კონსტანტინე გამსახურდია რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ ბოლოსიტყვაობაში წერს: „ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი...“ ამით მწერალმა ხაზგასმით გამოკვეთა მოწიწებული პატივისცემა გენიოსი წინაპრისადმი და ცალსახად მიგვანიშნა, რომ ქართული ლიტერატურული ხომლის სათავეში საპატიო ადგილი შოთა რუსთაველს უკავია. ამის შემდეგ არც გაგვიკვირდება იმ ანალოგიებისა და პერიფრაზების პარალელების არსებობა, ამ ორ ლიტერატურულ ძეგლს („ვეფხისტყაოსანი“ და „დიდოსტატის მარჯვენა“) შორის რომ დასტურდება.

ორივე ვრცელი თხზულებაა, მრავალი პერსონაჟითა და რთული(ზოგჯერ – გამოუვალი) მოვლენებით აღსავსე. ორივე თხზულების დასაწყისში ვეცნობით პროლოგს, ხოლო ფინალში – ეპილოგს. საინტერესოა ორივე ტექსტის პროლოგებისა და ეპილოგების არა მხოლოდ ფორმალური, არამედ, არამედ იდეური თანხვედრა. „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგის მიხედვით ავტორი გაკვრით ახსენებს ტარიელს, ხოლო ვრცლად და დამაჯერებლად საუბრობს სხვა საკითხებთან (პირებთან) მიმართებით. ანალოგიური ტენდენციითაა წარმოდგენილი რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ პროლოგიც; ავტორი გაკვრით ახსენებს ამ ეპიკური ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირებს, ხოლო ვრცლად სხვა საკითხებთან მიმართებით საუბრობს. „ვეფხისტყაოსანის“ პროლოგი იწყება სიტყვა-ქარაგმით „რომელმან“ და მასში ღმერთი იგულისხმება. უფლის არსის დასტურია „დიდოსტატის მარჯვენის“ პროლოგში გაჟღერებული პოზიციაც როგორც ავტორის, ასევე მისი ყოფილი მასწავლებლის – მოხუცი ექვთიმესი. „ვეფხისტყაოსანის“ ეპილოგი გაკვრით ეხება პოემით გადმოცემულ ამბავს:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ
სიმუხთლე ჟამისა!“

ანალოგიურ მიდგომას ვაწყდებით „დიდოსტატის მარჯვენის“ ეპილოგშიც, რომელშიც ასევე გაკვრით (ირიბად) გადმოგვცა ავტორმა რომანში ასახული ტრაგიკული ამბის გაგრძელება და დასასრული: „ჩემს სიყრმეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც აგრე ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედაო გაქვავებული.

მადლიან ფხოველ დიაცს მიაგავს ეს ლოდი მართლაც. შარშანაც ვნახე ძველ სასაფლაოზე, მცხეთაში.“

მკითხველი თუ დაუკვირდება, ორივეე თხზულების მაგისტრალური ღერძი უმშვენიერეს ქალსა და მისადმი ტრფიალს, ამ ულამაზეს ქალზე შეყვარებულ რაინდთა სულიერ მოძრაობას ეფუძნება, თუმცა მათი(პოემისა და რომანის) მთავარი სათქმელი ეს არაა. დასახელებული ვითარება მხოლოდ ფონია, რათა სათქმელი უფრო სრულყოფილად აღვიქვათ: „ვეფხისტყაოსანის“ მიხედვით პოემის მთავარი სათქმელი ეფუძნება კაცთა შორის ღვთიური სიყვარულის აუცილებლობას, რაც სათავეს იღებს ზნეობრივი სენტენციიდან – „წუხილი სხვისა ურვასა ზედა“; ხოლო „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით გამორჩეულია თემატურ-იდეოლოგიური პოზიცია – „დიდხანს ერკინებოდა მამალი ხოხობი ღამეს“, რაც ცხა-

დყოფს სააქაოში ადამიანის დაბადების მისიას.

დასახელებული თხზულებების მიხედვით ორივე ქალ პერსონაჟს – ნესტანს და შორენას – ყველა ჯერზე არასასურველ და იძულებით ქორწინებაზე თანხმობას სთხოვენ, რაც უამური ქორწინების მიღმა ალეგორიულად გვამცნობს კეთილსა და ბოროტის შერწყმის სავალალო შედეგს(„ვეფხისტყაოსანში“ – ნესტანი და ხვარაზმელი უფლისწული; ნესტანი და მელიქ-სურხავის ვაჟი; ნესტანი და როსანი. „დიდოსტატის მარჯვენაში“ – შორენა და ჭიაბერი; შორენა და გირშელი; შორენა და ოსთა მეფის უმცროსი ვაჟი, ვარაზი; შორენა და მეფე გიორგი). დასახელებული პრობლემა რუსთაველის მონუმენტურ თხზულებაში უფრო თვალში საცემია, რამეთუ იგია რეალური საფუძველი გამსახურდიასეული ვერსიისა. არ შეიძლება, შემთხვევითი იყოს ის ფაქტიც, რომ ორივე ტექსტში დასტურდება ნესტანისა და შორენას საოცარი მსგავსება ავაზასთან. „ვეფხისტყაოსანი“: „ქვე წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხვი პირგამეხებული“... „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“... „დიდოსტატის მარჯვენა“ – „რაღაც საერთო ჰქონდათ ამ ავაზასა და ამ ქალს“. დასახელებულ ნაწარმოებთა მოქმედი გმირი ქალების მსგავსება-გაიგივება ავაზასთან ხაზს უსვამს არა მარტო მათს ვიზუალურ მომხიბვლელობას, არამედ – მათსავე მეამბოხე ბუნებას, პიროვნული დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვას, აბსოლუტური თავისუფლების მოპოვებას, დაბრუნებას იმ ლაღი ცხოვრებისა, რომელიც მათთვის(ორივე ქალი პერსონაჟისთვის) მშობლიური წიაღი იყო.

ქაჯეთის ციხე, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედევით, ბოროტების სიმბოლოა ისევე, როგორც ქორსატეველას ციხე, „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით. ორივე სიმაგრის აღება ბოროტების დამარცხების ტოლფასია. პირველ შემთხვევაში სიკეთე და სიწმინდე (სუბსტანცია) თავისუფლდება დისსუბსტანციური გავლენისაგან: კეთილს უნდა მიემატოს მოკლებული სიკეთე, რომ სავსე სიკეთით წარუდგეს კაცობრიობას; ხოლო მეორე შემთხვევაში შეურაცყოფილი მანდილოსნის ღირსება უნდა აღდგეს, ქალი სამარცხვინო მდგომარეობიდან უნდა განთავისუფლდეს. აქვე ყურადღებას ვამახვილებ იმაზეც, რომ, როგორც ქაჯეთის აღებას დასჭირდა კონსოლიდაციური ძალა, ქორსატეველას აღებასაც მეფის ლაშქარი, ზვიად სპასალარი და გირშელის თაოსნობით შავშელები და ჯავახელები ცდილობდნენ.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხეედვით დავარი უსასრულოდ ბოროტი ძალაა. იგი გამუდმებით ცდილობს, სუბსტანციას სიკეთის (უფლის ნების) რაღაც ნაწილი მოჰპაროს ან წაჰგლიჯოს, რომ მიზანს მიაღწიოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სიკეთის ალაგმვის ფონზე ბოროტება გაამეფოს. ამის დასტურად ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, თუ როგორ ახასიათებენ დავარს პოემის პერსონაჟები:

„იგი ქალი პატარაი(იგულისხმება ნესტანი) მამიდასა გაეზარდა,
ბუქთა მისგან მონაქროლთა ინდოეთი გარდაქარდა.
მამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულობა იცის კარგა,
მით შემართა საშინელი, მზე ხმელეთსა დაუკარგა;
თვითცა მოკვდა უბედური, მართ საცოცხლოდ არად ვარგა;
იგი ქალი ქაჯთა მისცა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა.“

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ „ალვა მორჩი“ ქრისტეს მეტაფორაა, ვრწმუნდებით, რომ ნესტანი სიკეთის (სიყვარულის, ჰუმანიზმის, სრულყოფილი ჰარმონიის) სუბსტანციური სახეა, მასთან დაპირისპირებული ძალა კი ბოროტებას ემსახურება. პოემის მიხედვით ეს ბრძოლა ცხოვრებისეული, ყოფითი მოვლენაა, ალეგორიულად კი – მრავლის მომცველი, გლობალური და უმნიშვნელოვანესი. ამ ფაქტზე დაყრდნობით, „დიდოსტატის მარჯვენაში“ ჩვენს ყურადღებას იქცევს გურუნდუხტი, შორენას დედა, რომელიც ისევე სასტიკად უპირისპირდება შვილის არჩევანსა და განწყობას, როგორც დავარი – ნესტანისას. ნესტანი და შორენაც სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ უარს (პროტესტს) შეთავაზებულ უამურ ქორწინებაზე (აქვე დავძენ, რომ ქორწინება, უბრალოდ, ამქვეყნიური კავშირი კი არაა ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ ღვთივკურთხეული ურთიერთობა, რომელსაც უზენაესი არსი, ღმერთი, ლოცავს, რასაც ადასტურებს წმინდა მამათა ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მინდა გამოვყო პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთელთა მიმართ), რაც ხაზგასმით მიუთითებს ამ მოქმედი გმირების სულიერ მდგომარეობასა და ზნეობრივ-მორალურ ინდივიდუალიზმზე; ხოლო ამ ინდივიდუალიზმისა და დაუმორჩილებლობის მიმართ და დავარისა და გურუნდუხტის ქმედებათა მსგავსება(არა მხოლოდ სისასტიკე, არამედ – შინაარსიც) თვალში საცემია ტექსტების მიხედვით.

„ვეფხისტყაოსანი“:

„როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?
...
აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰხვდე, ვის ესე დააშლევინე?
ხელი მიჰყო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,
დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა.
...
რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დალურჯებითა...“

„დიდოსტატის მარჯვენა“:

„შორენას შინ წასვლა უნდოდა წირვის შემდეგ, თავი სტკიოდა, მარტოკა ტირილი ერჩია ჭამას, მაგრამ გურუნდუხტი დაემუქრა, თუ დღეს არ სწვევიხარ მეფეს, თმით გათრევო შინმოსულს უთუოდ“. მცირე ხნის შემდეგ გურუნდუხტი სწორედ ასე მოიქცა, რასაც ადასტურებს შემდეგი ციტატა: „მეფეს გაუმჟღავნებია ფარსმანის ჭორები გურუნდუხტისათვის, თმით დაუთრევია შორენა დედას. „ბოზი“ უძახია თურმე და „ვიღაც კალატოზის სიძვის დიაცი.“ დავარმა ნესტანი აღზარდა, გურუნდუხტმა – შორენა; პირველი მამიდაა, მეორე – დედა, მაგრამ ტექსტებში დაფიქსირებული პრობლემებიდან გამომდინარე, მათი შინაგანი მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ შეუძლებელია, შეუმჩნეველი დაგვრჩეს.

ორივე მონიმენტურ ლიტერატურულ ძეგლში ფიქსირდება რემინსცენცია, რომელიც ეფუძნება ერთსა და იმავე ბიბლიურ ფრაგმენტს და შეგვახსენებს დავით წინასწარმეტყველის 41-ე ფსალმუნს: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ დასახელებული ფსალმუნის პირველი პუნქტის გავლენით „ვეფხისტყაოსანში“ ორგზის ფიქსირდება შემდეგი სიტყვები: „გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისა...“, „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა.“ ანალოგიური ემოციური სიმძაფრით გამოირჩევა ციტატა „დიდოსტატის მარჯვენიდან“: „...ვარს კვლავებით მოოჭვილ ცარგვალს აჰხედა ოსტატმა და მის გულში გახმიანდა გოლეულივით ტკბილი და მათრობელი სიტყვები: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროს მიმართ წყალთასა,

ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი...“ თუ სიღრმისეულად გავიაზრებთ ციტატებს მოცემული კონტექსტებით, შეუძლებელია, ეს ფაქტი უბრალოდ დამთხვევას მივაწეროთ.

ვფიქრობ, შეუძლებელია, შემთხვევითობას მივაწეროთ ტარიელისა და მეფე გიორგის ემოციური განწყობა პირველ შემთხვევაში ვეფხვის, მეორე შემთხვევაში კი – ირმის „გამეტებით“. მიჯნურმა რაინდებმა აკი მათში ამოიცნეს საკუთარი სატრფოები და მათი „გამეტების“ გამო თავი დაისაჯეს – უარი თქვეს სიცოცხლეზე! ამ თანმხვედრი ფაქტების ფინალი კი განსხვავებულია: ტარიელს სასიცოცხლო ძალას მეგობარი შთაბერავს, მეფე გიორგი კი გარდაიცვლება. შესაბამისად, ვეფხვი(ავაზა-სამეფო ცხოველი) და ირემი (სამოთხის ცხოველი) ალეგორიულად გამოხატავენ მიუწვდომელი ქალის ხატებას.

ორივე ტექსტის შინაარსისა თუ მიზანდასახულობის სრულად გაცნობიერებისას იმაშიც ვრწმუნდებით, რომ შეფარვით, მაგრამ ძალუმად იგრძნობა შემოქმედი ღმერთის არსი და გავლენა კაცობრიობაზე („რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების...“), მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი ძალა ხილული მოქმედი გმირი არაა „ვეფხისტყაოსნისა“ და „დიდოსტატის მარჯვენის“ მიხედვით. ალეგორიული არსებობა და კონტაქტი კი სწორედ ღვთისათვის დამახასიათებელი გამოვლინებაა, რამეთუ უფალი კი არ უნდა ვიხილოთ, არამედ უნდა შევიცნოთ და შეცნობის შემდეგ გონების თვალით ვიხილავთ მას.

ამ და სხვა ზუსტ თუ მსგავს ფაქტებსა და პერსონაჟებზე დაკვირვებისას თვალში საცემია, რომ დიდი კონსტანტინე გამსახურდია (ეს დასტურდება არა მხოლოდ „დიდოსტატის მარჯვენაში“, არამედ – მის სხვა რომანებშიც) ბუმბერაზი შოთა რუსთაველის სულისკვეთებითა და ცნობიერებით საზრდოობდა და არა მარტო ის, არამედ – ქართული კლასიკური ლიტერატურის ბევრი წარმომადგენელი, რამეთუ ერის აზროვნება ეყრდნობა იმ უზენაეს ფუნდამენტს, რომელსაც გვაწვდის ბიბლია, განსაკუთრებით – ოთხთავი, რომლითაც ასრერიგად „სავსეა“ პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენი, ქართველთა, ეროვნული მისიაც ხომ სწორედ ესაა: არ გადავუხვიოთ წინაპართა გაკვალული გზიდან, რომ არ დავკარგოთ სულიერი გენეზისი და ეროვნული სახე.

„სიზმარი მწველი იქნება თალხად“

დალი სულაშვილი

„ვიცი, რომ მზითვად
არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.
არც წასაღებად
დაჰკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს
მომავლებენ დარდიან წელზე...“

ეს მშვენიერი რომანტიკული სევდით გამსჭვალული სტრიქონები ნინო თარიშვილს ეკუთვნის. ესაა ლექსი-ნოსტალგია, მონატრება ყოველივე ქართულის, რადგან იმ დროს, როდესაც ეს ლექსი დაიწერა - 20-იან წლებში, ინტერნაციონალიზმის ტალღა ცდილობდა წაელეკა ყველაფერი ეროვნული. იდევნებოდა უძველესი ქართული კულტურა, ოცნებად ქცეულა და მხოლოდ ფოტოსურათებს შემორჩენია ქართული კაბა, ქართული სამკაულები, ქართველი ქალის უპირველესი და უმთავრესი მზითევი „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ქორწილი.

იმ დროს ასეთი ლექსის დაწერა დიდ გამბედაობას მოითხოვდა, თან ეროვნულზე ლაპარაკი ცუდ ტონად ითვლებოდა. აკი გამოეხმაურა კიდეც ამ ლექსის გამოქვეყნებას ერთი მაშინდელი კრიტიკოსი: „პოეტი ქალი მისტირის ობობის ქსელში გამოხვეულ „ვეფხისტყაოსანს“.

ასე იყო. ქალბატონი ნინო კი კვლავ წერდა ლამაზ, მძაფრი განცდებით, მოულოდნელი ასოციაციებით გაჯერებულ ლექსებს და თავის თანამედროვე პოეტებთან ერთად ცდილობდა ლექსისათვის ქართული სული დაებრუნებინა. იმ თაობას კი საოცარი პოეტები ახსოვს: ტიციანი და პაოლო, გრიგოლ რობაქიძე და გოგლა ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, იოსებ გრიშაშვილი, სხვანი და სხვანი... და თავისთვის განმარტოებით - გალაქტიონი...

ნინო თარიშვილი სხვებზე ახალგაზრდა იყო და ამ წრეში იდგამდა ფეხს როგორც პოეტი. მის პოეზიას იცნობდნენ და აფასებდნენ იმ დროის ლიტერატორი ქალები: საფო მგელაძე და მარიჯანი, დარია ახვლედიანი და ბაბილინა ხოსიტაშვილი. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ კატო მიქელაძის ბინაში, აწყობდნენ პოეზიის საღამოებს, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, ოცნებობდნენ, წერდნენ და ერთმანეთს უკითხავდნენ, რასაც წერდნენ. ლამაზად, შინაარსიანად ცხოვრობდნენ იმ მძიმე და ძნელ დროშიც. წუხდნენ ქვეყნის ბედზე და მისი სიყვარულით აკეთებდნენ ყველაფერს. კატო მიქელაძეს სორბონის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, ევროპული სული და განწყობა ჩამოეტანა საქართველოში.

ნინო თარიშვილის პოეტური ბედითა და წარმატებით დაინტერესებული იყო ქართული პროზის დიდოსტატი ვასილ ბარნოვი, რომლის ოჯახთან ქალბატონ ნინოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მეგობრობდა მწერლის უმცროს ქალიშვილთან, მარგარიტა ბარნაველთან - მარგოსთან.

იმ დროის სხვა მოღვაწეთა მსგავსად, ნინო თარიშვილიც ვერ გადაურჩა რეპრესიებს და ლექსისთვის „არავინ მოდის“, რომელშიც რატომღაც პოლიტიკური აზრი დაინახეს, დამწყები პოეტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს. აქ ყველას მშველელი და გადამრჩენელი პაოლო იაშვილი ამოუდგა მხარში, რკინის ქალამანი ჩაიცვა და ნინო უნივერსიტეტში დააბრუნებინა.

ნინო კვლავ წერს, ეძებს გზას, აქვეყნებს ლექსებს,

მსჯელობს, უყვარს, ღელავს და კამათობს.

ახლა, რაკი თქვენ გამოჩნდით, ქალის სახელით ლექსების წერას თავს ვანებებო, - უთქვამს ბრწყინვალე „დარიანული“ ლექსების თანაავტორ პაოლო იაშვილს... ნინოს ლექსს უძღვნის იოსებ გრიშაშვილი:

შენ კი მეტრფი პატარავ,
მაგრამ აბა რაღა დროს,
ლამის სევდამ ეს გული
ამოწვას და დადაღოს,
ლამის კუბოდ გადმექცეს
ზეციური თავანი,
ლამის მზეც კიდავწყევლო
მთვარის ავან-ჩავანი...

ნინო თარიშვილი

ქალბატონი ნინო სილამაზითაც ყოფილა ცნობილი: აი, როგორ გვიხატავს მას თავის მოგონებებში იმდროინდელი ქართველი მწერლების მემატიანე ნიკა აგიაშვილი: „ჩემი წარმოდგენით, ასე უნდა დაიხატოს მაშინდელი ნინოს სურათი: ირიბი წარბებით მოვლებულ-მოხაზული შავი, მიწისფერი თუ უფრო ლურჯი თვალები, ფერმკრთალ სახეზე მიმობნეული ნაზი, მაგრამ მდიდარი ღიმილი, წვრილ-წვრილი მარგალიტების ფარღულით შემკული მაღალი ყელ-კისერი... განსაკუთრებით ხიბლავდა ყველას თოვლივით თეთრი ხელები და დახრილი წამწამები... ეს იყო ნაღდი პოეტი, ჭეშმარიტი ლირიკოსი, ისეთი ყმაწვილი ქალი, რომლისთვისაც ყველას შეეძლო მიემართა მისივე სიტყვებით:

„მე იმის ხელებს შევადარებ მინდვრის ზამბახებს,
დახრილ წამწამებს უღიმიან ანემონები,
ვეტრფი ვნებების შეთქმულებას და ამბოხებას,
თვით ფერმკრთალ სიკვდილს
ათრთოლებით დავემონები...“

ასეთი იყო ოციანი წლების ნინო თარიშვილი. იმდროინდელი პოეზიის ისტორიას ასეთი შემთხვევა შემორჩა: პოეტები ქალაქგარეთ გასულან გასასეირნებლად. საღამოხანს „ცისფერყანწელებმა“ და სხვა პოეტებმა ეტლიდან ცხენები გამოუშვეს, ეტლზე ნინო დასვეს, როგორც პოეზიის დედოფალი და თავად ატარეს. ამ შემთხვევას ქალბატონმა ნინომ უძღვნა ლექსი „პორტრეტები“, რომელშიც საცნაურია ამ ამბის ყველა მონაწილე:

„უცნაურ ფერის მწუხარება ქალწულურ შიშით,
სიჩუმის თეთრი კავალერი, სახე წმინდანის,
უგზო თვალები, დაფარული ყავისფერ ქვიშით
ოქროს ჯვარიდან იყურება ვით წინანდალი.“

ეს გრიგოლ რობაქიძის ცოცხალი პორტრეტია - დახვეწილი სახის ჩუმი რაინდი. ქალბატონი ნინო იგონებდა, საოცრად ჩუმი კაცი იყო, შეეძლო მთელი დღე მხოლოდ ესმინა და ხმა არ ამოეღოო.

„მოდის დაღლილი ქალდეიდან წყვილი ცისფერი -
გრძელი თითები ანთებული პაპიროსებად,
დამთვრალ შუადღის სომნამბული და წესიერი,
მტვრიან ქუჩებში აშლილობით არ იმოსება“.

ამ სტრიქონიდან ტიციანის ცისფერი თვალები ანათებს, გრძელი თითებით პაპიროსი უჭირავს და სამშობლოს ისტორიაზე ფიქრობს.

იღვრება ლექსი ქვევრებიდან, როგორც კახური,
ჯიშიან ფიქრებს ააფეთქებს ჯანსაღი სისხლი,
მოდის ყამირის ჯანსაღობა ჯერ არნახული
და ანტონივით ძველი გვარის სიდარბაისლით“.

გოგლა ლეონიძის ახოვანი ფიგურა ბორგავს, მოუსვენარი ჯიში და სისხლი ხმაურობს ამ სტრიქონებში.

„ამაყი შუბლი გამოჩნდება პოეტის ცხელი,
დაჭრილ ვეფხვივით აიფარებს სისხლიან ნარმას,
გამარჯვებული გაფრინდება შლეგიან ცხენით
და ჩამოანგრევს უნაზესი სიტყვების არმაზს“.

პაოლოს ლამაზი შუბლი, კეთილშობილური გამოხედვა, ცხელი გული და პოეტური ტკივილია გაცხადებული ამ სიტყვებში.

ხოლო ლექსის ავტორის განცდა ასეთია:

„ქალაქის იქით... ღამე... მტკვარი... პატარა ხიდი...
ცისფერ მკლავებზე პოეტების ფიქრი ავისხი.
ქალურ ლოდინში გაიშალა მზე ორქიდეის
და მე ვიზრდები მოგონებით, როგორც ალვის ხე“.

ოთხმოცს გადაცილებულ ნინო თარიშვილს ახალგაზრდული ნაპერწკლები ენთებოდა თვალებში, როდესაც საყვარელ ადამიანებს იხსენებდა. მე მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი პოეტის ახლობელი მისი ცხოვრების ბოლო წლებში. ეს არც თუ ისე დიდიხნის წინ იყო. იგი მთაწმინდის კალთაზე ცხოვრობდა. იქ ამწვანებული მთის ფონზე ლამაზად ჩამწკრივებულიყო თეთრი შენობების რიგები... მის ბინაში სიძველით სუნთქავდა ყველაფერი. ამ ოთახებში ორი ხელოვანის ბედი ტრიალებდა, ლექსებად, ხელნაწერებად და ფერწერულ ტილოებად გარდასახული. მთელი სივრცე მოგონებებით იყო სავსე. ვისი სახელი და სახე არ ტრიალებდა აქ, ვის არ იგონებდნენ მოწიწებითა და აღფრთოვანებით, სევდითა და ტკივილით. აქ წიგნების, ნახატებისა და მოგონებების კულტი იყო და ეს ერთი შეხედვითვე ხდებოდა საცნაური. უცნაურ ჟრჟოლად, იდუმალებად შედიოდა ადამიანში ყოველივე, რითაც ცხოვრობდა ეს სახლი... კედლიდან ბეთჰოვენის ნიღაბი იყურებოდა, თაროდან ჩახრუხაძის ნიკოლაძისეული სკულპტურული პორტრეტი; სითეთრით თავს იწონებდა უცნობი იტალიელი მოქანდაკის ხელით შექმნილი ქალის ბიუსტი... წიგნები და ხელნაწერები, კედელთან მიჯრით მიწყობილი ნახატები, - ყოველივე ეს ქმნიდა იმ იდუმალ ატმოსფეროს, სადაც ყველაფერი საინტერესო, ძველი და მიმზიდველი ჩანდა. მახსოვს საღამო, როდესაც ქალბატონი ნინო ბარათიშვილზე ლაპარაკობდა. ოთახში მიმოდიოდა, ჩაის ამზადებდა და ჩაფიქრებული, სიღრმიდან წამოსული ხმით ამბობდა: „იცი, ამ ბოლო ხანებში ხშირად ვფიქრობ ბარათაშვილზე. მე მგონი, მასზე გენიალური პოეტი არ გვყოლია. საოცარია: „აქ ლბილს მდელოზე, სანუგეშოდ ვინამე ცრემლი“. სანუგეშოდ ცრემლი ვინამეო, გესმის, რა საოცრებაა?..“

მთელი საღამო იმეორებდა ამ სიტყვებს. ბარათაშვილთან განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს გრძნობდა.

დიდი, გრძელი გზა გამოიარა ნინო თარიშვილმა. რა არ იყო ამ გზაზე: ნათელი და ბნელი, ფერადი და თალხი, სიხარული და მწუხარება, ოჯახური ტრაგედია, აღმაფრე-

ნა და სასოწარკვეთილებაც და ყველაფერს მოუცილებლად გასდევდა ლექსი. ლექსად იღვრებოდა პოეტის ლამაზი სული, სითბოდ იფრქვეოდა, სიყვარულად გადადიოდა ირგვლივ მყოფებზე. არავის და არაფრის მიმართ ყოფილა გულგრილი, არავინ და არაფერი ავიწყდებოდა. მძივივით იყო აკინძული ყველა მოგონება, მძივივით მარცვლავდა, ბრუნდებოდა იქ, წარსულში, სადაც ყველაფერი ცოცხალი და ხელუხლებელი იყო, ხელს ჰკიდებდა და მოჰქონდა, რათა ჩვენთვის ეჩვენებინა.

სამშობლოს ბედი აწუხებდა და სტკიოდა. ხშირად იგონებდა თავისი ქართულის მასწავლებელს - კარბელაშვილს, წმინდა ნინოს სასწავლებელში რომ ასწავლიდა. 1918 წელს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ყველგან ქართული დროშები ფრიალებდა, მასწავლებელი ავად იყო და ლოგინში იწვა. ფანჯრიდან დაინახა, როგორ აღმართეს დროშა სადღაც ახლოს, საშინლად აღელდა და გაბზარული, მაგრამ აღფრთოვანებული ხმით შესძახა: „დროშა, ქართული დროშა!“ ლაპარაკობდა და თვალზე ცრემლი ადგებოდა.

დებმა ნინო და მარინა თარიშვილებმა შესანიშნავი განათლება მიიღეს. მარტო ის რად ღირს, რომ გერმანულ ენას არტურ ლაისტი ასწავლიდა და გერმანული ენის ცოდნის გარდა, უამრავი ფასეული რამ შესძინა მათ ამ უცხო ტომელმა კაცმა, რომელსაც საქართველო თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა, ილია ჭავჭავაძე – მსოფლიო დიაპაზონის მიაზროვნედ და მოღვაწედ. ქალბატონ ნინოს შემორჩა მისგან ნაჩუქარი ილიას პორტრეტი და 1900 წელს რომში გამოცემული დანტეს „ღვთაებრივი კომედია“.

უდიდესი სიყვარულით, აღტაცებითა და სითბოთი იგონებდა ქალბატონი ნინო ვანო სარაჯიშვილს. მე და მარგო საგანგებოდ ვანო სარაჯიშვილის სანახავად დავდიოდით სახაზინო (ოპერის) თეატრში. მაშინ ასე იყო, ყველას ჰყავდა თავის „დუშკა“, ზოგს სანდრო ინაშვილი მოსწონდა. ჩვენ სპექტაკლის შემდეგ ყოველთვის ველოდით ვანოს გამოსვლას, ის გვცნობდა და როცა გამოდიოდა, ხალხში თვალით გვეძებდა. ღმერთო, როგორ მღეროდა... ახლა ისე აღარავინ მღერის... არ ვიცი რატომ დაივიწყეს ის მშვენიერი ქართული რომანსები. მე ბევრი ფირფიტა მაქვს ვანოს სიმღერების ჩანაწერებით, მაგრამ პატეფონი გამიფუჭდა. იქნებ ვიშოვოთ ის გატეხილი ნაწილი და მოვისმინოთ ვანოს ხმა... არაჩვეულებრივად დადიოდა, ისე არა, როგორც ყველა. ჩვენ ვაკვირდებოდით მის ყოველ მოძრაობას და ვცდილობდით მიგვებაძა... საოცრად ლამაზი იყო ვანო, ვაჟკაცური, ახოვანი, ხვეული თმით. როცა ავად გახდა, სახლში მივაკითხეთ, მოვინახულეთ, ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, სრულიად ახალგაზრდა წავიდა... გატაცებით ლაპარაკობდა, ხანდახან ვანოს რომელიმე არიას ან რომანსს წაიმღერებდა...

დაუჯერებლად ცოცხალი იყო დიდი ხნის ჩავლილი განცდა. იმ დროში ვიგრძენი თავი, როდესაც ჯერ კიდევ არ ვარსებობდი; იქ ვიყავი, სადაც არასოდეს ვყოფილვარ და სადაც უკვე ვერასოდეს მოვხვდებოდი ფიზიკურად.

იგონებდა ფუტურისტებს, იცინოდა, ფეხსაცმელებზე ყვავილს იმაგრებდნენ ან გადაბრუნებულ პიჯაკს იცმევდნენ ყურადღების მისაქცევადო... ზეპირად ახსოვდა ფუნაგორიები, მარინე აგროვებდა და იწერდაო. ერთი ასეთი იყო: „გოგლა იყო, გოგლა გახდა, გაგვილეონიძევდა“...

დიდი სიმპათიითა და სითბოთი იხსენებდა საფო მგელაძეს. იხსენებდა შემთხვევას, როცა თვითონ, სრულიად ახალგაზრდა პოეტი, უსამართლოდ დაჩაგრულ საფოს გამოესარჩლა, შემდეგ საფომ ლექსი უძღვნა, რომელიც სამწუხაროდ დაიკარგა ბევრ სხვა რამესთან ერთად.

ნინო თარიშვილის ლექსების კრებულს „გვირილა“ ჰქვია, თეთრი ლამაზი ყვავილის სახელი, მინდორში რომ იზრდება თავისუფლად. კრებულს პოეტის სურათი აქვს დართული: ჩაფიქრებული იყურებიან დიდი შავი თვალები. სახის ნაკვთები პოეტის შინაგანი ბუნების რომანტიულობასა და სიმდიდრეზე მეტყველებს...წიგნში ყველა ლექსი ლირიულია, მძაფრი გრძნობებით სავსე, ემოციით გაჯერებული. კითხულობ და ზოგჯერ მოულოდნელობისაგან სუნთქვა გეკვრის:

„სიზმარი მწველი იქნება თალხად,
ედება სახეს ღიმილი მკაცრი,
დარჩება უთქმელ სიტყვების ტალღა
და ფიქრი შენზე ჩამოსაკაწრი...“

„...თეთრი იები გაიშალა მწუხარე აზრთა...“ „მაგრამ სასტიკი სიჩუმე ხარ, როგორც არმაზი...“ „და თმებგაშლილი ვეტოლები შიშველა ხეებს...“ „ზღვას ჩავეხლართოთ დაშლილ ზოლებად...“ - საოცარი, მოულოდნელი შედარებები, ასოციაციები, ნაგრძნობის გადმოცემის სრულიად ორიგინალური მანერა - ესაა ნინო თარიშვილის პოეზიის მთავარი თვისება. იქ, მის ლექსებში, ყველაფერი ნამდვილია, ყველაფერი გულიდან მოდის და უნდა ითქვას ეს ყველაფერი ხმამაღლა, რადგან გულში ვერ დაეტევა და უნდა ითქვას სიმბოლოების ენით, რადგან უღრმესი წიაღიდან მოედინება და ჩვეულებრივი სიტყვა მას ვერ დაიცავს, ვერ გააცოცხლებს.

ქალბატონი ნინო მთელი ცხოვრების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ყველაზე ხანგრძლივად თბილის უნივერსიტეტში მუშობდა. უყვარდა ახალგაზრდობა, ხელს უწყობდა მათი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას. მას დიდი სიყვარულით იხსენიებენ მისი ყოფილი სტუდენტები, ყველა ის ადამიანი, ვისთანაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდა.

მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მარინეს ნახატების ალბომის გამოცემის იმედით იყო განათებული.

ნინო თარიშვილს უზომოდ უყვარდა ქიზიყი, ქიზიყელი კაცის ალალი ბუნება, თავისი სოფელი მირზაანი, თავისი უბანი, რომელსაც პოეტური სახელი რადიანი ჰქვია, ეზო, სადაც მისი უსაყვარლესი დედა იყო დასაფლავებული. უყვარდა ალავერდის ტაძარი და მისი შემოგარენი - ხატის ტყე, სადაც მაშინ ბოროტი ხელი ადვილად ვერ აღიმართებოდა ხის მოსაჭრელად... ავმა დრომ მაინც თავისი გაიტანა, ტყე გაიჩეხა, არემარე მოშიშვლდა, თითქოს დაობლდა ტაძარი. უყვარდა ფიროსმანი, მისი შემოქმედება. ხშირად ლაპარაკობდა მასზე. დის - მარინეს ნახატების დიდი რაოდენობა სწორედ ფიროსმანის მუზეუმს დაუტოვა ანდერძით.

უკვე საკმაო ხანი გავიდა, რაც აღარ არის ნინო თარიშვილი. ვაკის სასაფლაოზე ერთმანეთის გვერდით განისვენებს ორი და - მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე და ხალისიანი მარინე და დინჯი, ჩაფიქრებული ნინო... ქვეყნად კი ცოცხლობს მათი სული, ლექსებსა და ნახატებში გარდასახული.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲯᲘᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„სიყრუხლის ფერები“ – ფსიქოლოგია

წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე წერს თავის ფსიქოლოგიურ ნაშრომში: ,,შინაგანი ბრძოლის თვისებათა გულმოდგინე შესწავლა განსაკუთრებით საჭიროა და სასარგებლო იმ ადამიანებისათვის, რომელმაც თავისი ცხოვრება სხვა ადამიანთა ზნეობის გამოსწორებას მიუძღვნა. მიისწრაფვის რა საზოგადოების სენთა განკურნებისაკენ, მან მსგავსად დახელოვნებული მკურნალისა, კარგად უნდა შეისწავლოს სულიერ დაავადებათა თვისებები. აქედან ცხადი ხდება ფსიქოლოგიის შესწავლის მნიშვნელობა ყოველი ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი ღვთისმეტყველთათვის“.

ადამიანი ცხოვრობს საზოგადოებაში და ცდილობს მოერგოს ამა თუ იმ როლს და მოვალეობებს, რომელსაც სთავაზობს საზოგადოება და ღვთის მცნებები. ადამიანის ცნობიერება ყოველთვის გარეთ იყო მიმართული და არა შიგნით. ამიტომ ყოველთვის უჭირდა თავისი შინაგანი სამყაროს მოვლენების, განცდების თვალყურის დევნება. მოაზროვნე სუბიექტისათვის აზროვნების მიმდინარეობა არ შეიძლება იყოს ყოველთვის ნათლად გაცნობიერებული. ამან კი ხშირად შეიძლება გამოიწვიოს რთული, მაფრუსტრირებელი სიტუაციები. უფრო ღრმად კი სულიერი და ფიზიოლოგიური ტრამვები.

ადამიანის შინაგანი სამყარო დიდია და საინტერესო. აზროვნებათა გარკვეულ რიგს ხსნის მეცნიერული აზროვნება. თუმცა არსებობს ისეთი საკითხებიც, რომელსაც ვერ ახსნის მეცნიერება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის სულისათვის. კონკრეტულ მეცნიერულ აზროვნებას არ შეუძლია ადამიანური არსებობის ყველა შინაგან საკითხებზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ამ სფეროში მოუმარჯვებელია კონკრეტული მეცნიერული ზუსტი მეთოდები. ადამიანური არსებობის შინაგანი სამყარო განსხვავდება და გადის სიზუსტის სფეროს მიღმა. ადამიანი ცდილობს საკუთარ არსებობაში გაარკვიოს და ამოიცნოს საკუთარი ყოფიერების საზრისი. მნიშვნელოვანია საკითხის დასმა: ვინ ვარ მე, ვინ არის სამყაროს შემოქმედი, რატომ მოვედი ამ ქვეყანაზე, რა არის ჩემი, როგორც ადამიანის საზრისი, მისია?

მართლმადიდებელი ფსიქოლოგიის უპირატესი, ძირითადი დანიშნულებაა დაეხმაროს ადამიანებს: გააცნობიერონ, შეიმეცნონ, რომ შეძლონ თავიანთი მოვალეობების, მისიის შესრულება. პროფესიული ფსიქოლოგიური დახმარება გულისხმობს: კონკრეტული მიზნების დასახვას; ამ მიზნების მიღწევის საშუალებების ჩამოყალიბებას; სხვადასხვა სულიერი თვისებების გაძლიერებით შეცდომების გამოსწორებას; სტრესის, შფოთვის დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბებას; ლატენტური (მიძინებული, შეკავებული) დადებითი თვისებების გამოვლენას, რომელსაც შესაბამის სიტუაციაში შეუძლიათ გამოავლინონ, როგორც საკუთარი ქცევის სტრატეგია, კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

არსებობს უამრავი ფსიქოლოგიური მეთოდი ადამიანებს რომ დახმარება გაუწიონ. ერთ-ერთია არავერბალური, პროექციული მეთოდი ,,დამოკიდებულებათა ფერითი ტესტი“, რომელიც შექმნა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა მეცნიერმა ა. ლუშერმა. ეს არის სამუშაოდ ძალიან მარტივი, ბუნებრივი და კარგი საშუალება პიროვნების შესახებ გარკვეული სახის ინფორმაციის მისაღებად.

მუშაობის დროს შემეცნებისათვის გამოიყენება როგორც მეცნიერული, ასევე სიმბოლური აზროვნებაც. ორივე მათგანი ადამიანური ცხოვრების ურთერთსაპირისპირო უნარია, რომლებიც გამორიცხავენ და ამავე დროს ავსებენ ერთმანეთს. ჩვენ ვისაუბრებთ სიმბოლური აზროვნებითი უნარის შესახებ, რომელიც ახლოს დგას ,,ღირებულებათა უნართან“. სიმბოლურ უნარს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შინაგანი, უსასრულო სამყაროს ოდნავ მაინც შესასწავლად. თუმცა სიმბოლურს აკლია ისეთი აპრიორულობა, როგორიც მეცნიერულ მტკიცებულებებ ს გააჩნიათ.

სიმბოლოს დანახვა მოვლენის ახსნა არაა, მაგრამ სიმბოლური შინაარსის მინიჭება მოვლენის სიღრმისაკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას, ადამიანს განაწყობს ღრმა კანონზომიერებების საძიებლად; ეს არის სიმბოლოს ყველაზე დიდი მნიშვნელობა. სიმბოლური აზროვნება კარგად გამოიყენება ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, რელიგიაში, ჩვენს შემთხვევაში მართლმადიდებლური აზროვნების სიმბოლიკაში და აგრეთვე ფსიქოლოგიაშიც, ადამიანთა ფსიქო-ემოციური თეორიების შესწავლისას.

ა. ლუშერი მუშაობის დროს იყენებდა 7 ძირითად ფერს, როგორც სიმბოლოებს, ცნობიერ და არაცნობიერ დონეებზე ადამიანების დამოკიდებულებების საკვლევად. დაკავშირებულია იმ დაშვებაზე რომ ერთ-ერთი ფერისადმი უპირატესობის მინიჭება კავშირშია პიროვნულ მახასიათებლებთან, მის ემოციურ-ხასიათობრივ ბაზისთან; აქტუალური განცდის თვისებებთან, აქტუალური მდგომარეობის ნიუანსების გამოვლენასთან.

ა. ლუშერი ფერის სტრუქტურის წარმოშობის შესახებ თეორიას შემდეგნაირად ხსნის: ადამიანი ყოველთვის ცხოვრობდა ფერთა გარემოცვაში. თუმცა ათასწლეულების მანძილზე მას არ შეეძლო ეკონტროლებინა მის ირგვლივ არსებული ფერები. ფერი მისთვის წარმოად-

გენდა იმ გარე ფაქტორს, რომელზეც რეაგირება უნდა მოეხდინა გარკვეული სახით: მაგალითად საღამოს ცის მუქი ლურჯი იყო სიგნალი ღამის დადგომისა - დასვენებისა, დამშვიდების. ამომავალი მზის ყვითელი ფერი - ახალი დღის დადგომის, სიხარულის, გაღვიძების, იმედის, ინტერესის ფერია. წითელი - სისხლის, ძალთა მობილიზების, ენერგიულობის, მეტი აქტივობის სიგნალია და სხვა. გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და წარმოშობილ ფსიქო-ფიზიოლოგიურ მდგომარეობებს შორის ჩამოყალიბდა ასოციაციური კავშირები ფერებთან მიმართებაში. ფსიქო-ფიზიოლოგიურმა ექსპერიმენტებმა დაადასტურეს, რომ ადამიანი თუ რომელ ფერს უყურებს იმის მიხედვით კანონზომიერად იცვლება მისი ფიზიოლოგიური მდგომარეობაც სუბიექტური დამოკიდებულება ფერისადმი, ანუ მისი ფუნქცია ყოველ ადამიანში ინდივიდუალურია. ფერის ფუნქცია ადამიანის ცხოვრების მანძილზე ფორმირდება და ძლიერ კავშირშია იმასთან, თუ რას უკავშირდება ეს ფერი.

ლუშერი ფერს განიხილავდა ორი თვალსაზრისით: ფერის ფიზიკური მახასიათებელი და მისი სიმბოლური მნიშვნელობა და კონკრეტული პიროვნების სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ ფერისადმი. რა თქმა უნდა ფერის გარეგნული სახე, ობიექტური მნიშვნელობა ანუ სტრუქტურა ყოველი ადამიანისათვის მუდმივია.

როდესაც ადამიანი ირჩევს და წინ აყენებს მისთვის განსაკუთრებულად სასურველ ფერს მრავალ ფერთა ტონალობებიდან, ამით კიდევ გამოხატავს განწყობილებას ამა თუ იმ ფერისადმი. უფრო მეტიც, იგი პოულობს კავშირებს ფერსა და პიროვნებებს შორის, აგრეთვე ფერსა და მოვლენებს შორის. რა თქმა უნდა ეს კავშირები ხდება სიმბოლური ასოციაციების მეშვეობით. ფსიქოლოგებმა ასეთ დამოკიდებულებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს და მრავალი ფსიქოლოგიური გამოკვლევის საგნადაც იქცა. ფერითი სენსორიკა (შეგრძნება) მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების ემოციურ ცხოვრებათან – ემოციებთან. ემოციები ფსიქოლოგიური მეცნიერების განმარტებით ნიშნავს იმ სულიერ მდგომარეობებს, რომლებიც ჩვენს განცდას დროებით მაინც მთლიანად ავსებენ და დანარჩენ სულიერ ცხოვრებასაც იმორჩილებენ.

დამოკიდებულებათა ფერითი ტესტის პროცედურა ასე ხდება: პირველად ფსიქოლოგის დახმარებით პაციენტი შეადგენს იმ პიროვნებების სიას, ვინც მის უშუალო გარემოცვას წარმოადგენს: მაგალითად: დედა, მამა, მე, და, ძმა, ჩემი გუნება-განწყობილება სახლში, ჩემი ექიმი და ა.შ. სხვა შემთხვევაში იმ პიროვნებების აღნიშვნაც ხდება, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მის ცხოვრებაში.

შემდეგ პაციენტის წინ, თეთრ ფონზე ლაგდება ფერები ნებისმიერი თანმიმდევრობით: წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, ნაცრისფერი, შავი - ეძლევათ ინსტრუქცია თვითოეული ფერი მიანიჭონ მის ჩამონათვალ ადამიანებს. ფერები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა ხასიათს და არა მათ გარეგნობას. ამის შემდგომ უნდა პაციენტმა მოახდინოს ფერების ლანჟირება ყველაზე ლამაზი, სასიამოვნოდან მისი თვალისთვის – ყველაზე უსიამოვნოს, ულამაზოს მიმართულებით. ანალიზის დროს მნიშვნელობა ენიჭება მათ ურთიერთკავშირებს. მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია ეფუძნება შემდეგს: თუ პაციენტი უპირატესობის მიხედვით ფერების დალაგებისას პიროვნებისთვის მონიჭებულ ფერს პირველ ადგილზე აყენებს, ნიშნავს რომ ემოციურად ღებულობს და დაკმაყოფილებულია შესაბამისი ურთიერთობით. ხოლო თუ პიროვნებაზე მინიჭებულ ფერს პაციენტი ბოლოს აყენებს, ნიშნავს რომ ემოციურად ნეგატიურად არის დამოკიდებული და უარყოფს მას.

თუ პაციენტი შეაფასებს ფერს, როგორც ასეთს და არ დაუკავშირებს მას გარკვეულ საგნებსა და პიროვნებებს, მაშინ ის ორიენტირდება ფერის ობიექტურ სტრუქტურაზე. ამ ფერს სასიგნალო მნიშვნელობა ენიჭება და ემთხვევა მისი ორგანიზმის შესაძლებლობებსა და წამყვან განწყობებს. სწორედ ეს ფერი იქნება შეფასებული მისთვის, როგორც მნიშვნელოვანი, სასიამოვნო. სწორედ ამ დაშვებაზეა დაფუძნებული ლუშერის ფერითი ტესტის უპირატესობა. შვიდი ძირითადი ფერებიდან ტესტში ლურჯი სიმბოლიზირდება სრულ სიმშვიდესთან, რომელსაც ახასიათებს სისხლის წნევა, პულსის სიხშირე, ხოლო სუნთქვის ინტენსივობა მცირდება - ასეთია მისი ფიზიოლოგიური დახასიათება. ნაცრისფერს - არ გააჩნია გარკვეული ტენდენცია, ის საკომპესაციო საშუალებაა. მწვანე - ,,ნებისყოფის მოქნილობის“ სიმბოლოა. წითელი - ცხოვრებისეულ ძალას, ენერგიას, აქტივობას გამოხატავს. ყვითელი ტოვებს სიმსუბუქის, სიხარულის შთაბეჭდილებას. შავი არის ყველაზე მუქი ფერი, ეს ექსტრემალური ტიპის საკომპესაციო ფერია, ყავისფერი კი ორგანულ შეგრძნებებზეა სიმბოლიზირებული.

მნიშვნელობა ენიჭება თუ თვითოეული ფერი, რომელ ადგილსა და რომელ ფერებთან ერთად არის განლაგებული, ამის მიხედვით ხდება ინტერპრეტაცია, გაშიფვრა და საბოლოოდ შეფასება.

ადამიანს ფერებისადმი რომ განსაკუთრებული ნატიფი, ნაზი დამოკიდებულება აქვს ჩანს მართლმადიდებლურ რელიგიაშიც. ადამიანები თავის თაყვანიცემას უფლისადმი, წმიდანებისადმი ხატებში ფერებით გადმოსცემს: თეთრი ფერი - სიწმინდეს ნიშნავს, ოქროსფერი - მარადიულობას; მწვანე - ცხოვრებას, ლურჯი - საიდუმლოს, წითელი - თავის მსხვერპლად შეწირვას, ცისფერი - უმანკოებას, ყვითელი - სითბოსა და სიყვარულის ფერია, ძოწისფერი - გამარჯვების, მეწამული - დიდებულების, ვარდისფერი - ბავშვობის, შავი - სიცარიელის, ნაცრისფერი - სიკვდილის ფერია. მაგრამ ყოველთვის ეს ფერები, როგორც სიმბოლური ნიშნების ტაბულა როდია ხატებში. ფერები კი არა ფერების მრავალფეროვნება მეტყველებს.

უფალიც ხომ საოცარ ფერებს გვაძლევს ბუნების საშუალებით: როგორც დიდი შოთა რუსთაველი იტყოდა:

,,რომელმან შექმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“...

ძველ აღთქმაშიც ვკითხულობთ, რომ უფალმა ცისარტყელას ფერები უჩვენა ჩვენს წინაპრებს ნოეს და მის

შთამომავლობას წარღვნის შემდგომ, სამშვიდობო ნიშნად.

ხატი მოგეხსენებათ ცხოველი წიგნია - არა ასოებით, არამედ ფერებით დაწერილი, რომლის ფსიქოლოგიური პლანია სიახლოვის განცდა მსგავსებისა და ასოციაციების მეშვეობით. ეს არის სულის გამარჯვება ცოდვასა და უხეშ მატერიალურობაზე. ხატი განსაკუთრებული სიმბოლოა, რომელიც მხოლოდ საგანს კი არ მიუთითებს, ან მხოლოდ სულიერ-ემოციურ განცდის საშუალებას კი არ იძლევა ასოციაციის გზით, არამედ თავის თავში ასახავს კიდეც სიმბოლიზირებულს და გვიმჟღავნებს მის არსს.

უფალი ხშირად მიმართავდა სიმბოლო-ალეგორიებს ახალ აღთქმაშიც: ,,იყვენით უკვე მეცნიერ, ვითარცა გველნი, და უმანკო ვითარცა მტრედნი“ (მათე. 10,16), რომელსაც რა თქმა უნდა ქვე-ტექსტი დაჰყვება: როდესაც გველი ბერდება მარხულობს 40 დღე და ღამე, შემდეგ ეძებს ვიწრო ხვრელს და ,,შედის იწროდ და დააგდის ტყავი იგი მისი ძველი და განჭაბუკნის (ანუ გაახალგაზრდავდებაო). ისმინეთ რომელმან თქვა: ,,ისწრაფედ შესვლად იწროისა მას კარსა და ძნელსა, რომელნი მივლინებენ ცხოვრებად საუკუნოდ“.

ზოგადად სიმბოლოს განმარტება ასეთია: სიმბოლო არის ბერძნული სიტყვა და აღნიშნავს ნიშანს. ეს არის გრძნობადი აღქმადი ობიექტი და არის ცოდნის, ინფორმაციის დაგროვების, შენახვის და გადაცემის უნიკალური საშუალება. სიმბოლოების გაგებით, წაკითხვით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ დაფარული ინფორმაცია.

სიმბოლოები არის კარგი საშუალება აგრეთვე გავიგოთ ადამიანის შინაგანი ხასიათი, ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია მისი გამოყენება პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში, რელიგიური სიმბოლოების გაგებაში და ადამიანის მიერ ზოგადად სამყაროს უკეთ შეცნობაში.

ქრისტიანული პოეზიის VII ფესტივალი

„წმინდა ნინოს ჯვარი“

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი უნდა გამოგზავნონ ამა წლის 20 აპრილის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე:

festivali 2011@yahoo.com
festivali2011@mail.ru

ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

ფესტივალის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

მთავარი პრიზი – წმინდა ნინოს ჯვარი,
პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი,
პრიზი – წმინდა ნინოს ჯვრის მედალი.

ცალკე შეფასდება ქრისტიანულ თემატიკაზე გამოგზავნილი საბავშვო ლექსები და გაიცემა საფესტივალო პრიზები.

საფესტივალოდ გამოგზავნილი ლექსები დაიბეჭდება კრებულად.

ფესტივალი ჩატარდება 2017 წლის 1 ივნისს.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 46 44 29

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

Ցուցակ Հայկական գրքերի-850